ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებათა
ფაკულტეტი

კულტურის გეოგრაფია

საკითხავი მასალა (Reader) სასწავლო კურსისათვის
„კულტურის გეოგრაფია“

სწავლების დონე: ბაკალავრიატი

აკადემიური პროგრამა: საზოგადოებრივი გეოგრაფია

შემდგენელი და მთარგმნელი: იოსებ სალუქვაძე

თბილისი 2012

შინაარსი

შემდგენლისაგან გვ. 3

ნაწილი 1. The Human Mosaic: A Thematic Introduction to Cultural Georgaphy. 2006. (Tenth Edition). Terry G. Jordan-Bychkov, Mona Domosh, Roderick P. Neumann & Patricia L. Price. W.H.Freeman and Company. NY (Chapter 1: Science and Art, pp.2-29) გვ. 4

ნაწილი 2. William Norton (2006). Cultural Geography: Environments, landscapes, Identities, Inequalities (Second Edition). Printed in Canada by Oxford University Press (Chapter 1: Introducing Cultural Geography, pp.1-29) გვ. 34

ნაწილი 3. The European Culture Area: A Systematic Geography. 2009. (Fifth Edition). Alexander B. Murphy, Terry G.Gordan-Bychkov and Bella Bychkova Jordan. Published in the United States of America by Rowman & Littlefield Publishers, Inc. (Chapter 1: What is Europe? pp.1-24) გვ. 75

შემდგენლისაგან

წინამდებარე ‘რიდერი’ შედგება სამი ინგლისურენოვანი წიგნის/ სახელმძღვანელოს შესავალი თავებისაგან (იხ. შინაარსი). ეს წიგნები ფართოდ გამოიყენება ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტების აკადემიურ პროგრამებში, გეოგრაფიის სპეციალობით. ჩემი აზრით, ეს წყაროები კარგ მასალას მიაწვდის ‘კულტურის გეოგრაფიის’ შემსწავლელ სტუდენტებს ამ (სუბ)-დისციპლინის საფუძვლების დასაუფლებლად. კერძოდ, პირველი წყარო საფუძვლიანად მიმოიხილავს კულტურის გეოგრაფიის მთავარ თემებსა და საყოველთაოდ გაზიარებულ კონცეპტებს; მეორე აღწერს მისი განვითარების ძირითად პერიოდებსა და მამოძრავებელ, ცვლილებათა გამომწვევ ფაქტორებს და, ამასთან ერთად, იძლევა ფართო ტერმინოლოგიურ და განმარტებით პლატფორმას; მესამე კი წარმოადგენს ერთგვარ ნიმუშს/მაგალითს, კულტურის დიდი რეგიონის (ევროპის) გეოგრაფიული განსაზღვრის, დელიმიტაციის, დახასიათებისა და კომპლექსური ანალიზის თვალსაზრისით. სწორედ კულტურის გეოგრაფიის საკითხების ასეთმა, გარკვეულწილად განსხვავებული ასპექტით, წარმოდგენამ განაპირობა აღნიშნული სახელმძღვანელოების შერჩევა ამ ‘რიდერში’ თავმოსაყრელად.

მოცემული ნაშრომის პირველი ორი ნაწილი თარგმნილია ჩემს მიერ, ხოლო მესამე - ევროპული კულტურის არეალის შესახებ - პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძის მიერ, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდი.

მსურს ასევე მადლობა გადავუხადო ბაადურ წერეთელს, თამარ დოლბაიას და თსუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტებს, რომლებმაც დახმარება გამიწიეს ამ ნაშრომის მომზადებაში.

ვაცნობიერებ იმას, რომ ზოგიერთი ტერმინი და აზრობრივი კონსტრუქტი, რომელიც ამ თარგმნილ ნაშრომშია მოყვანილი, ბუნდოვანი, საკამათო ან მცდარიც კი შეიძლება იყოს. ამიტომ, მადლობელი დავრჩები, თუ ნებისმიერი მკითხველი, პირველ რიგში სტუდენტები, თავის მოსაზრებასა და შენიშვნებს მომაწვდის ამ ‘რიდერისა’ და მისი ცალკეული ნაწილების ავ-კარგიანობის შესახებ, მისამართზე: joseph.salukvadze@tsu.ge.

შენიშვნის სახით აღვნიშნავ, რომ წარმოდგენილი მასალა ყოველთვის არ არის ორიგინალური ტექსტის სრული თარგმანი და, გარკვეულ ადგილებში, ადაპტირებულია ქართველი სტუდენტებისათვის. სქოლიოსა და ფიგურულ ფრჩხილებში მოყვანილი ტექსტი ჩემია.

იოსებ სალუქვაძე

ნაწილი 1

The Human Mosaic: A Thematic Introduction to Cultural Georgaphy. 2006. (Tenth Edition).

Terry G. Jordan-Bychkov, Mona Domosh, Roderick P. Neumann & Patricia L. Price.

W.H.Freeman and Company. NY

რა არის კულტურის გეოგრაფია?

კულტურის გეოგრაფია, ფიზიკურ გეოგრაფიასთან ერთად, გეოგრაფიული დისციპლინის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს[1]. კულტურის გეოგრაფიის არსის გასაგებად ჩვენ, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ **კულტურის** სხვადასხვა მნიშვნელობები.

კულტურას ბევრი განმარტება აქვს, ზოგი ფართო, ზოგიც ვიწრო. ამ წიგნში კულტურა განიხილება, როგორც ადამიანთა მიერ შემენილი (გამომუშავებული) კოლექტიური ქცევა, რაც თანდაყოლილი, მემკვიდრეობით მიღებული, ქცევის საპირისპიროა. ეს შემენილი თავისებურებები (დამახასიათებელი ნიშნები) ქმნიან ცხოვრების წესს, რომელიც საერთოა ადამიანთა გარკვეული ჯგუფებისათვის. ლაპარაკის, ქცევის, იდეოლოგიის (მსოფლხედველობის), ყოფა-ცხოვრების, ტექნოლოგიის, ღირებულებათა სისტემის და საზოგადოების მიერ შემენილი სხვა ნიშან-თვისებების მსგავსება ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს. კულტურა, განმარტებული ამ სახით, შეიცავს შემენილი რწმენის, მეხსიერების, პერცეპციის (აღქმის), ტრადიციების, დამოკიდებულებებისა (მიმართებების) და კომუნიკაციების სისტემას, რაც ემსახურება ქცევის ჩამოყალიბებას. ჩვენ ამ კომუნიკაციის სისტემაზე შეიძლება ვიფიქროთ, როგორც ნაამბობების ერთობლიობაზე, რასაც ადამიანთა ჯგუფები საკუთარ თავზე ყვებიან. ამ ნაამბობებმა შეიძლება მიიღონ ისეთი ნარატივების[2] ფორმა, რომელსაც მივყავართ მითების, ჰოლივუდის ფილმების ან რომანების შექმნამდე. მათ შესაძლოა ჰპოვონ უფრო ფართო გამოხატულებაც, მაგალითად, ტანსაცმელში, რომელსაც ვიცვამთ, საჭმელში, რომელსაც მივირთმევთ, თაყვანისცემის ფორმებში, მთავრობების ლეგიტიმურად ცნობაში, ოჯახების შექმნის გზებსა და ფორმებში და ა.შ. ჩვენ, როგორც გეოგრაფებს, გვაქვს მიდრეკილება, რომ დავინტერესდეთ ამ ნაამბობებით, რადგან ისინი ხდებიან გარკვეულ ადგილებში, კონკრეტულ გარემოსა და ლანდშაფტებში.

ნებისმიერი კულტურა არ არის სტატიკური, უცვლელი ფენომენი, და ის ყოველთვის ვერ წარმართავს თავის წევრებს, არამედ, როგორც გეოგრაფები კეი ანდერსონი (Kay Anderson) და ფეი გეილი (Fay Gale) წერენ, „კულტურა არის *პროცესი*, რომელშიც ადამიანი აქტიურადაა ჩართული“. კულტურა არის სიმბოლოების, რწმენების, ენისა და წეს-ჩვეულებების დინამიკური ნაკრები. ცალკეულ წევრებს შეუძლიათ და ცვლიან კულტურას, რაც ნიშნავს, რომ ცხოვრების წესები მუდმივად

[1] ამ ტექსტში კულტურის გეოგრაფია იხმარება ფართო კონტექსტში; ის შეესატყვისება საზოგადოებრივი გეოგრაფიის ცნებას.

[2] ნარატივი - ნაამბობი, მონათხრობი...

იცვლება და, ჩვეულებრივ, არსებობს განსხვავებულ აზრთა შორის დაპირისპირება. უარყოფა (კამათი, ეჭვის შეტანა - contestation) და ცვლილება ადამიანური არსის ნაწილია და ის კულტურაშიც აისახება. კულტურები არასდროს არიან შინაგანად ჰომოგენური, რადგან ცალკეული ადამიანები არასდროს ფიქრობენ ან იქცევიან ზუსტად ერთნაირად. ყოველი კულტურის შიგნით არიან გასხვავებული სქესის, ქმედითუნარიანობის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის და სხვ. პიროვნებები.

ამგვარად, კულტურის გეოგრაფია არის მოძღვრება სივრცეებს, ადგილებს, სხვადასხვა გარემოსა და კულტურებს შორის ურთიერთობების შესახებ. ის იკვლევს, თუ რა სახით არის წარმოჩენილი ესა თუ ის კულტურა და როგორ არის ის სიმბოლიზებული ჩვენს გარშემო მდებარე ლანდშაფტებში, რაც მოიცავს საცხოვრისს, კომერციულ შენობებს, გზებს, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ბაღებსა და პარკებს. კულტურის გეოგრაფია ინტერესდება ლანდშაფტებით, ადგილმდებარეობებით და გარემოთი, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ გვესმის, რა აზრს ვდებთ მათში და რა აზრი გამოგვაქვს მათგან. ის ცდილობს ახსნას, თუ რა როლს თამაშობს ეს ლანდშაფტები, ადგილები და სხვადასხვა გარემო, კულტურის ჩამოყალიბებასა და ცვლილებაში. ის აანალიზებს, თუ როგორ განსხვავდება ან ემსგავსება ერთმანეთს სხვადასხვა ადგილებში წარმოდგენილი ენები, რელიგიები, ეკონომიკები, მმართველობის ფორმები და სხვა კულტურული ფენომენები. ის ქმნის შესაძლებლობას იმის გასაგებად, თუ როგორია ადამიანების სივრცითი ქმედება და მათი მიმართება კონკრეტულ ადგილთან და რეგიონთან (ნახ. 1.1).

ნახ. 1.1 თაყვანისცემის ორი ტრადიციული შენობა (სახლი)



გეოგრაფები ცდილობენ გაიგონ, თუ რატომ არსებობს კულტურებს შორის განსხვავება ან მსგავსება, ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლებისას. ხშირად განსხვავებები და მსგავსებები ვიზუალურადაა გამოხატული.

რა მხრივ არის ეს ორი შენობა - კათოლიკური ეკლესია ჰონდურასში (მარცხნივ) და ბუდისტური ტაძარი ლაოსში (მარჯვნივ) - მსგავსი და განსხვავებული?

კულტურული განსხვავებებისა და ადგილის იდენტობის ახსნის ძიებისას გეოგრაფები განიხილავენ მიზეზ-შედეგობრივი ფაქტორების ფართო რიგს. მათი ერთი ნაწილი მოიცავს **ფიზიკურ გარემოს**: ტერიტორიას, რელიეფს, კლიმატს, ბუნებრივ ვეგეტაციას (მცენარეულობას), ველურ ბუნებას, ნიადაგის მრავალფეროვნებასა და ხმელეთისა და წყლის ფორმებს. იმის გამო, რომ შეუძლებელია კულტურის გაგება მისი ფიზიკური გარემოსაგან მოწყვეტით, კულტურის გეოგრაფია გვთავაზობს არა მხოლოდ სივრცით ხედვას, არამედ ეკოლოგიურ მიდგომასაც. გეოგრაფიის განსაკუთრებული განმასხვავებელი ნიშანი

ის მიდგომაცაა, რომ ის აკავშირებს სოციალურ და დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებს, რათა შეისწავლოს ადამიანი და მისი საცხოვრებელი გარემო. ამის გამო, გეოგრაფები მოწოდებულნი არიან შეეწინააღმდეგონ მეცნიერების მზარდ დანაწევრებას ძალზე სპეციალიზებულ, სეგრეგირებულ აკადემიურ დისციპლინებად. გეოგრაფები ეძებენ კაცობრიობის ინტეგრალურ ხედვას მათსავე ფიზიკურ გარემოში.

გეოგრაფები არ გვთავაზობენ კულტურული ფენომენების ადვილ ახსნას, რადგან ბევრი რთული ძალა და ფაქტორია ჩართული ამ პროცესში და ყველა მათგანი ურთიერთდაკავშირებულია მეტად კომპლექსური სახით. იმ ძალთა და ფაქტორთა კომპლექსურობა, რომლებიც გავლენას ახდენენ კულტურაზე, შეიძლება დავასურათოთ ერთი მაგალითით სოფლის მეურნეობის გეოგრაფიიდან: ხორბლის კულტივაციის (მოყვანის) გავრცელებით მსოფლიოში. ნახ. 1.2 გვიჩვენებს, რომ ხორბლის მოყვანის მნიშვნელოვანი არეალები არის ავსტრალიაში, მაგრამ არა აფრიკაში, აშშ-ში, მაგრამ არა ჩილეში, ჩინეთში, მაგრამ არა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. რატომ არსებობს ასეთი სივრცითი სურათი? ნაწილობრივ, ის შედეგია ისეთი გარემო ფაქტორებისა, როგორიცაა კლიმატი, რელიეფი და ნიადაგები. ზოგიერთი რეგიონი ძალიან მშრალია ხორბლის მოსაყვანად. სხვაგან მიწა ძალიან ციცაბოა და ნიადაგი - უნაყოფო. მართლაც, ძალიან ძლიერია დამოკიდებულება ხორბლის მოყვანასა და ზომიერ კლიმატს, ვაკე რელიეფსა და კარგ, ნაყოფიერ ნიადაგებს შორის.

ნახ. 1.2 ხორბლის მოყვანის არეალები თანამედროვე მსოფლიოში



ლეგენდა: *წითელი - მთავარი ხორბლის მწარმოებელი არეალები; მწვანე - მცირე ხორბლის მწარმოებელი არეალები*

ეს კულტურის რეგიონები ეფუძნებიან ერთ ნიშან-თვისებას (მახასიათებელს): ხორბლის მნიშვნელობას სასოფლო-სამეურნეო სისტემაში. ეს რუკა გვიჩვენებს რა სად არის. ის ბადებს კითხვას - რატომ?

და მაინც, ჩვენ არ უნდა მივანიჭოთ ეკსკლუზიური მნიშვნელობა მხოლოდ ფიზიკურ ფაქტორებს. ხალხს შეუძლია შეცვალოს კლიმატის ეფექტი ირიგაციის (მორწყვის) გზით, სათბურების გამოყენებით, ხორბლის ახალი, სპეციალიზებული ჯიშების გამოყვანით. მათ შეუძლიათ 'დაიმორჩილონ' ციცაბო ფერდობები ტერასირების გზით, გაზარდონ მწირი ნიადაგების ნაყოფიერება სასუქების შეტანით. მაგალითად, საბერძნეთის მთიან ნაწილში გლეხები (ფერმერები) ტრადიციულად იღებდნენ ხორბლის ყოველწლიურ მოსავალს მომცრო ტერასირებული ნაკვეთებიდან, სადაც ნიადაგი შექმნილი იყო ხელით აგებული ქვის დამცავი კედლების უკან. აშშ-შიც კი, მხოლოდ ფიზიკური გარემოს ფაქტორები ვერ ახსნიან საყურადღებო ფაქტს, რომ ხორბლის კულტივაცია ძირითადად კონცენტრირებულია სემიარიდულ[3] დიდ დაბლობებზე (Great Plains), საკმაო დაცილებით ოჰაიოსა და ილინოისის შტატებიდან, რომლებშიც კლიმატური პირობები ხელსაყრელია ხორბლის მოსაყვანად. კულტურის გეოგრაფმა იცის, რომ ხორბალი უნდა არსებობდეს და იწარმოებოდეს გარკვეულ კულტურულ გარემოში და არა მხოლოდ ბუნებრივ გარემოში.

ამგვარად, სასოფლო-სამეურნეო თავისებურებები ვერ აიხსნება მხოლოდ მიწისა და კლიმატის მახასიათებლებით. ბევრი ფაქტორი ართულებს ხორბლის გავრცელებას, ადამიანების გემოვნებისა და ტრადიციების ჩათვლით. საკვების არჩევანი და ტაბუ (აკრძალვა), ხშირად რელიგიური რწმენით გამყარებული, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დასათესი მარცვლეული კულტურების შერჩევაზე. ზოგიერთი კულტურული ჯგუფები უპირატესობას ანიჭებენ ჭვავის ფქვილიდან დამზადებულ მუქი ფერის პურს. სხვები, მაგალითად ამერიკის მკვიდრი მოსახლეობა, მეტი სიამოვნებით გეახლებიან სიმინდის პურს, რადგან სიმინდს აქვს რელიგიური როლი ცხოვრების ტრადიციულ წესში. ნათელია, რომ ხორბალი ვერ 'იჯეჯილებდა' (გაიხარებდა) ასეთ კულტურულ გარემოში. სადაც ხორბლის პურს ანიჭებენ უპირატესობას, მოსახლეობა მზადაა, რომ უდიდესი ძალისხმევა მოახმაროს არახელსაყრელი ფიზიკური გარემო პირობების გადალახვას. მათ ხორბლის ახალი სახეობებიც კი გამოიგონეს, რითაც შეამცირეს გარემოს ზემოქმედება მსოფლიოში ხორბლის კულტივაციის გავრცელებაზე. სხვა ფაქტორებმა, როგორიცაა საჯარო პოლიტიკა, ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს ან შეუშალოს ხორბლის მოყვანას. მაგალითად, ტარიფები იცავენ საფრანგეთისა და სხვა ევროპული ქვეყნების ხორბლის მწარმოებლებს ეკონომიკურად უფრო ეფექტური ამერიკელი და კანადელი ფერმერებისაგან.

ყოველივე ეს სულაც არ არის სრული სია იმ ფაქტორებისა, რაც ზეგავლენას ახდენს ხორბლის კულტივაციის გავრცელებაზე. თუმცა, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ხორბლის წარმოების თანამედროვე რუკა ასახავს ბევრ 'მიზიდვისა' და 'გამომგდებ' ფაქტორს. ყველა კულტურული ელემენტის განაწილება სხვადასხვა ფაქტორების განუწყვეტელი ურთიერთქმედების შედეგია. კულტურის გეოგრაფია კი ის დისციპლინაა, რომელიც მათ ახსნასა და ანალიზს ცდილობს.

კულტურის გეოგრაფიის თემები

[3] სემიარიდული - ნახევარუდაბნოს კლიმატისა და ლანდშაფტის მქონე.

კულტურის გეოგრაფია ჩამოყალიბებულია ხუთი ძირითადი კონცეფციის ან თემის გარშემო[4], ესენია: კულტურის რეგიონი, კულტურული დიფუზია, კულტურული ეკოლოგია, კულტურული ურთიერთქმედება და კულტურული ლანდშაფტი.

კულტურის რეგიონი

კულტურის რეგიონის თემა, თუ მას კითხვის სახით წარმოვადგენთ, ასეთი შეიძლება იყოს: „როგორ არიან კულტურები და კულტურული ნიშნები დაჯგუფებული და მოწყობილი გეოგრაფიულად?" ადგილები და რეგიონები შეადგენენ გეოგრაფიის არსს. რატომ და როგორ არიან ადგილები მსგავსი ან განსხვავებული? როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს ფუნქციონირებადი სივრცითი ქსელების სახით? როგორ აღიქვამენ მათ მათი მცხოვრებლები და როგორ აიდენტიფიცირებენ თავიანთ თავს მათთან? ეს მთავარი გეოგრაფიული კითხვებია. შესაბამისად, კულტურის რეგიონი ისეთი გეოგრაფიული ერთეულია, რომელიც კულტურის მახასიათებლებსა და ფუნქციებს ეფუძნება.

კულტურის რეგიონი არის ისეთი ტერიტორია, რომელიც უკავია ხალხს, ვისაც რაღაც საერთო აქვს კულტურის თვალსაზრისით. ესაა სივრცითი ერთეული, რომელიც პოლიტიკურად, სოციალურად ან ეკონომიკურად გამოიყოფა როგორც ცალკე ორგანიზმი.

გეოგრაფები განასხვავებენ სამი ტიპის კულტურის რეგიონს: *ფორმალურს, ფუნქციურს და ვერნაკულარულს.*

ფორმალური კულტურის რეგიონი

ფორმალური კულტურის რეგიონი ისეთი სივრცეა/ტერიტორიაა, რომელიც დასახლებულია ადამიანების მიერ, ვისაც ერთი ან მეტი საერთო კულტურული თავისებურება აქვთ, მაგალითად ენა, რელიგია ან ყოფა-ცხოვრების სისტემა. ამგვარად, ეს არის არეალი, რომელიც მეტ-ნაკლებად ჰომოგენურია კულტურის ერთი ან მეტი თავისებურების (ნიშნის; Trait) მიხედვით. გეოგრაფები ამ კონცეფციას იყენებენ მსოფლიოში არსებული სივრცითი განსხვავებების დასაფიქსირებლად რუკის სახით. მაგალითად, არაბული ენის ფორმალური კულტურის რეგიონი შეიძლება დავიტანოთ მსოფლიო ენების (ლინგვისტურ) რუკაზე, რომელზეც მას დაკავებული ექნება ის არეალები, სადაც არაბულად უფრო ლაპარაკობენ, ვიდრე, ვთქვათ, ინგლისურად ან ჰინდიზე ან ჩინურად (მანდარინულად). მსგავსად, ხორბლის მომყვანი ფორმალური რეგიონი უნდა მოიცავდეს მსოფლიოს იმ ნაწილებს, სადაც ხორბალი ძირითადი პურეული კულტურაა (ისევ დავუბრუნდეთ ნახ. 1.2-ს).

არაბული ენის და ხორბლის კულტივაციის მაგალითები ასახავენ ფორმალური კულტურის რეგიონის კონცეფციას უმარტივეს დონეზე. ორივე ემყარება ერთ

[4] ეს მიდგომა ამ სახელმძღვანელოს/წიგნის ავტორთა თვალსაზრისია. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი კონცეფციები (თემები) მნიშვნელოვანწილადაა გაზიარებული კულტურის გეოგრაფიის სხვა წიგნების ავტორების მიერაც, სხვადასხვა წყაროში განსხვავებული მოსაზრებებიცა და დიზაინიც შეიძლება ვიხილოთ.

კულტურულ თავისებურებას (ნიშან-თვისებას). უფრო ხშირად, ფორმალური კულტურის რეგიონი ეფუძნება მრავლობით (რამდენიმე) კულტურულ მახასიათებლებს. მაგალითად, ინუიტთა (ესკიმოსთა - Inuit; Eskimo) კულტურის რეგიონი შეიძლება გამოიყოფოდეს სალაპარაკო ენაზე, რელიგიაზე, ეკონომიკაზე, სოციალურ ორგანიზაციაზე და საცხოვრისის ტიპზე დაყრდნობით. კულტურის რეგიონი ასახავს ამ ხუთი მახასიათებლის სივრცითი განლაგების ხასიათს. ტერიტორიები, სადაც წარმოდგენილია ეს ხუთივე ნიშანი (მახასიათებელი), იქნებიან შესაბამისი კულტურის რეგიონის ნაწილი.

ფორმალური კულტურის რეგიონები არიან გეოგრაფების მიერ პირობითად შექმნილი ერთეულები. არ არსებობს ნებისმიერი ორი კულტურული მახასიათებელი ანუ ნიშან-თვისება, ერთნაირი გავრცელება რომ ახასიათებდეთ; კულტურის რეგიონის ტერიტორიული განვრცობა კი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ვრცელდება (ნაწილდება) და რამდენია ამა თუ იმ რეგიონის განმსაზღვრელი მახასიათებელი (იხ. ნახ. 1.4). რატომ ვსაუბრობთ *ხუთ* და არა ექვს ან შვიდ მახასიათებელზე ინუიტების შემთხვევაში? რატომ არ ვიხილავთ *საკვებს* საცხოვრისის ტიპის ნაცვლად (ან მასზე დამატებით)? განვიხილოთ, ვთქვათ, ბერძნები და თურქები, რომლებიც განსხვავდებიან ენითა და რელიგიით. ფორმალური კულტურის რეგიონები, რომლებიც გამოიყოფოდა ამ ორი მახასიათებლის - ენისა და რელიგიური რწმენის - საფუძველზე, გაყოფდა ამ ორ ჯგუფს. მაგრამ, ბერძნებსა და თურქებს ბევრი საერთო კულტურული ნიშან-თვისებაც გააჩნიათ. ორივე მონოთეისტია, ე.ი. ერთი ღმერთის თაყვანისმცემელია. ორივე ჯგუფში მამაკაცთა უზენაესობა და პატრიარქალური ოჯახის არსებობაა წესად ქცეული. გარკვეული კერძები, როგორიცაა შიშ-ქაბაბი, ერთნაირადაა გავრცელებული. ის ფაქტი, იქნებიან თუ არა თურქები და ბერძნები გაერთიანებული ერთსა და იმავე ფორმალური კულტურის რეგიონში, მთლიანადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არჩევანს გააკეთებს გეოგრაფი-მკვლევარი კელტურის რეგიონის გამოსაყოფად. ეს არჩევანი კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია კვლევის ან სწავლების იმ სპეციფიკურ მიზანზე, რომლისთვისაც გამოიყოფა ფორმალური კულტურის რეგიონი. ამრიგად, შესაძლოა გამოიყოს უსასრულო რაოდენობის ფორმალური კულტურის რეგიონი. ძნელი წარმოსადგენია, რომ ორმა სხვადასხვა გეოგრაფმა ზუსტად ერთნაირი კრიტერიუმები გამოიყენოს ფორმალური კულტურის რეგიონის გამოსაყოფად და მისი საზღვრები ზუსტად ერთსა და იმავე ადგილას გაატაროს.

გეოგრაფმა, რომელიც აკეთებს ფორმალური კულტურის რეგიონის იდენტიფიცირებას, უნდა გაატაროს *კულტურის საზღვრები.* რადგან კულტურები ერთმანეთშია გადახლართული და აღრეული, ასეთი საზღვრებიც იშვიათადაა მკაფიო, მაშინაც კი, თუ მხოლოდ ერთი კულტურული მახასიათებელია რეგიონის გამოყოფისა და საზღვრების გავლების საფუძველი. ამ მიზნით, ჩვენ უფრო საქმე გვაქვს *კულტურის სასაზღვრო ზონებთან,* ვიდრე ხაზებთან. ეს ზონები ფართოვდებიან ყოველი ახალი კულტურული მახასიათებლის დამატებისას, რადგან არანაირ ორ კულტურულ ნიშან-თვისებას არ აქვს ერთნაირი სივრცითი განაწილება. შედეგად, მკაფიო საზღვრების მიღების ნაცვლად, ფორმალური კულტურის რეგიონები ასახავენ ცენტრს ან ბირთვს, სადაც ყველა განმსაზღვრელი მახასიათებელია წარმოდგენილი. ცენტრალური ბირთვიდან მოშორებით მახასიათებლები უფრო სუსტად არიან წარმოდგენილი და ბოლოს სულაც ქრებიან,

როგორც ეს ნახ. 1.3 და 1.4-ზეა ნაჩვენები. ამრიგად, ბევრი ფორმალური კულტურის რეგიონი **ბირთვი-პერიფერიის** ნიმუშს წარმოადგენს.

ნახ. 1.3 ევროპის ფორმლური კულტურის რეგიონი, გამოყოფილი ორ ძირითად ნიშან-თვისებაზე - ენასა და რელიგიაზე - დაყრდნობით



ლეგენდა:

მწვანე ხაზი - რელიგიური საზღვარი

წითელი ხაზი - ლინგვისტური საზღვარი

ვარდისფერი არეალი - მართლმადიდებლობა და სლავური ენა

მწვანე არეალი - კათოლიკეობა და რომანული ენა

ცისფერი არეალი - პროტესტანტობა და გერმანიკული ენა

ყურადღება მიაქციეთ, როგორ ჩნდებიან ტრანზიციული (გარდამავალი) არეალები მოცემული კულტურის რეგიონებს შორის, მაშინაც კი, როცა ისინი მხოლოდ ორი ნიშნით არიან გამოყოფილნი.

ამრიგად, რეალურად ადამიანთა სამყარო ქაოტურია. არ აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენად ერთგვაროვნად და ახლო მდგომად მივიჩნევთ რომელიმე ორ კულტურულ ნიშან-თვისებას. საგულდაგულო გამოკვლევა ყოველთვის გვიჩვენებს, რომ ისინი არასდროს ფარავენ ზუსტად ერთნაირ არეალს. ეს იმის მიუხედავად ხდება, თუ რა სიზუსტითა და დეტალურობით ტარდება კვლევა. რას მოასწავებს ეს ქაოსი კულტურის გეოგრაფისათვის? პირველ ყოვლისა, ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ყველა კულტურული ნიშან-თვისება სივრცობრივად უნიკალურია და ყოველი სივრცითი ვარიაციის ახსნა რამდენადმე განსხვავდება ყველა სხვათა ახსნისაგან. მეორე რიგში, ეს ნიშნავს, რომ კულტურა მუდმივად იცვლება ტერიტორიული თვალსაზრისით და დედამიწის ნებისმიერი დასახლებული არეალი კულტურული ნიშან-თვისებების უნიკალურ შეთანაწყობას წარმოადგენს.

ხომ არ ზღუდავს გეოგრაფებს ასეთი კულტურული უნიკალურობა და არაერთგვაროვნება, რათა მათ ეძიონ და შეიმუშაონ ამხსნელი თეორიები? განწირულნი ხომ არ არიან ისინი იმისათვის, რომ თითოეული ადგილ-მდებარეობისათვის ცალკე (დამოუკიდებელ) ახსნასა მიმართონ? პასუხი უნდა იყოს - არა. იმ ფაქტმა, რომ არ არსებობს ორი ერთნაირი მთა ან ქანი, ნებისმიერი ორი პლანეტა ან ვარსკვლავი, არც ორი ხე ან ყვავილი არ არის იდენტური, ვერ შეუშალა ხელი გეოლოგებს, ასტრონომებსა და ბოტანიკოსებს, რომ ჩამოეყალიბებინათ თეორიები და თავიანთი ახსნა გენერალიზაციაზე დაეფუძნებინათ.

ნახ. 1.4 ჰიპოთეტური ფორმალური კულტურის რეგიონები, გამოყოფილი ერთი, ორი და სამი ნიშან-თვისების *საფუძველზე*



ნიშან-თვისება 'A'

კულტურის რეგიონი, რომელიც გამოყოფილია 'A' ნიშან-თვისების საფუძველზე

ნიშან-თვისება 'B'

კულტურის რეგიონი, გამოყოფილი 'A' და 'B' ნიშან-თვისებების საფუძველზე;
სასაზღვრო ზონები

ნიშან-თვისება 'C'

კულტურის რეგიონი, გამოყოფილი 'A', 'B' და 'C' ნიშან-თვისებების საფუძველზე;
სასაზღვრო ზონები

ყურადღება მიაქციეთ, რომ ნებისმიერ ორ ნიშან-თვისებას არ აქვს მსგავსი ტერიტორიული გავრცელება. ყოველი დამატებითი ნიშან-თვისების შემოტანისას, რეგიონის ბირთვი მცირდება და სასაზღვრო ზონები ფართოვდება. წარმოიდგინეთ, რა რთული ნიმუში შეიქმნება, თუ შემოვიტანთ 5, 10 ან 100 ნიშან-თვისებას. ახლა ხვდებით, თუ რატომ არის უნიკალური დედამიწის თითოეული ადგილი?

ფუნქციური კულტურის რეგიონი

ფორმალური კულტურის რეგიონის განმასხვავებელი ნიშანი კულტურული ჰომოგენურობაა. მეტიც, ის უფრო აბსტრაქტულია, ვიდრე კონკრეტული. ამისაგან განსხვავებით, ფუნქციურ კულტურის რეგიონს არ აქვს აუცილებლობა, რომ კულტურულად ჰომოგენური იყოს. ნაცვლად ამისა, ეს არის არეალი, რომელიც ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ შეძლოს პოლიტიკური, სოციალური ან ეკონომიკური ფუნქციონირება, როგორც მთლიანმა ერთეულმა. ქალაქი,

დამოუკიდებელი სახელმწიფო, საარჩევნო უბანი, საეკლესიო დიოცეზი (ეპარქია), სავაჭრო არეალი, ფერმა და ფედერალური სარეზერვო ბანკის უბანი - ყველა წარმოადგენს ფუნქციური რეგიონის მაგალითს. ფუნქციურ კულტურის რეგიონებს აქვთ *კვანძები*[5] ანუ ცენტრალური წერტილები, სადაც ხდება ფუნქციათა კოორდინაცია და მართვა. ასეთი კვანძების (ცენტრების) მაგალითს წარმოადგენს ქალაქის მერია, ქვეყნის დედაქალაქი, საარჩევნო უბნის ხმის მიცემის ადგილი, ეპარქიის ეკლესია, ქარხანა ან ბანკი. ამ თვალსაზრისით, ფუნქციურ რეგიონსაც აქვს ბირთვი-პერიფერიის კონფიგურაცია, რითაც ის ჰგავს ფორმალური კულტურის რეგიონს.

ბევრ ფუნქციურ რეგიონს აქვს მკაფიოდ დადგენილი საზღვრები. მეტროპოლიტენური არეალი ფუნქციური რეგიონია, რომელიც მოიცავს კონკრეტული საქალაქო მმართველობის იურისდიქციაში შემავალ მთელ ტერიტორიას. ამ ფუნქციური რეგიონის საზღვრები შეიძლება არ იყოს თვალსაჩინო მანქანის ფანჯრიდან ცქერისას, მაგრამ ისინი ნათლად იქნებიან გამიჯნული რეგიონულ რუკაზე ხაზებით, რომლებიც ერთ იურისდიქციას სხვებისაგან გამოყოფს. მსგავსად, აშშ-ის ყველა შტატი და კანადის თითოეული პროვინცია ფუნქციური რეგიონია, რომლის მართვა და კოორდინაცია ხდება დედაქალაქიდან და მთავრობის კონტროლი ვრცელდება მკაფიო საზღვრებით შემოფარგლულ დადგენილ არეალზე.

თუმცა, ყველა ფუნქციურ კულტურის რეგიონს არ აქვს ფიქსირებული, ზუსტი საზღვრები. ამის კარგი მაგალითია ყოველდღიური გაზეთის ცირკულაციის არეალი. გაზეთის გავრცელების ცენტრად ალბათ მისი დამამზადებელი საწარმო (სტამბა) უნდა ჩაითვალოს. ყოველ დილით გაზეთების დამტარებელი მანქანები გამოდიან საწარმოდან და ქალაქის მასშტაბით ავრცელებენ გაზეთებს. გაზეთის გაყიდვის არეალი შეიძლება გავრცელდეს ქალაქის გარეუბნებშიც, ადგილობრივ საძილე (საცხოვრებელ) უბნებში, ახლომდებარე ქალაქებში და სასოფლო დასახლებებშიც. მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნება სხვადასხვა ქალაქში გამოცემული კონკურენტი გაზეთების გაყიდვის სავაჭრო არეალების გადაფარვას. უნაყოფო იქნებოდა ასეთი არეალების ექსკლუზიური საზღვრების დადგენის მცდელობა. მაგალითად, როგორ უნდა დავადგინოთ *New York Times*-ის გასაყიდი არეალის საზღვრები? მისი კვირადღის გამოცემა გარკვეული ოდენობით კალიფორნიაშიც კი იყიდება, ათასობით მილის დაშორებით თავისი ცენტრიდან და ის ერთდროულად სხვადასხვა ქალაქში გამოიცემა.

ფუნქციური კულტურის რეგიონი, საზოგადოდ, სივრცობრივად არ ემთხვევა ფორმალურ კულტურის რეგიონს და ასეთი აცდენა ხშირად უქმნის პრობლემებს ფუნქციურ რეგიონს. გერმანია ამის მაგალითს წარმოადგენს (იხ. ნახ. 1.6). როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, გერმანია ფუნქციურ კულტურის რეგიონს წარმოადგენს. ენა ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს პოლიტიკური ერთობისათვის. თუმცა, გერმანული ენის ფორმალური კულტურის რეგიონი მნიშვნელოვან მანძილზე ვრცელდება გერმანიის პოლიტიკური საზღვრების მიღმა და ნაწილობრივ ან

[5] „კვანძი“ შეესატყვისება ინგლისურ ენაში გამოყენებულ ტერმინს - **node**. თუმცა, ტექსტის ქართულ ენაზე უკეთესად აღქმის მიზნით, ჩვენ ვარჩევთ ტერმინის - ‘ცენტრი’ - გამოყენებას. ის უკეთ ჯდება ქართული განმარტებებისა და ტერმინოლოგიის კონტექსტში.

სრულად მოიცავს რვა დამოუკიდებელ ქვეყანას. უფრო მნიშვნელოვანია, რომ არაერთი ფორმალური კულტურის რეგიონი იკვეთება გერმანიის გერმანიის ტერიტორიაზე. მათმა ერთმა ნაწილმა ათასწლეულებს გაუძლო და გამოიწვია სხვაობანი ჩრდილო, სამხრეთ, აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანელებს შორის. ეს წინააღმდეგობები ართულებს გერმანიის სახელმწიფოს ფუნქციონირებას და გვეხმარება იმის ახსნაში, თუ რატომ იყო გერმანია უფრო მეტი ხნის მანძილზე პოლიტიკურად დანაწევრებული, ვიდრე პოლიტიკურად ერთიანი.

ნახ. 1.6 აღმოსავლეთი დასავლეთის საპირისპიროდ, ჩრდილოეთი სამხრეთის საპირისპიროდ გერმანიაში



ლეგენდა:

წითელი ხაზი - გერმანიის ახლანდელი საზღვარი;
შვინდისფერი ხაზი - „რკინის ფარდა“ 1945-1990;
მწვანე ხაზი - გაყოფილი მემკვიდრეობის ჩრდილო მიჯნა (რომაელებიდან მიღებული);
მწვანე წყვეტილი ხაზი - კათოლიკური უმრავლესობის ჩრდილოეთი საზღვარი;
იისფერი წყვეტილი ხაზი - სასოფლო ფეოდალური მამულების დასავლეთი საზღვარი, 1800;
იისფერი ხაზი - გერმანულ-სლავური, ქრისტიანთა და წარმართთა საზღვარი;
ვარდისფერი არეალი - გერმანულად მოლაპარაკე არეალი

გერმანიამ, როგორც პოლიტიკურმა ერთეულმა და ფუნქციურმა კულტურის რეგიონმა, უნდა გადალახოს რღვევა, რომელიც გამოწვეულია ბევრი ფორმალური კულტურის რეგიონის არსებობით, რომლებიც გერმანიის ცალკეულ ნაწილებს კულტურულად განსხვავებულს ქმნიან. ფორმალური და ფუნქციური კულტურის რეგიონები იშვიათად ემთხვევიან ერთმანეთს სივრცობრივად.

ვერნაკულარული კულტურის რეგიონი

ვერნაკულარული კულტურის რეგიონი (Vernacular cultural region) არის ისეთი რეგიონი, რომელიც, მისი მცხოვრებლების მიერ აღიქმება როგორც რეალურად არსებული, რაც მტკიცდება მისი საყოველთაო აღიარებითა და მის მიმართ სპეციფიკური რეგიონული სახელის დარქმევით (გამოყენებით). ნახ. 1.7 ასახავს ერთ ამგვარ პოპულარულ რეგიონს აშშ-ში, რომელსაც ჰქვია „Dixie”[6]. ზოგი

[6] Dixie არის თიკუნი (მეტსახელი) სამხრეთის შეერთებული შტატებისა, ე.ი. აშშ-ის სამხრეთის შტატებისა.

ვერნაკულარული რეგიონი ეფუძნება ფიზიკური გარემოს თავისებურებებს; სხვები ეფუძნებიან ეკონომიკურ, პოლიტიკურ ან ისტორიულ თავისებურებებს. ვერნაკულარულ რეგიონებს, კულტურული რეგიონების უმეტესობის მსგავსად, როგორც წესი, არ აქვთ მკაფიო საზღვრები და მათ მცხოვრებლებს შესაძლოა ჰქონდეთ ერთზე მეტი რეგიონის კუთვნილების პრეტენზია. ასეთი რეგიონები შეიძლება ქალაქის უბნის ზომისაც იყვნენ და კონტინენტის მნიშვნელოვანი ნაწილის მასშტაბისაც.

საბაზისო დონეზე, ვერნაკულარული რეგიონი წარმოიქმნება ადამიანთა აზრიდან, რომ ისინი ეკუთვნიან და განსაკუთრებულ რეგიონს იდენტიფიცირებულები არიან მასთან. ამისაგან განსხვავებით, ბევრ ფორმალურ და ფუნქციურ კულტურის რეგიონს აკლიათ ეს ატრიბუტი და, შედეგად, არიან ნაკლებად დამაჯერებელი გეოგრაფიული წარმონექმნები ან ერთეულები.

ვერნაკულარულ კულტურის რეგიონს ხშირად აკლია ორგანიზებულობა, რომელიც აუცილებელია ფუნქციური რეგიონისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება წარმოქმნილი იყვნენ ერთ ურბანული კვანძის (ცენტრის) გარშემო. ხშირად ისინი არც კულტურულ ჰომოგენურობას ამჟღავნებენ, რაც ფორმალური რეგიონებისათვისაა დამახასიათებელი. ისინი რაღაცნაირად თავის თავში არსებულნი, თავიანთივე კულტურაში ფესვგადგმულები არიან.

ნახ. 1.7 Dixie: ვერნაკულარული რეგიონი

ლეგენდა:

წერტილი - შერჩევის წერტილი (გამოყენებულია ტელეფონების წიგნი/სია);
ლურჯი არეალი - Dixie-ს გული/ცენტრი ('Dixie' აღნიშვნა ¼ ან მეტადაა გავრცელებული, 'American' აღნიშვნასთან შედარებით);
მწვანე არეალი - 'Dixie'-ის გავრცელება შეადგენს 'American'-ის 15-25%-ს;
ვარდისფერი არეალი - 'Dixie'ის გავრცელება შეადგენს 'American' -ის 6-15%-ს;
ყვითელი არეალი - 'Dixie'ის გავრცელება შეადგენს 'American' -ის 0-6%-ს.



„Dixie" დატვირთულია ისტორიული და კულტურული კონოტაციით [თანმდევი მნიშვნელობით]. Dixie-ს ტერიტორიული გავრცელება [კვლევისას, რომლის შედეგებიცაა წარმოდგენილი რუკის სახით] დადგინდა იმ შემთხვევების რაოდენობით, რამდენჯერაც ეს იყო მითითებული ტელეფონების წიგნში, როგორც ბიზნეს დაწესებულების [მაგ. ფირმის, კომპანიის] სახელის ნაწილი. თითოეულ ქალაქში ასეთი ჩანაწერების ჯამი შემდეგ იყოფოდა იმ ჩანაწერების რიცხვზე, რომლებშიც ფიგურირებდა სიტყვა 'American', რათა მომხდარიყო შეჯერება, პროცენტული თანაფარდობის დადგენის გზით, სხვადასხვა სიდიდის ქალაქებისათვის და ამ შეფარდებების რუკაზე დატანისათვის. უფრო მაღალი რიცხვი ნიშნავდა Dixie-ს უფრო ხშირ ხმარებას.

კულტურის დიფუზია

როგორ მოხდა კულტურის სხვადასხვა ელემენტის გავრცელება კულტურის რეგიონებში, სადაც ისინი დღეს გვხვდებიან? როგორ ვრცელდებიან გეოგრაფიულად იდეები, საქმიანობები, ქცევები და ტექნოლოგიები და რატომ ვრცელდებიან ისინი? ამ კითხვებზე პასუხობს ***კულტურის დიფუზიის*** თემა.

კულტურის რეგიონები, მიუხედავად მათი ტიპისა, წარმოიშვნენ ხალხებს შორის კომუნიკაციისა და კონტაქტების გზით (იხ. ჩანართი 1.1 - კულტურის დიფუზია: 100 პროცენტიანი ამერიკელი). როგორც ნახ. 1.8 გვიჩვენებს, კულტურის ყველა ელემენტი წარმოიშვება ერთ ან რამდენიმე ადგილას და შემდეგ ვრცელდება. ზოგიერთი ინოვაცია მხოლოდ ერთხელ ხდება და გეოგრაფებს შეუძლიათ უკან, თავდაპირველი წარმოშობის ადგილისაკენ, გაადევნონ თვალი მათ წარმოშობას. სხვა შემთხვევებში, ადგილი აქვს **დამოუკიდებელ აღმოჩენებს**: იგივე ან ძალიან მსგავსი

ინოვაციები დამოუკიდებლად წარმოიშვებიან და ვითარდებიან სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა ხალხის მიერ. კულტურის დიფუზიის შესწავლა - იდეებისა და ინოვაციების გეოგრაფიული წარმოშობა და გავრცელება - ძალიან მნიშვნელოვანი თემაა. დიფუზიის შესწავლის საშუალებით კულტურის გეოგრაფს შეუძლია დაადგინოს თუ როგორ ისახებოდა და ვითარდებოდა სივრცითი ნიმუშები კულტურაში. ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერი კულტურა არის პროდუქტი უთვალავი ინოვაციისა, რომლებიც ვრცელდებოდნენ თავიანთი წარმოშობის ადგილიდან და ფარავდნენ უფრო ფართო სივრცეებს.

დიფუზიის ტიპები

გეოგრაფები, ტორსტენ ჰეგერსტრანდის (Torsten Hägerstrand) კვლევაზე დაყრდნობით, ანსხვავებენ დიფუზიის სხვადასხვა სახეებს (იხ. ნახ. 1.8). **რელოკაციური დიფუზია** (Relocation diffusion), რაც ქართულად შეიძლება „გადაადგილებით დიფუზუად“ გადავთარგმნოთ, წარმოიშვება, როცა გარკვეული იდეის ან პრაქტიკის (წეს-ჩვეულების) მატარებელი ინდივიდუალები ან ჯგუფები მიგრირებენ ერთი ადგილიდან მეორეში და თავისი იდეები და ჩვეულებანი თან გადააქვთ თავიანთ ახალ სამშობლოში. რელიგიები ხშირად ვრცელდება ამ გზით. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ქრისტიანობის მიგრაცია ამერიკაში იმ ევროპელებთან ერთად, რომლებმაც დაასახლეს ეს კონტინენტი. **ექსპანსიური დიფუზიის** (Expansion diffusion) დროს, რომელსაც ქართულად შეიძლება „გაფართოებითი დიფუზია“ შევუსატყვისოთ, იდეები და წეს-ჩვეულებები ვრცელდება ადამიანებს შორის, ერთი არეალიდან მეორეში, თოვლის გუნდას ან ზვავის პრინციპით, ისე რომ ახალი იდეისა და ჩვეულებების გამზიარებელთა ან მომხმარებელთა რაოდენობა და გავრცელების არეალი იზრდება.

ნახ. 1.8 კულტურის დიფუზიის ტიპები



ექსპანსიური დიფუზია შეიძლება თავის მხრივაც დაიყოს სამ ქვეტიპად. **იერარქიული დიფუზიისას** (Hierarchical diffusion) იდეები ‘გადახტებიან’ ერთი მნიშვნელოვანი პირიდან მეორეზე, ერთი საქალაქო ცენტრიდან მეორეში, ისე, რომ გამოტოვებენ სხვა ადამიანებსა და სასოფლო ტერიტორიებს. ჩვენ შეგვიძლია

დავინახოთ იერარქიული დიფუზია მოქმედებაში ყოველდღიურ ცხოვრებაში, იმაზე დაკვირვებით, თუ როგორ ვრცელდება ტანსაცმლის ან საჭმლის (კვების) ახალი მოდა. მაგალითად, თავიდან სუშის რესტორნები იაპონიიდან 1970-იან წლებში ძალიან ნელა გავრცელდა, რადგან ბევრი ადამიანი თავს იკავებდა უმი თევზის დაგემოვნებისაგან. აშშ-ში პირველი რესტორნები გამოჩნდა მთავარ ქალაქებში - ლოს ანჯელესსა და ნიუ იორკში. მხოლოდ თანდათანობით, 1980 და 1990-იან წლებში მოხდა სუშის ჭამა ფართოდ გავრცელებული ქვეყნის ნაკლებად ურბანიზებულ ნაწილებში. ამის საპირისპიროდ, **გადამდები დიფუზია** (Contagious diffusion) იწვევს იდეების ტალღისებრ გავრცელებას, გადამდები ავადმყოფობის მსგავსად, როცა სივრცეში გავრცელება-გადაადგილება ხდება ყოველგვარი იერარქიის გათვალისწინების გარეშე. ხშირად იერარქიული და გადამდები დიფუზიები ერთად მოქმედებენ. მსოფლიოში შიდსის გავრცელება იძლევა საყურადღებო მაგალითს, თუ დიფუზიის ამ ორ ტიპს როგორ შეუძლიათ გააძლიერონ ერთმანეთი (ნახ. 1.9).

ნახ. 1.9 შიდსის დიფუზია ოჰაიოში



როგორც ამ რუკებიდან ჩანს, შიდსი ვრცელდება როგორც იერარქიული, ასევე გადამდები დიფუზიის პროცესების საშუალებით.

ზოგჯერ, ინოვაციის სპეციფიკური ნიშან-თვისება უარყოფილია, მაგრამ მის საფუძველში არსებული იდეა მიღებული და მხარდაჭერილი, რაც **მასტიმულირებელი დიფუზიის** (Stimulus diffusion) სახელითაა ცნობილი. მაგალითად გამოდგება ციმბირის ადრეული პერიოდის მოსახლეობის მიერ ჩრდილოეთის ირმის მოშინაურება. მათ ეს გაკეთეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გააცნობიერეს სამხრეთით არსებული კულტურული ჯგუფების მიერ პირუტყვის მოშინაურების ამბავი. ციმბირელებისათვის პირუტყვი (ძროხა, ცხენი) უსარგებლო იყო, მაგრამ მოშინაურებული ჯოგების იდეა მათთვის მიმზიდველი აღმოჩნდა და დაიწყეს ჩრდილოეთის ირმის მოშინაურება, რომელზეც ადრე დიდი ხნის მანძილზე ნადირობდნენ.

თუ წყალსატევში ქვას ჩავაგდებთ და შევხედავთ რგოლების გავრცელებას, დავინახავთ თუ თანდათანობით როგორ სუსტდებიან ისინი, რაც უფრო შორს გადაინაცვლებენ ზემოქმედების წერტილიდან. ასევე სუსტდება დიფუზია, როცა კულტურული ინოვაცია სცილდება თავისი წარმოშობის ადგილს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიფუზია მცირდება მანძილთან ერთად. ჩვეულებრივ, ინოვაცია უფრო საფუძვლიანად იქნება გაზიარებული იმ ადგილის სიახლოვეს, სადაც ის წარმოიშვა. იმის გამო, რომ ინოვაციის გავრცელებას სულ უფრო მეტი დრო სჭირდება სიშორესთან ერთად, დროც ფაქტორს წარმოადგენს. ინოვაციის გაზიარება, ჩვეულებრივ, მცირდება დროსა და მანძილის ზრდასთან ერთად. ამას გეოგრაფები **დროით-სივრცით კვდომას** (Time-distance decay) უწოდებენ. თუმცა, თანამედროვე მასობრივმა მედიამ მნიშვნელოვნად დააჩქარა დიფუზია და შეამცირა დროით-სივრცითი კვდომის ზეგავლენა.

დროისა და სივრცის გავლენით ინოვაციების შესუსტებასა და კვდომასთან ერთად, ბარიერებსაც შეუძლიათ დაამუხრუჭონ მათი გავრცელება. **შემწოვი ბარიერები** (Absorbing barriers) მთლიანად აჩერებენ დიფუზიას და სპობენ მის შემდგომ პროგრესირებას. მაგალითად, 1998 წელს ავღანეთის მმართველმა ფუნდამენტურმა ისლამურმა თალიბანმა გადაწყვიტა ტელევიზიის, ვიდეომაგნიტოფონებისა და ვიდეოკასეტების აკრძალვა, რადგან მათ „საზოგადოებაში კორუფციის წყაროებად“ თვლიდა. შედეგად, ტელევიზორების გავრცელების კულტურული დიფუზიის პროცესი შეიცვალა და ტელევიზორის, როგორც ინფორმაციის გავრცელების მოწყობილობის, რომელიც ხელს უწყობს იდეების გავრცელებას, მნიშვნლოვანი როლი აღმოიფხვრა.

ჩანართი 1.1 კულტურის დიფუზიის მაგალითი

100 პროცენტიანი ამერიკელი[7]

“ჩვენი სოლიდული ამერიკელი მოქალაქე იღვიძებს საწოლში, რომელიც დამზადებულია იმ მოდელზე, რაც შეიქმნა სადღაც ახლო აღმოსავლეთში და მოდიფიცირებულ იქნა ჩრდილოეთ ევროპაში. ის გადასწევს საბნის პირს, რომელიც გაკეთებულია ან ბამბის ბოჭკოსგან (ბამბა გააკულტურეს ინდოეთში) ანდა სელისგან (სელი ახლო აღმოსავლეთში იქნა კულტურაში შემოტანილი) ანდა აბრეშუმისგან, რომლის გამოყენებაც პირველად ჩინეთში დაიწყეს. ყველა ეს მასალა მოქსოვილია იმ მეთოდებით, რომელიც გამოიგონეს ახლო აღმოსავლეთში, ხოლო მანქანურად მისი ქსოვა ისწავლეს ინგლისში – XVIII საუკუნეში. ის ფეხზე იცვამს მოკასინებს – ამერიკელ ინდიელთა გამოგონებას და მიდის სააბაზანოში, რომლის მთელი მოწყობილობა შედარებით თანამედროვე – ევროპული და ამერიკული გამოგონებების შერწყმაა. ის იხდის პიჟამოს – ინდოეთში გამოგონილ ტანსაცმელს და იბანს საპნით, რომელიც ძველმა გალებმა გამოიგონეს. შემდეგ ის იპარსავს სახეს – ესაა მაზოხისტური ოპერაცია, რომელიც, როგორც ჩანს, უკვე ძველ შუმერში იყო მიღებული და შემდეგ ეგვიპტიდან გავრცელდა.

სასაუზმოდ ის მიდის კაფეში (ფრანგული გამოთქმაა) ეთიოპიაში

[7] წყარო: Ralph Linton, The Study of Man.1936, renewed 1964:326-327. Printree Hall, England, Cliffs, N.Y.

კულტურაში შეყვანილი მცენარისა, რომელიც არაბების მიერ იქნა შეტანილი ევროპაში და რომელიც შემდეგ სამხრეთ ამერიკაში გზად შეიტანეს ევროპელებმა. ის ყიდულობს გაზეთს, რომელიც დაბეჭდილია ქაღალდზე, რომელიც პირვლად ჩინელებმა გააკეთეს და იხდის მონეტებით, რომლებიც გამოიგონეს ძველმა ლიდიელებმა - მცირე აზიის მკვიდრებმა. კაფეში ის იყენებს თეფშს რომელიც დამზადებულია ფაიფურისგან – ჩინური გამოგონება, ჩანგალს – შუა საუკუნეების იტალიური გამოგონება, კოვზს – ზუსტად ძველი რომაელების მოდელზე გაკეთებული, დანას, რომელიც დამზადებულია ფოლადისგან – პირველად სამხრეთ ინდოეთში გაკეთებული ლითონიდან.

როდესაც ჩვენი მეგობარი ამთავრებს საუზმეს (რომელიც ან ინგლისური იყო ანდა კონტინენტური ე.ი. ევროპული უნდა იყოს), ის კითხულობს გაზეთს, რომელიც პირველად ინგლისში გამოუშვეს და რომელიც დაბეჭდილია ასოებით, რომლებიც ინგლისურში შემოვიდა ლათინურიდან, ხოლო თავიდან გამოგონილი იქნა ფინიკიელების მიერ და დაბეჭდილია იმ პროცესით, რომელიც გერმანიაში იქნა გამოგონებული. როცა იგი კითხულობს იმ სირთულეების შესახებ, რაც უცხოელებს აქვთ, იგი ებრაულ ღმერთს შესწირავს მადლობას ინდოევროპულ ენაზე, იმისათვის რომ ის ასპროცენტიან ამერიკელად დაიბადა.

ექსტრემალური მაგალითები გვერდზეც რომ გადავდოთ, მაინც მოგვიწევს აღნიშვნა, რომ მსოფლიოში არსებობს მთელი რიგი შემწოვი ბარიერებისა. უფრო ზოგადად, ბარიერები არიან შეღწევადი (გაჟონვადი; permeable), რომლებიც ინოვაციათა ტალღის ნაწილს აძლევს შეღწევის (დიფუზიის) საშუალებას, მაგრამ ასუსტებს ან ამუხრუჭებს სიახლის უწყვეტ გავრცელებას. როცა უმაღლესი სასწავლებლის საბჭო უარს ეუბნება დაშვებაზე ტატუს ან სხეულზე პირსინგის მქონე სტუდენტებს, უმაღლესის მმართველობა ამით შეიძლება აწესებდეს შეზღუდვას, რომელიც ავალდებულებს ასეთ სტუდენტებს, რომ ტანსაცმლით დაიფარონ სხეულის შესაბამისი ნაწილები. თუმცა, დროთა განმავლობაში, ასეთი შემზღუდავი აუცილებლობები შეიძლება შეიცვალოს იმის გამო, რომ ხალხი მიეჩვიოს სხეულის მარკირების მსგავს პრაქტიკას. თუმცა, ზოგიერთი აუცილებლობები (ვალდებულებები) შეიძლება, დიდი ალბათობით, არც შეიცვალოს. ამგვარად, სკოლის მმართველობა და საბჭო შეიძლება კულტურული ინოვაციების **შეღწევად ბარიერად** მივიჩნიოთ.

ინოვაციების მიღება-გაზიარება სივრცის ნებისმიერ მოცემულ წერტილსა და ადგილში, გაივლის სამ განსხვავებულ სტადიას. პირველ სტადიაზე, ინოვაციის მიღება ხდება მძიმედ, ნელი ტემპით, შესაძლოა იმიტომ, რომ ის ჯერ არ გამხდარა საკმარისად გაზიარებული, რადგან მისი უპირატესობები არ ყოფილა ადეკვატურად დემონსტრირებული ან პროდუქტი არ გამხდარა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი. მეორე სტადიაზე, ინოვაციის გაზიარება ხდება სწრაფად და კულტურის შესაბამისი ნიშან-თვისება ვრცელდება სწრაფად, როგორც, მაგალითად, ჩაცმულობის სტილი ან მოდური ცეკვა. ხშირად, დიფუზია მიკრო მასშტაბში ასახავს იმას, რასაც **სამეზობლო ეფექტს** (Neighborhood effect) უწოდებენ. ეს ნიშნავს, რომ ინოვაციის გაზიარება განსაკუთრებით სწრაფად ხდება მცირე კლასტერებში (ჯგუფებში), სიახლის თავდაპირველი გამზიარებლის (შემომტანის) გარშემო. პირდაპირი ზემოქმედება ინოვაციაზე საუკეთესო რეკლამაა. მესამე სტადიაზე, სიახლის გაზიარების ტემპები

მცირდება მეორე სტადიასთან შედარებით, ალბათ იმიტომ, რომ მოდა ამ სიახლეზე თანდათანობით გადაივლის ან იმიტომ, რომ არეალი უკვე გაჯერდა ამ ინოვაციით.

მიუხედავად იმისა, რომ რომ ყველა ადგილებსა და საზოგადოების ჯგუფებს ჰიპოთეტურად ერთნაირი პოტენციალი გააჩნიათ ახალი იდეის ან ჩვეულების მისაღებად და გასაზიარებლად, დიფუზია, როგორც წესი, ქმნის ბირთვი-პერიფერიის სივრცით მოწყობას, იმის მსგავსად, რაც ჩვენ ადრე ვიხილეთ კულტურის რეგიონზე მსჯელობისას (იხ. ნახ. 1.3 და 1.4). ჰეგერსტრანდმა შემოგვთავაზა ახსნა, თუ როგორ ქმნის დიფუზია ასეთ რეგიონულ კონფიგურაციას. ინოვაციების გავრცელება შეიძლება იყოს შემთხვევითი, მაგრამ ახალი იდეებისა და ნიშან-თვისებების ზედდება (გადაფარვა), რადგან ისინი დროსა და სივრცეში ვრცელდებიან, ყოველთვის უფრო მძლავრია რეგიონის ცენტრთან სიახლოვეს და სუსტდება პერიფერიებისაკენ (იხ. ნახ. 1.11). ასეთი გადაფარვების შედეგად, უფრო მეტი ინოვაციის გაზიარება ხდება რეგიონის ცენტრში ან ბირთვში.

ნახ. 1.11 რეგიონული ბირთვისა და პერიფერიის ევოლუცია ინოვაციების შემთხვევითი გავრცელებისა და კულტურული დიფუზიის ერთნაირი ტემპების პირობებში სივრცესა და დროში.



ტორსტენ ჰეგერსტრანდმა ეს სქემა წარმოადგინა დიფუზიის შესახებ სიმპოზიუმზე, რომელიც გაიმართა Texas A&M უნივერსიტეტში 1984 წელს.

ლეგენდა (წარწერები):
ბირთვი (ინოვაციების მაქსიმალური სივრცითი ზედდება)

სივრვე
ინოვაცია
ინოვაციების დიფუზია სივრცესა და დროში

ზოგიერთი სხვა კულტურის გეოგრაფი, განსაკუთრებით ჯეიმს ბლაუტი (James Blaut) და რიჩარდ ორმროდი (Richard Ormrod), დიფუზიის ჰეგერსტრანდისეულ კონცეფციას მეტად ვიწროდ და მექანიკურად მიიჩნევს, რადგან ის არ ახდენს სათანადო ხაზგასმას კულტურულ და გარემოს ცვლადებზე და იმიტომ, რომ ის მიიჩნევს, რომ ინფორმაცია ავტომატურად ქმნის დიფუზიას. სინამდვილეში, დიფუზიის არ მოხდენა - ინოვაციის ვერ გავრცელება - უფრო ხშირია, ვიდრე დიფუზია, რასაც ჰეგერსტრანდის სისტემა საერთოდ არ ასახავს. ამის მსგავსად,

ჰეგერსტრანდის სისტემა მხოლოდ კომუნიკაციას ეყრდნობა და გულისხმობს, რომ ყველა ინოვაცია სასარგებლოა მთელი გეოგრაფიული სივრცისათვის. სინამდვილეში, ინოვაციის მიმართ მზაობა გაცილებით უფრო გადამწყვეტია, განსაკუთრებით ისეთ მსოფლიოში, სადაც კომუნიკაციები ისე სწრაფი და ყოვლისმომცველია, რომ მანძილის ფაქტორს თითქმის უმნიშვნელო ხდება. მეტად სავარაუდოა, რომ ორი სხვადასხვა რეგიონის მცხოვრებლები ერთნაირად არ გამოეხმაურებიან ინოვაციას და გეოგრაფებმა უნდა ეძიონ ასეთი სივრცითი განსხვავებების ახსნა მოსახლეობის აღქმაში, რათა დაადგინონ დიფუზიის განხორციელების ან წარუმატებლობის მიზეზები. თავიანთი კულტურული კონტექსტიდან გამომდინარე, ადამიანებმა უნდა აღიქვან ინოვაციის უპირატესობები მანამ, სანამ გაიზირებენ მას.

გლობალიზაცია

თანამედროვე ტექნოლოგიების ერამ, სადაც გაუმჯობესებული მსოფლიოს მომცველი ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა იდეებისა და ინოვაციების დაუბრკოლებელი დიფუზიის საშუალებას იძლევა, საფუძველი დაუდო **გლობალიზაციად** წოდებულ ფენომენს. ეს ტერმინი აღნიშნავს სულ უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოს, კაპიტალისტური ეკონომიკისა და პოლიტიკის პრინციპებზე დაყრდნობით, რომელშიც საერთაშორისო საზღვრების როლი შემცირებულია და შექმნილია მსოფლიო მასშტაბის ბაზარი. ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობდა, რომ გლობალიზაციის პროცესი და ამის თანმხლები დიფუზიის სიმარტივე ადამიანთა ჰომოგენურობის ზრდას შეუწყობდა ხელს, რაც კულტურის რეგიონების რღვევას და, საბოლოო ჯამში, ერთიანი გლობალური კულტურის შექმნას გამოიწვევდა. თუმცა, *ადამიანთა მოზაიკის* (Human Mosaic) შესწავლა, ამ კონცეფციის სიცოცხლისუნარიანობისა და მისი შედეგების შესახებ განსხვავებულ სურათს გვთავაზობს, რაც ქვემოთაც იქნება აღწერილი.

კულტურული ეკოლოგია

კულტურული ეკოლოგია (Cultural Ecology) არის ფიზიკური გარემოსა და ადამიანებს შორის რთული ურთიერთობების შესწავლა.

კულტურა ვაკუუმში არ ვითარდება. ის ურთიერთქმედებს გარემოსთან და საჭიროა ამ ურთიერთქმედების შესწავლა, რათა გავიაზროთ სივრცითი ვარიაციები. Oikos ბერძნულად ნიშნავს "სახლს", "ჰაბიტატს", Logoi - სიტყვებია, ცოდნა. ამრიგად ბერძნული Oikologia ესაა მეცნიერება საცხოვრისის შესახებ, ხოლო კულტურული ეკოლოგია ესაა მეცნიერება კულტურებსა და გარემოს შორის მიზეზ-შედეგობრივი (Cause and effect) კავშირების შესახებ. ფიზიკური გარემო მოიცავს კლიმატს, რელიეფს, ნიადაგებს, ბუნებრივ მცენარეულს, გარეულ ცხოველთა სამყაროს და სხვა.

კულტურულ ეკოლოგიასთან ერთად გამოიყენება ტერმინი ადამიანის ეკოლოგია. ძირითადი განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ზოგიერთი მეცნიერი ადამიანის ეკოლოგიას მიიჩნევს უფრო მეტად ორიენტირებულად იმის შესწავლაზე, თუ როგორ ახდენენ ადამიანები გარემოს მოდიფიკაციას, მაშინ როცა კულტურული ეკოლოგია ფიზიკური გარემოსა და ადამიანებს შორის ურთიერთქმედებას შეისწავლის, როდესაც ადამიანი გაგებულია როგორც "კულტურის მატარებელი

ცხოველი" (Culture-bearing animal). სინამდვილეში ორივე ეს ტერმინი გეოგრაფებს შორის ურთიერთშენაცვლებით გამოიყენება. სხვა ტერმინი, რომელიც ამავე კონტექსტში გვხვდება არის ტერმინი "ეკოსისტემა", რაც აღნიშნავს ისეთი სისტემის ფუნქციონირებას, რომელშიც ბიოლოგიური და კულტურული Homo Sapiens-ები ცხოვრობენ და ურთიერთქმედებენ ფიზიკურ გარემოსთან.

კულტურული ეკოლოგიის თემა არის შეხების წერტილი კულტურის გეოგრაფებსა და ფიზიკურ გეოგრაფებს შორის, რაც ტრადიციულად ქმნიდა ერთ-ერთ მძლავრ ფოკუსს გეოგრაფიის მეცნიერულ დისციპლინაში. ზოგიერთი გეოგრაფი საერთოდ თვლიდა, რომ 'გეოგრაფია კულტურული ეკოლოგიაა'. მართალია ძალიან ცოტა ეთანხმებოდა გეოგრაფიის ასეთ ვიწრო გაგებას, მაგრამ ყველა თანხმდება, რომ ადამიანისა და გარემოს რთული ურთიერთობების შესწავლა სერიოზული ამოცანაა პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებისათვის თანამედროვე ეპოქაში.

კულტურის გეოგრაფებმა კულტურული ეკოლოგიის თემის ირგვლივ სხვადასხვა მიდგომები განავითარეს, რომლებიც ოთხი სკოლის სახით ჩამოყალიბდა. ესენია – გეოგრაფიული (ან გარემოს) დეტერმინიზმი, პოსიბილიზმი, გარემოს აღქმა და ადამიანი, როგორც დედამიწის გარდაქმნელი.

<u>გეოგრაფიული დეტერმინიზმი</u>

XX საუკუნის I მეოთხედში ბევრი ინგლისურენოვანი გეოგრაფი მხარს უჭერდა გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეას, რომელიც ფიზიკურ გარემოს, განსაკუთრებით კლიმატსა და რელიეფს, ანიჭებდა გადამწყვეტ როლს სხვადასხვა კულტურის ჩამოყალიბებაში და თვლიდა, რომ კაცობრიობა არის ფიზიკური გარემოს პასიური პროდუქტი. მსგავსი ფიზიკური გარემო მსგავს კულტურებს წარმოშობდა. არსებითად გეოგრაფიული დეტერმინისტები კულტურულ ეკოლოგიას "ცალმხრივი მოძრაობის ქუჩად" მიიჩნევდნენ. დეტერმინისტებს სჯეროდათ, რომ მთიელები, დანაწევრებული რელიეფის წყალობით, განწირულნი იყვნენ ყოფილიყვნენ ტლუები, ჩამორჩენილები, კონსერვატიულები, ფანტაზიას მოკლებულნი და თავისუფლების მოყვარულნი (მაგალითად, ელენ სემპლი 1911 წელს წერდა, რომ სწორედ ასეთები არიან შვეიცარლები). უდაბნოს მცხოვრებნი აუცილებლად ერთ ღმერთს უნდა აღიარებდნენ, მაგრამ ტირანთა ხელისუფლების ქვეშ უნდა ცხოვრობდნენ. ზომიერი კლიმატი ხელს უწყობს გამომგონებლობას, შრომისმოყვარეობას და დემოკრატიას, სანაპიროები დიდი ზღვაოსნებისა და მეთევზეების წარმოჩენას უწყობს ხელს. დეტერმინისტებს მაგალითად ინგლისი მოჰყავდათ, რომლის მოწინავე მდგომარეობა (იმ ეპოქაში) მათი აზრით განპირობებული იყო კუნძულოვანი მდებარეობით, როდესაც ზღვა მეზღვაურთა სიმრავლეს უწყობს ხელს, ხოლო ოპტიმალური (ზომიერი) კლიმატი – გენიოსებს წარმოშობს ხელისუფლებაში და შრომის მაღალ ეთიკას უწყობს ხელს.

XX საუკუნის მიწურულის პოზიციიდან აშკარად ჩანს, რომ დეტერმინისტები შეფასებაში აჭარბებდნენ გარემოს როლის შეფასებისას ადამიანის კულტურის ჩამოყალიბებაში და საზოგადოების განვითარებაში (მაგალითად, ინგლისელები საკმაოდ ცუდი ზღვაოსნები იყვნენ შუა საუკუნეებამდე, ხოლო XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მათი როლი მსოფლიოში მკვეთრად შემცირდა; მთიელი შვეიცარლები აშკარად ვერ ჩაითვლებიან ჩამორჩენილებად). ეს არ ნიშნავს, რომ გარემოს როლი

უმნიშვნელოა და კულტურის გეოგრაფებმა მისი გავლენა არ უნდა შეისწავლონ; უფრო იმაზე უნდა იყოს ლაპარაკი, რომ ფიზიკური გარემო ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც ზემოქმედებს ადამიანის კულტურის ჩამოყალიბებაზე და განვითარებაზე და ძალიან იშვიათად თუ არის ერთადერთი დეტერმინანტი ადამიანის საქმიანობისა და რწმენებისა.

<u>პოსიბილიზმი</u>

1930-იანი წლებიდან კულტურის გეოგრაფებს შორის გეოგრაფიული დეტერმინიზმი შეცვალა პოსიბილიზმმა, რომელიც არ უარყოფს ფიზიკური გარემოს გავლენის როლს კულტურაზე, მაგრამ ხაზს უსვამს, რომ კულტურული მემკვიდრეობა, სულ მცირე, არანაკლები გავლენის მქონეა ადამიანის ქცევაზე, რაც ფიზიკური გარემო (პოსიბილისტების მიხედვით, თვით ადამიანები არიან კულტურის ძირითადი არქიტექტორები, ხოლო ნებისმიერი ფიზიკური გარემო იძლევა მრავალ შესაძლებლობას სხვადასხვა კულტურების განვითარებისათვის). როგორ უყურებენ ადამიანები ტერიტორიას და როგორ სახლდებიან მასზე, დამოკიდებულია იმ არჩევანზე, რომელსაც ადამიანები აკეთებენ იმ შესაძლებლობებს შორის, რომელსაც მათ გარემო სთავაზობთ. ამ არჩევანს წარმართავს კულტურული მემკვიდრეობა, გარემო კი იძლევა როგორც შესაძლებლობას, ისე შეზღუდვასაც. მოკლედ რომ ვთქვათ, კულტურისა და ეკონომიკის ადგილობრივი თავისებურებები არის კულტურაზე დაფუძნებული იმ გადაწყვეტილებების პროდუქტი, რომლებიც მიღებულია გარემოს მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობების ფარგლებში.

ეს, პოსიბილისტური თვალსაზრისით საკმაოდ კარგადაა ასახული ***კულტურული ადაპტაციის*** კონცეფციაში, რაც ნიშნავს ფიზიკურ გარემოსთან და გარემოს ცვლილებებთან კულტურის გზით ადამიანების არაგენეტიკურ, ხანგრძლივვადიან შეგუებას. ეს შეგუება სხვადასხვა კულტურებში სხვადასხვანაირია, რაც იმას გვიჩვენებს, რომ სწორედ კულტურა ქმნის სივრცით მრავალფეროვნებას.

პოსიბილისტური მიდგომის მაგალითია მარკ ჯეფერსონის სტატია "გამომგონებლობის გეოგრაფიული განაწილება" (Geographical Review, 19 (1929), 660-661), სადაც იგი წერს: "ყველა ევროპული საპატენტო განყოფილება იძლევა ინფორმაციას, რომ შვეიცარლები გამოგონებათა რაოდენობით ბევრად წინ არიან ... თვით შვეიცარლები კი ამას მიაწერენ რელიგიურ დევნას მეზობელ ქვეყნებში XVI-XVII საუკუნეებში, რამაც ათასობით განათლებული ადამიანი აიძულა ეძებნა თავშესაფარი სხვაგან [და იპოვნა კიდეც ამ მთიან, მიუდგომელ ქვეყანაში]... ნანტის ედიქტის გაუქმებამ 1685 წელს 60 ათასი ჰუგენოტი მიიყვანა შვეიცარიაში; მათ დაარსეს აბრეშუმის წარმოება ციურიხსა და ბერნში, საათების წარმოება – ჟენევაში. ჰოლანდიაში ესპანელთა ინტოლერანტობამ და შვეიცარიის ნეიტრალიტეტმა 30 წლიან ომში კიდევ ბევრი ადამიანური რესურსი შესძინა შვეიცარიას". დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მიუხედავად უცვლელი ბუნებრივი გარემოსი, სხვადასხვა კულტურის მატარებელმა ჯგუფებმა ძალზე განსხვავებულად აითვისეს გარემო და არა პირიქით – არ მოექცნენ გარემოს გავლენის ქვეშ.

<u>გარემოს პერცეფცია (აღქმა)</u>

მაშინ, როცა პოსიბილიზმი ხედავს კაცობრიობას, როგორც ერთსა და იმავე გარემოში სხვადასხვა შესაძლებლობებში არჩევანის მქონეს, გარემოს პერცეფციონისტი მიიჩნევს, რომ ადამიანების არჩევანი დამოკიდებულია უფრო იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ისინი გარემოს, ვიდრე იმაზე, თუ როგორია ტერიტორიის რეალური მდგომარეობა. აღქმა კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია კულტურის თავისებურებებზე. პერცეპციონისტები ამტკიცებენ, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ აბსოლუტურად ზუსტად აღიქვან თავიანთი გარემო და ამდენად მათი გადაწყვეტილებები რეალობის დამახინჯებაზეა დამოკიდებული. იმისათვის, რომ დაადგინონ რატომ განვითარდა გარკვეული კულტურის მქონე ჯგუფი საკუთარ ფიზიკურ გარემოში სწორედ ასე, და არა სხვანაირად, გეოგრაფებმა უნდა იცოდნენ არა მარტო ის, თუ რას წარმოადგენს გარემო, არამედ ისიც, თუ რას ფიქრობენ (როგორ აღიქვამენ) ამ გარემოს კულტურული ჯგუფის წევრები.

ყველაზე ნაყოფიერი კვლევა, რაც გარემოს პერცეფციონისტებს შეუსრულებიათ, განხორციელდა ბუნებრივ კატასტროფებთან (რისკის მქონე ბუნების მოვლენებთან; Natural Hazards) დაკავშირებით, როგორიცაა წყალდიდობები, გვალვა და სხვა. სხვადასხვა კულტურის ჯგუფები განსხვავებულად რეაგირებენ ერთსა და იმავე ბუნების მოვლენებთან დაკავშირებით. ზოგჯერ ჯგუფი თვლის, რომ ბუნების მოვლენები არის ღვთის გარდაუვალი ნების გამოხატულება; სხვები ცდილობენ თავიდან აიცილონ ეს მოვლენები ღმერთების გულის მოგებით (მაგ. მსხვერპლთშეწირვით); სხვა ჯგუფები მიიჩნევენ, რომ ამ მოვლენების თავიდან აცილებაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება. ყველა ეს მიდგომა (განსხვავებული აღქმა) დამახასიათებელი იყო უფრო ადრეული კულტურებისათვის. თანამედროვე დასავლურ კულტურებში ხალხს მიაჩნია, რომ ბუნების მოვლენები და ბუნებრივი კატასტროფები შეიძლება თავიდან აიცილონ, ანდა შეამცირონ ზარალი ტექნოლოგიების გამოყენებით.

პერცეფციონისტების იდეები განსაკუთრებით შთამბეჭდავია, როდესაც ისინი მიგრაციებთან დაკავშირებით გამოიყენება. მაგალითად, დადგინდა, რომ როდესაც ადამიანები გადადიან ერთი გარემოდან მეორეში, მათ ჩვეულებრივ წარმოუდგენიათ, ორივე - ძველი და ახალი - გარემო უფრო მსგავსია, ვიდრე ეს სინამდვილეშია. მაგალითად, როდესაც ამერიკელი ფერმერები აშშ-ის ტენიანი ახალი ინგლისიდან გადასახლდნენ უფრო დასავლეთით, დიდ ვაკეებზე, სადაც ჰავა უფრო მშრალია, ისინი ძალიან დიდხანს უშვებდნენ შეცდომებს სოფლის მეურნეობის გაძღოლისას და ვერ ეგუებოდნენ ახალ კლიმატურ პირობებს.

სხვადასხვა კულტურები, როდესაც თავიანთ გარემოს აფასებენ და იყენებენ, გამოდიან ძალიან განსხვავებული აღქმიდან: რაც ერთი ჯგუფისათვის მნიშვნელოვანი რესურსია, მეორე კულტურის ჯგუფისათვის შეიძლება უსარგებლო ან მავნეც კი იყოს. მაგალითად, ჩრდილო ამერიკელი ინდიელებისათვის, რომლებიც მონადირეობასა და შემგროვებლობას მისდევდნენ, ტერიტორია ფასობდა, იყო თუ არა იქ ტყე სავსე კენკრით, ველური ხილით ან ნადირით და მოიპოვებოდა თუ არა კაჟი, ქვის იარაღის დასამზადებლად. სასოფლო-სამეურნეო კულტურის მატარებელი ჯგუფები, რომლებიც იქვე დასახლდნენ XVII საუკუნეში, ტყეს უყურებდნენ როგორც მტერს (თუმცა ის ერთდროულად შეშის და საშენი მასალის წყარო იყო). მათთვის უფრო ფასობდა მოვაკებული ღია სივრცეები, კარგი ნიადაგი და წყალი. ინდუსტრიული საზოგადოების კულტურა, რომელიც იმავე ადგილზე წარმოიშვა XIX

საუკუნეში, უფრო აფასებდა მიწის ქვეშ არსებულ სასარგებლო წიაღისეულს – ქვანახშირს, მადანს, ნავთობს, გაზს, რომელთაც ადრეული კულტურები საერთოდ არ იცნობდნენ და ამდენად არ აღიქვამდნენ გარემოს ნაწილად.

<u>ადამიანი, როგორც დედამიწის გარდაქმნელი</u>[8]

გარკვეული თვალსაზრისით ეს არის გეოგრაფიული დეტერმინიზმის დიამეტრულად საწინააღმდეგო მიდგომა, ვინაიდან ასეთი მიდგომით მომუშავე კულტურის გეოგრაფები ყურადღებას ამახვილებენ ძირითადად იმაზე, თუ როგორ აყალიბებენ ბუნებას ადამიანები.

უკვე ანტიკურ ეპოქაში მეცნიერები ამჩნევდნენ, რომ ადამიანები გავლენას ახდენდნენ თავიანთ გარემოზე და, რომ კაცობრიობა ბუნების გარდამქმნელია. პლატონი, როდესაც მსჯელობდა ნიადაგის ეროზიაზე ათენის გარშემო დაახლოებით 400 წ. ძვ. წ.-ით, წუხდა, რომ ერთ დროს ნაყოფიერი მხარე ნიადაგის გარეშე დარჩა. ადამიანის გავლენა ფიზიკურ გარემოზე ამ უკანასკნელის შეცვლას იწვევს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ თუ ეს ცვლილებები წინასწარ არაა გათვლილი, მისი ეფექტი შეიძლება უარყოფითი იყოს თვით ადამიანისათვის. კულტურის გეოგრაფები ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ბუნებრივი გარემოს მიმართ დამოკიდებულება განსხვავებულია კულტურების მიხედვით. მაგალითად, იუდაისტურ-ქრისტიანული ტრადიციის შესაბამისად (ბიბლიის მიხედვით) ბუნების გარდაქმნა ღვთის მიერ ბოძებული ნებართვაა, რამდენადაც ღმერთმა ადამიანს მისცა მიწა ["ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა" – წერდა შოთა რუსთაველი] და ადმიანები ღმრთის შემწენი არიან დედამიწის გარდაქმნაში.

ჩრდილო ამერიკელები (აშშ-ის მოსახლეობა) განსაკუთრებით მკაფიოდ აღიქვამდენენ ადამიანების ბუნებასთან დაპირისპირებას და ხშირად ბუნებასთან "ომის მდგომარეობაშიც" კი განიხილავდნენ საკუთარ თავს. ამის მსგავსად, საბჭოეთის კულტურის ეპოქაში იყო გამოთქმა – "ჩვენ არ უნდა ველოდოთ წყალობას ბუნებისაგან, ჩვენი ვალია თვითონ ავიღოთ მისი სიმდიდრე". ასეთი უტილიტარული მიდგომა საბოლოოდ ბუნების დეგრადაციას იწვევს. ზოგიერთი კულტურული ჯგუფი კი უფრო ფრთხილად ეკიდება ბუნებას, ერიდება ბუნების ძალების "განრისხებას": ბევრი ასეთი კულტურისათვის (რომლებიც ამჟამადაც დასავლური ცივილიზაციისაგან შორს დგანან) ადამიანები ბუნების ნაწილია და ჰარმონიაში უნდა იმყოფებოდეს მასთან.

კულტურული ინტეგრაციის თემა

ურთიერთობა ადამიანსა და ბუნებას შორის, ანუ კულტურული ეკოლოგიის თემა, საერთოდ, ტრადიციული გეოგრაფიის დედაბოძია. მაგრამ ადამიანთა მოდგმის სივრცობრივი ვარიაციების ახსნა მოითხოვს კულტურული ფაქტორების მთელი რიგის მოშველიებას. კულტურის გეოგრაფი სცნობს, რომ კულტურის ყველა ასპექტი ურთიერთგადახლართულია, ანუ ინტეგრირებულია. სხვანაირად რომ ვთქვათ, კულტურა არის კომპლექსური მთელი და არა გარკვეული თვისებების

[8] Humans as Modifiers of the Earth

დაუკავშირებელი სერია. კულტურა არის ინტეგრირებული ერთეული, რომლის ყველა ნაწილი ერთმანეთთან მიზეზობრივად (კაუზალურად) არის დაკავშირებული. კულტურული ინტეგრაციის თემა ასახავს გეოგრაფის საქმეში ჩახედულობას, რომ ერთი კულტურული ფენომენის უშუალო შედეგი არის მეორე კულტურული ფენომენი. შეუძლებელია კულტურის ერთი ასპექტის გავრცელებულობის შესწავლა, თუ არ შევისწავლით იმავე კულტურის სხვა ასპექტებს, რათა დავადგინოთ როგორ არიან ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი და ინტეგრირებულნი.

მაგალითად, რელიგიურმა რწმენამ შეიძლება მოახდინოს გავლენა ჯგუფის ქცევაზე, არჩევნებზე ხმის მიცემისას, კვებაზე, ვაჭრობის თავისებურებებზე, დასაქმების ტიპებზე, სოციალურ მდგომარეობაზე.

ტრადიციული ინდუიზმი, ყველაზე გავრცელებული სარწმუნოებაა ინდოეთში, ადრე ახდენდა ადამიანების სეგრეგაციას კასტებად (ოფიციალურად ეს პრაქტიკაში აკრძალულია, მაგრამ ფაქტობრივად ინდოეთში ისევ არსებობს კასტობრივი დაყოფა); კასტა კი წინდაწინვე განსაზღვრავს რა პროფესიისა იქნება ადამიანი, რა სოციალური პოზიცია ექნება მას საზოგადოებაში. ისლამი კრძალავს ალოკოჰოლის, ნარკოტიკების მოხმარებას, და მკაცრ სასჯელს აწესებს ამ წესის დარღვევისათვის (ირანში, საუდის არაბეთში ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული). იუდაიზმი და ისლამი ღორის ხორცის მოხმარებას კრძალავს, ხოლო ინდოეთში ძროხაა აკრძალული. მართლმორწმუნე იუდაისტი (ებრაელი) მკაცრად იცავს შაბათს - სრულებით არ მუშაობს პარასკევს მზის ჩასვლიდან შაბათს მზის ჩასვლამდე. შესაბამისად, განსხვავდება კვების, ვაჭრობის თავისებურებები, დასაქმება. არსებობს მრავალი ფაქტი როდესაც კულტურის ერთი წახნაგი განაპირობებს სხვა წახნაგის წარმოშობას. კულტურული ინტეგრაციის თემა საშუალებას აძლევს გეოგრაფს თვალნათლად დაინახოს, თუ როგორ ეხმარება ეს შიდაკულტურული მიზეზობრივი ძალები სივრცობრივი ვარიაციების დადგენაში.

მართლაც, კულტურული ინტეგრაციის თემის მეშვეობით გეოგრაფებმა მიაღწიეს დიდი წარმატებებს კულტურის სივრცობრივი ვარიაციების ამხსნელი თეორიების შექმნაში. პარადოქსულად, იმისათვის რომ ავხსნათ როგორ არის კულტურა ინტეგრირებული, გეოგრაფებს უხდებათ კულტურის ელემენტების ცალ-ცალკე განხილვა, კულტურის კაუზალური ფაქტორების განცალკევება. მათ კარგად უწყიან, რომ რეალურ ცხოვრებაში იმდენად ბევრი მიზეზობრივი (კაუზალური) ფაქტორი მოქმედებს, რომ ყველა მათგანის ერთად შესწავლა შეუძლებელია; ამიტომაც ისინი იყენებენ კულტურის შესწავლის გამარტივებულ მეთოდს, რომელსაც მოდელირება ეწოდება. განსხვავებით ბუნებისმეტყველებისაგან, რომელთაც შეუძლიათ ლაბორატორიულ პირობებში შეისწავლონ ბევრი მოვლენა კულტურის შემსწავლელ გეოგრაფებს უხდებათ წარმოიდგინონ მოდელური მდგომარეობა, სადაც ცალკეული ფაქტორები იზოლირებულად იქნება შესწავლილი. მაგალითად 1830-იან წლებში გერმანელმა მეცნიერმა იოჰან ჰაინრიხ ფონ თიუნენმა (Johann Heinrich von Thünen) შექმნა იზოლირებული სახელმწიფოს მოდელი. მან იგი წარმოადგინა, როგორც ვაკე, რომელიც გარს აკრავს ცენტრალურ ქალაქს. მან დაუშვა, რომ ნიადაგები და კლიმატი მთელს სახელმწიფოში ერთნაირია და, რომ ყველა პირს ვინც ცხოვრობს მოცემულ მანძილზე, ქალაქიდან შეუძლია მოიტანოს გასაყიდი საქონელი თანაბარ დროში და თანაბარ ფასად. თიუნენის მიზანი იყო შეექმნა

იზოლირებული სახელმწიფოს მოდელი, რათა შეესწავლა ტრანსპორტირების ხარჯებისა და ბაზრამდე მზარდი მანძილის გავლენა სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენებაზე. შედეგად, მიღებულ იქნა თეორია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფრო რთულ რეალურ სიტუაციებში. მისი მოდელი დღემდე ღირებულია და გამოიყენება გეოგრაფების მიერ. ანალოგიურ მოდელებს ქმნიან კულტურის შემსწავლელი გეოგრაფებიც (ამის მაგალითია ტორსტენ ჰეგერსტრანდის კონცეფცია დიფუზიის შესახებ).

მაგრამ კულტურის გეოგრაფთა საგრძნობი, თუ არა უდიდესი, ნაწილი ცდილობს ახსნას სივრცობრივი კულტურული ვარიაციები ყოველგვარი მოდელების გარეშე. ისინი განიხილავენ გეოგრაფიას როგორც **იდიოგრაფიულ** მეცნიერებას, ანუ ისეთ მოვლენების შემსწავლელ მეცნიერებას, რომლებიც არასოდეს არიან იდენტური და ამიტომ არ ექვემდებარებიან გენერალიზაციას, რაც ესაჭიროება თეორიების ფორმულირებას. მეორეს მხრივ, თეორეტიკოსებს სჯერათ, რომ გეოგრაფია **ნომოთეტური**, ანუ კანონ-ჩამომყალიბებელი მეცნიერებაა და რომ მისი მთავარი მიზანი უნდა იყოს უნივერსალური პრინციპების აღმოჩენა. ბევრი გეოგრაფი ორივე ამ მიდგომას აფასებს და თვლის, რომ ყოველ მათგანს შეუძლია თავისი წვლილის შეტანა მეცნიერებებში.

საფრთხე, რომელიც თან სდევს კულტურულ ინტეგრაციას და მოდელირებას, ის არის, რომ მათ შეიძლება გეოგრაფები კულტურულ დეტერმინიზმამდე მიიყვანოს. ამ უკიდურესი თვალსაზრისით მომხრეები, რომელთაც ეს იდეა გეოგრაფიულ-დეტერმინიზმის საპირისპიროდ განავითარეს, ამტკიცებენ, რომ ბუნებრივი გარემო უმნიშვნელო ფაქტორია კულტურისათვის. კულტურის ნებისმიერი ასპექტი, მათი აზრით, მთლიანად განპირობებულია კულტურის სხვა ასპექტით. თვლიან, რომ ადამიანები და კულტურა იძლევა პასუხს ყველა სივრცობრივი ვარიაციის ასახსნელად. ადამიანები და კულტურა აქტიური ძალაა; ბუნება-პასიურია და ადვილად დასამორჩილებელი. სინამდვილეში კულტურული დეტერმინიზმი ისევე ცალმხრივია, როგორც გეოგრაფიული დეტერმინიზმი.

კულტურული ლანდშაფტი

კულტურული ლანდშაფტი არის ადამიანის მიერ შექმნილი, ხელოვნური ლანდშაფტი, რომელსაც კულტურის მატარებელი ჯგუფები ქმნიან დედამიწაზე განსახლების პროცესში. კულტურებმა გამოკვეთეს თავისი საკუთარი ლანდშაფტები იმ ნედლი მასალიდან, რომელიც მათ დედამიწამ მისცა. ყველა დასახლებულ ტერიტორიას აქვს კულტურული ლანდშაფტი, რომელიც ჩამოყალიბდა ბუნებრივი ლანდშაფტის გარდაქმნის გზით და ყველა მათგანი ასახავს იმ კულტურას, ვინც ეს ახალი ლანდშაფტი შექმნა. ლანდშაფტი კულტურის სარკეა და მასზე (კულტურულ ლანდშაფტზე) დაკვირვებით კულტურის გეოგრაფს შეუძლია ბევრი გაიგოს ადამიანთა იმ ჯგუფის შესახებ, ვინც ეს ლანდშაფტი შექმნა. კულტურების "ვიზუალური ჩანაწერი", რომელიც ლანდშაფტში იკითხება, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთმა კულტურის გეოგრაფმა ლანდშაფტის შესწავლა გეოგრაფიის ცენტრალურ ინტერესად მიიჩნია (ასეთი იყო, მაგალითად, ბერკლის გეოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი – კარლ ზაუერი).

რატომაა ესოდენ მნიშვნელოვანი კულტურული ლანდშაფტის შესწავლა? ალბათ, პასუხის ნაწილია ის, რომ ლანდშაფტი ვიზუალურად ასახავს კაცობრიობის ყველაზე არსებით მოთხოვნებს – საცხოვრებელზე, სურსათზე, ტანსაცმელზე და გართობაზე. კულტურული ლანდშაფტი აგრეთვე ასახავს სხვადასხვა ჯგუფების დამოკიდებულებას დედამიწის გარდაქმნის მიმართ. გარდა ამისა, კულტურული ლანდშაფტი შეიცავს ძვირფას ინფორმაციას კულტურების წარმოშობის, გავრცელებისა და განვითარების შესახებ (მაგალითად, სამხრეთ ინგლისის ბორცვების თხემებზე ჯერაც შეიძლება დავინახოთ ე.წ. "კულტურულ მინდვრების" კვადრატის ფორმის მქონე ძველი სახნავების კვალი, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ 2000 წლის წინ აქ კელტები ცხოვრობდნენ). ასეთი ინტერპრეტაციული ანალიზის შესაძლებლობის გამოა, რომ გეოგრაფებს იზიდავს კულტურულ ლანდშაფტის შესწავლა. თუ სწორედ იქნება შესწავლილი, დღევანდელმა კულტურული ლანდშაფტის ხილულმა მხარემ შეიძლება უკვე უხილავი კულტურის ასპექტები გვაჩვენოს, დღევანდელ მცხოვრებთა მიერ დავიწყებული წარსულის პრაქტიკა დაგვანახოს. ზოგჯერ იმაზეც კი მიგვითითოს, როგორ შეიძლებოდა და შეიძლება უკეთ გამოვიყენოთ ბუნებრივი რესურსები [მაგალითად, სამხრეთ საქართველოში - მესხეთში, დღემდე შემორჩენილი ტერასისებული ფერდობები ძველი სამიწათმოქმედო კულტურის კვალია, რომელიც პრაქტიკულად მიტოვებული იქნა 1944 წელს, მას შემდეგ რაც იქ მცხოვრები გამუსლიმებული ქართველი-მესხები, ე.წ. "მესხეთელი თურქები" (თურქი მესხები) გაასახლეს კრემლის ბრძანების თანახმად. შემდგომ მოსული მოსახლეობისათვის ასეთი ტერასირება უცნობი იყო და სათანადოდ ვერ მოუარეს მათ]. სხვა მაგალითია, დასავლეთ თურქეთის თამბაქოს პლანტაციები, რომლებიც იქ დამკვიდრდა XVIII საუკუნიდან და ადგილობრივი ბერძნული მოსახლეობის ძირითადი საქმე გახდა. 1923 წელს ბერძნების გასახლების შემდეგ, ეს პლანტაციები დაკნინდა, მაგრამ საბერძნეთის თამბაქოს მწარმოებელი რაიონებიდან გადმოსახლებულმა თურქმა გლეხებმა, რომელთაც ბერძნებისაგან შეითვისეს ეს კულტურა, ააღორძინეს თამბაქოს პლანტაციები, შემდგომში კი გაფართოებითი კულტურული დიფუზიის წყალობით თამბაქოს მოყვანა სხვა სოფლებშიც დაიწყეს.

კულტურული ლანდშაფტი მუდმივად იცვლება დროსა და სივრცეში, თუმცა თანამედროვეები ხშირად ვერ ამჩნევენ ამას.

კულტურული ლანდშაფტის შინაარსი მრავალფეროვანი და რთულია. გეოგრაფიული კვლევა კონცენტრირებულია ლანდშაფტის ძირითად ასპექტებზე, როგორიცაა: (1) დასახლების სისტემა, (2) მიწის დანაწილებისა და გამოყენების თავისებურებები და (3) არქიტექტურა.

დასახლების შესწავლისას კულტურის გეოგრაფები აღწერენ და ხსნიან შენობების, გზების, სხვა ნაგებობების განლაგებასა და სივრცით თავისებურებებს. მიწის გამოყენების სტრუქტურის შესწავლისას კულტურის გეოგრაფი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ ანაწილებენ მიწას ადამიანები თავიანთი ეკონომიკური და სოციალური მიზნებისათვის. დანაწილების კულტურული ასახვა შეიძლება სახელმწიფო ან კორპორაციულ საკუთრებაში მყოფი უზარმაზარი მიწის მასივებში გლეხური მეურნეობის პატარა ნაკვეთების შემოღობვით, კერძო მფლობელობაში მყოფ ნაკვეთში, ქალაქში მჭიდროდ განაშენიანებულ უბანში. მაგალითად, ინგლისის სასოფლო კულტურული ლანდშაფტის ყველაზე

თვალშისაცემი ელემენტია ქვის მდგრადი ყორეები, რომლებითაც მომიჯნავე მიწის ნაკვეთები ერთმანეთისაგან არის გამოყოფილი. ესაა შუა საუკუნეებიდან დაწყებული "შემოღობვების" ხილული შედეგი, როდესაც ადრე სათემო მიწა ღია მინდვრების სისტემით კერძო მფლობელობაში უმტკიცდებოდა ცალკეულ პირებს, რომლებსაც შეეძლოთ თვითონ აერჩიათ სოფლის მეურნეობის დარგი (ჩვეულებრივ შემოღობვას თან სდევდა მიწათმოქმედებიდან, მაგალითად ქერის მოყვანიდან, მეცხოველეობაზე, ძირითადად ნაზმატყლიან მეცხვარეობაზე გადასვლა, რომელიც ბევრად უფრო მომგებიანი იყო საბაზრო ეკონომიკის პირობებში). ამის საპირისპიროდ, სამხრეთ რუსეთის უზარმაზარი შემოუღობავი ნაკვეთები ერთგვაროვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურით, ძირითადად, მაჩვენებელია აქ საბჭოთა პერიოდში ჩატარებული მიწის ნაციონალიზაციისა, როდესაც კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები "ზემოდან დაშვებული" გეგმის შესაბამისად აწარმოებდნენ მასობრივად პროდუქციას. საქართველოშიც კი, რომლის მთაგორიანი რელიეფი ნაკვეთების მცირეკონტურიანობას უწყობს ხელს, 1930-იანი წლების კოლექტივიზაციის პერიოდიდან, ნაკვეთების გამასივებით გამოირჩეოდა და იშვიათი იყო ადგილობრივი მასშტაბით დიდი ვენახების ზვრების გაშენება [გავიხსენოთ ტიციან ტაბიძე – "ნეტავ სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო, ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი?"], მაგრამ 1990-იანი წლების შუაგულიდან დაწყებული პრივატიზაციის პროცესი თანდათანობით ცვლის, მიწის დანაწილებას და გამოყენების სისტემას, რაც დაეტყო სასოფლო რაიონების კულტურულ ლანდშაფტებს. ყველაზე კარგი საშუალებაა, დავაკვირდეთ დასახლებისა და მიწის გამოყენების ნახაზს, თვითმფრინავის ან შვეულმფრენის სარკმელიდან.

როგორც ჩანს, ადამიანური ლანდშაფტის არც ერთი ასპექტი ისე კარგად არ ჩანს მიწის ზედაპირიდან, როგორც არქიტექტურული სტილი. შენობები ყველაზე კარგად მიგვითითებენ განსხვავებულ კულტურებზე. მაგალითად, ტრადიციული სატაძრო არქიტექტურა დასავლეთ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში, სამხრეთ აზიაში და იაპონიაში, მკვეთრად განსხვავდება: საკმარისია დავინახოთ მინარეთი, რომ მივხვდეთ, რომ იმ უბანში მუსლიმური კულტურაა გავრცელებული (ანდა თუ როდის აიგო ის). ესპანური ბაროკოს სტილში ნაგები ეკლესია ლათინური ამერიკის კათოლიკური კულტურის უტყუარი ნიშანია. ნიუ-იორკის ცათამბჯენების ლანდშაფტი მკვეთრად განსხვავდება ამერიკული ქალაქის გარეუბნისაგან, სადაც ერთსართულიანი სახლები შემოუღობავ ეზოებში დგანან. კულტურის გეოგრაფები გარკვეულად განასხვავებენ ხალხურ არქიტექტურას (მაგალითად, სასოფლო სახლებს, რომლებიც ტრადიციული სტილითაა აგებული და ხშირად ათასწლოვან ტრადიციას ეყრდნობა) და პროფესიულ არქიტექტურას. ამ უკანასკნელშიც არის კულტურული განსხვავებები, რომლებიც სივრცობრივად ვლინდება (მაგალითად, იგივე ნიუ-იორკის და ყოფილი საბჭოთა ქალაქების მასივები მაღალი განაშენიანებით ხასიათდება, თუმცა განსხვავებულია როგორც მათი გეგმარება, ასევე სახლების ტიპები).

სხვადასხვა ტიპის სახლებში ცხოვრება თვითონ ქმნის განსაკუთრებულ კულტურას; მაგალითად, მრავალსართულიან სახლებში იზოლირებული ბინებით, მეზობლებს შორის კონტაქტი ძალიან სუსტია, სოციალიზაცია ძირითადად ხდება სკოლის, სამუშაო ადგილის დონეზე. პირიქით, დაბალსართულიანი გარეუბნის

ტიპის განაშენიანება მეტ მეზობლურ კონტაქტებს უწყობს ხელს, სადაც კულტურული დიფუზია უფრო ადვილია.

<u>კულტურული ლანდშაფტი დროში</u>

იმანუელ კანტმა, XVIII საუკუნის (1724-1804) სახელგანთქმულმა მეცნიერმა, მკვეთრი მიჯნა გაავლო ისტორიასა და გეოგრაფიას შორის: მან ჩათვალა, რომ გეოგრაფია ესაა მსგავსებისა და განსხვავებების შესწავლა სხვადასხვა ადგილებს შორის; გეოგრაფებს აინტერესებთ განსხვავება სივრცეში, ისტორიკოსებს – განსხვავება დროში. სინამდვილეში მიჯნა ასეთი მკვეთრი არაა. კულტურული თვისებების სივრცობრივი განაწილება დროში მომხდარი ცვლილებების შედეგია, ამდენად კულტურის გეოგრაფები ყოველთვის სწავლობდნენ სივრცობრივ თავისებურებების წარმოშობას დროის განმავლობაში. კულტურული ლანდშაფტები ხშირად არის ხოლმე ადამიანის საუკუნოვანი საქმიანობის შედეგი. ეკოლოგიური გადაწყვეტილებები, რომელთაც ადამიანები ღებულობენ, ფესვგადგმულია გარემოსთან წარსულ ურთიერთობებში, ხოლო კულტურული დიფუზია უკვე თავისი ბუნებით გარკვეული დროის განმავლობაში უნდა ხდებოდეს. კულტურა დროში განვითარების შედეგია და მისი შესწავლა დროითი განზომილების გარეშე შეუძლებელია.

კულტურული ლანდშაფტი ამ თვალსაზრისის ილუსტრაციაა. ბევრი რამ, რაც ამჟამად თვალში გვხვდება, მომდინარეობს დღეისათვის გამქრალი ფაქტორებითა და გარემოებებით. ამაში დავრწმუნდებით, თუ დიდ ქალაქში გავივლით. როგორც ძველ ქალაქებში, რომელთაც არქეოლოგები თხრიან და სადაც კულტურული ფენები ერთმანეთზეა დალაგებული, აქაც შეიძლება ვნახოთ ქალაქი ქალაქზე, ქალაქი ქალაქში. ასე, მაგალითად, თბილისის ცენტრში ის, რაც ადრე სავაჭრო დაწესებულება იყო, ამჟამად შეიძლება ოფისად გამოიყენებოდეს. სოლოლაკში XIX საუკუნის დიდი კერძო ბინები, რომლებიც "კულაკებმა" თავისი ოჯახის საჭიროებისათვის აიშენეს, როვოლუციის შემდგომ დანაწევრდა მრავალ ოჯახზე და "კომუნალური ბინები" წარმოიშვა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ შეცვალა ზოგიერთი უბნის ფუნქციაც და მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა (მაგალითად ი. ჭავჭავაძის გამზირზე, რომელიც მთავარ სავაჭრო არტერიად იქცევა, მაშინ როცა თავიდან მხოლოდ საცხოვრებელი ფუნქცია ჰქონდა).

ჩანართი 1.2 მაქს ვებერი (Max Weber) ტოლერანტობაზე[9]

"ჩვენ საჭიროდ მივიჩნევთ კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ, რომ ზოგჯერ გაჟღერებული მოსაზრება, თითქოს ტოლერანტობამ (შემწყნარებლობამ), როგორც ასეთმა, შექმნა ხელსაყრელი პირობები კაპიტალიზმის განვითარებისათვის, სრულებით არ შეესატყვისება სინამდვილეს. რჯულშემწყნარებლობა არაა სპეციფიკურად თანამედროვე და სპეციფიკურად დასავლური მოვლენა. პირიქით ჩინეთში, ინდოეთში, ელინიზმის პერიოდის წინააზიურ იმპერიებში, რომის იმპერიაში, ისლამის ქვეყნებში რჯულშემწყნარებლობა დიდი ხნის განმავლობაში ბატონობდა (და იზღუდებოდა მხოლოდ სახელმწიფოებრივი მოსაზრებებით, რაც

[9] იხ. M. Вебер, Избранные произведения. М.

ჩვენს დროშიც ხდება ხოლმე). აღმოსავლეთში და რომის იმპერიაში რჯულშემწყნარებლობა მეტ სიღრმეს აღწევდა ვიდრე XVI-XVII საუკუნეების დასავლეთ ევროპაში. განსაკუთრებით იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც პურიტანიზმი ბატონობდა, მაგალითად ჰოლანდიაში (ზელანდიაში) მისი უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში, პურიტანულ ინგლისში და ახალ ინგლისში (ჩრდილოეთ ამერიკაში), დასავლეთისთვის, როგორც რეფორმაციამდე, ისე მის შემდეგ, უფრო დამახასიათებელი იყო კონფესიური შეუწყნარებლობა (ისევე, როგორც მაგალითად სასანური ირანისათვის). იგივე ინტელორანტობა ცალკეულ პერიოდებში არსებობდა ისეთ ქვეყნებშიც, როგორიცაა ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი, მაგრამ იქ ის უმეტესწილად პოლიტიკურ მოტივებთან იყო დაკავშირებული. ამგვარად ტოლერანტობა (შემწყნარებლობა) როგორც ასეთი არავითარ შემთხვევაში არ არის დაკავშირებული კაპიტალიზმთან. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული ვისთვის არის ის სასარგებლო".

ამასთან ერთად ვებერი წერს: (გვ. 232)
"დასავლეთში ტოლერანტობის ძირითადი ისტორიული წყაროები იყო (თუ არ მივაქცევთ ყურადღებას ჰუმანისტურ განმანათლებლურ ინდეფერენტიზმს, რომელმაც დიდი პრაქტიკული გავლენა ვერ მოახდინა მასზე): 1) წმინდა პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოსაზრებები (არქეტიპია ვილიამ III ორანელი ინგლისში), 2) პურიტანიზმი (არქეტიპია ამსტერდამი და რიგი სხვა ქალაქებისა, აგრეთვე სხვადასხვა მემამულეები და მფლობელები რომლებიც სიამოვნებით ღებულობდნენ სექტანტებს, ვისაც ეკონომიკური პროგრესისათვის შეეძლოთ ხელი შეეწყოთ), 3) რადიკალური მიმდინარეობა კალვინისტურ რწმენაში (მაგალითად, ინდეპენდენტები - ინგლისში), 4) ბაპტისტური სექტები, რომლებიც იცავდნენ იმ პრინციპებს, რომ საეკლესიო თემები დაშვებულ უნდა იქნენ მხოლოდ აღორძინებულნი და ამიტომ ებრძოდნენ ეკლესიის დოგმატიკას.

დასკვნა

როგორც ვნახეთ, კულტურის გეოგრაფებს განსხვავებული სამეცნიერო ინტერესები გააჩნიათ. შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ მრავალ თემასთან, საგანთან, თვალსაზრისთან და მეთოდოლოგიასთან შეჭიდებულებს, რაც ამ თავშიც იყო აღწერილი, კულტურის გეოგრაფებს აკლიათ შესწავლის ერთიანი მიზანი. რა აქვს საერთო გეოგრაფს, რომელიც არქიტექტურას იკვლევს, ტავის კოლეგასთან, რომელიც გარემოს დეგრადაციის პოლიტიკურ და კულტურულ მიზეზებს შეისწავლის? რატომ მიეკუთვნებიან ასეთი განსხვავებული ინტერესის სფეროების მქონე მეცნიერები ერთსა და იმავე აკადემიურ დისციპლინას? რატომ არიან ყველა ისინი გეოგრაფები?

პასუხი ისაა, რომ, მიუხედავად კონკრეტული თემატიკისა, რასაც კულტურის გეოგრაფი შეისწავლის, ის აუცილებლად შეეხება რამდენიმე ან ყველა თემას იმ ხუთიდან, რომელზეც ზემოთ გვქონდა მსჯელობა. ეს თემები ერთი მთლიანის მჭიდროდ დაკავშირებული შემადგენელი ნაწილებია. სივრცითი ნიმუშები კულტურაში, როგორც კულტურის რეგიონების რუკებზე იყო ნაჩვენები, აისახება კულტურულ ლანდშაფტებში, რაც ეკოლოგიურ ინტერპრეტაციას ექვემდებარება,

წარმოადგენს კულტურის დიფუზიის შედეგს და კულტურული ინტერაქციის მოქმედებით აიხსნება.

კულტურის გეოგრაფიის სხვადასხვა თემების ზედდებისა და გადაფარვის მაგალითად განვიხილოთ არქიტექტურის ერთი ელემენტი, რომელსაც კარგად იცნობს ჩრდილოეთ ამერიკელთა უმეტესობა: რანჩოს სტილის, ერთი ოჯხის სახლი. სახლის ეს ტიპი ხასიათდება ერთსართულიანი სიმაღლით და მისი მხარეების ხაზობრივი განლაგებით. ასეთი სახლები გვხვდება აშშ-ის უმეტეს ტერიტორიაზე და, ნაწილობრივ, კანადაში, სხვა ქვეყნებში კი ის იშვიათობას წარმოადგენს. ნათელია, რომ ის კულტურული ლანდშაფტის ნაწილს წარმოადგენს და მისი სივრცითი გავრცელება ფორმალური კულტურის რეგიონს წარმოშობს, რაც რუკაზეც შეიძლება აისახოს.

სრული სურათის მისაღებად, ასეთი სახლების მკვლევარმა კულტურის გეოგრაფებმა, უნდა ჩართონ კულტურის გეოგრაფიის სხვა თემებიც. მათ შეიძლება გამოიყენონ კულტურის დიფუზიის კონცეპტი, რათა დაადგინონ როდის და რა გზებით წარმოიშვა და გავრცელდა შენობის ასეთი ტიპი და რა ბარიერებმა შეაფერხა მათი გავრცელება. ამ კერძო შემთხვევაში, გეოგრაფები შეიძლება დაუბრუნდნენ მეოცე საუკუნის დასაწყისს, როდესაც ქალაქების ცენტრებიდან მოშორებით პირველი საგარეუბნო განაშენიანება დაიწყო. ამ პერიოდში მიწა შედარებით იაფი იყო, რაც ისეთი ტიპის სახლის აშენების საშუალებას იძლეოდა, დიდი სივრცე რომ სჭირდება. უფრო მეტად თუ ჩაუღრმავდებიან, მკვლევარები იმასაც დაადგენენ, რომ ასეთმა დიზაინმა გავლენა იქონია ფრენკ ლოიდ რაიტის (Frank Lloyd Wright) თვალსაზრისზე ორგანული არქიტექტურის შესახებ, რომელიც ბუნების დომინანტობას აღიარებდა და რომელმაც წარმატებულ და ფართომასშტაბიან დიფუზიას ჩაუყარა საფუძველი. ამის გარდა, კულტურის გეოგრაფს დასჭირდება რანჩოს ტიპის სახლის ეკოლოგიური ინტერპრეტაცია. რა მასალა სჭირდებოდა ასეთი სახლის აშენებას? განსხვავდება თუ არა მისი აგების სტილი განსხვავებული კლიმატური და ეკოლოგიური რეგიონების მიხედვით, სადაც ისაა წარმოდგენილი? და ბოლოს, კულტურის გეოგრაფს შეიძლება მოუნდეს იმის დადგენაც, თუ როგორ იყო ინტეგრირებული რანჩოს ტიპის სახლის გამოყენება კულტურის სხვა ასპექტებთან. რამდენად შეუწყო ხელი ადამიანებს ეკონომიკურმა ცვლილებებმა და ცხოვრების სტანდარტებმა, რომ მიეღოთ და გამოეყენებინათ რანჩოს ტიპის სახლები? გამოიწვია ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა უფრო დახვეწილი სახლების მშენებლობა? რატომ გახდა ის კვინტესენციური (ყველაზე გავრცელებული/ტიპური) სახლის ტიპი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ამერიკაში, რაც ბევრ პოპულარულ სატელევიზიო შოუშიცაა ნაჩვენები? ხომ არ გააჩნია ამ უბრალო ნაგებობას გარკვეული სიმბოლურობა ტრადიციული ამერიკული ღირებულებების თვალსაზრისით? ამრიგად, გეოგრაფი, რომელიც საცხოვრისისს იკვლევს, სრულად არის დაკავშირებული კულტურის გეოგრაფიის სრულ ქსოვილთან და მას არ შეუძლია მკაცრად განაცალკეოს ისეთი თემა, როგორიცაა რანჩოს ტიპის სახლი, გეოგრაფიული მთლიანობისაგან. კულტურის რეგიონი, კულტურული ლანდშაფტი, კულტურული ინტერაქცია (ურთიერთქმედება), კულტურული ეკოლოგია და კულტურის დიფუზია ერთმანეთთან მჭიდროდ არიან გადახლართული.

ამგვარად, კულტურის გეოგრაფი გადადის ერთი თემიდან მეორეზე და ამით ახდენს ამ დისციპლინის ერთიანი ბუნების დემონსტრირებას. სწორედ ეს

მთლიანობაა, ფართო მრავალთემატური მიდგომაა, რითიც კულტურის გეოგრაფი განირჩევა კულტურის სხვა მკვლევარისაგან. შესაბამისად, კულტურის გეოგრაფიის კურსის შესწავლა, თითოეულს სძენს ახალ ხედვასა და პერსპექტივას დედამიწის, როგორც ადამიანთა სამყაროს საცხოვრებელი სახლის, შესახებ.

William Norton (2006). Cultural Geography: Environments, landscapes, Identities, Inequalities (Second Edition).
Printed in Canada by Oxford University Press

კულტურის გეოგრაფიის შესავალი

კულტურის გეოგრაფია მოწოდებულია ადამიანებისა და მათ მიერ დასახლებული ადგილების შემეცნებასთვის, კულტურული იდენტობისა და კულტურული ლანდშაფტების ანალიზის საშუალებით. ის მომდინარეობს კულტურის მიმართ უძველესი მიდგომიდან - განსაკუთრებით, ლანდშაფტის კულტურულ გეოგრაფიული აღწერიდან - სადაც კულტურა მიიჩნეოდა მიზეზ-შედეგობრივ (კაუზალურ) მექანიზმად და უფრო ახალი ინტერესიდან კულტურული პოლიტიკის, განსაკუთრებით, კულტურების სოციალური და სივრცითი აგებულების სახით. კულტურის გეოგრაფიის ინტერესის სფეროს წარმოადგენს როგორც ლოკალური, ასევე გლობალური დონეები. ის აცნობიერებს, რომ ბევრი რამ, რაც ვლინდება ლოკალურ მასშტაბში, გლობალურ საკითხებთან არის დაკავშირებული. კულტურის გეოგრაფია თავს უყრის როგორც ტრადიციულ, ისე უახლეს კონცეპტუალურ საფუძვლებს და მჭიდროდ უკავშირდება გეოგრაფიული მეცნიერების სხვა დარგებს, განსაკუთრებით, სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ფიზიკურ გეოგრაფიებს. სხვა აკადემიური დისციპლინებიდან ის განსაკუთრებით მჭიდრო კავშირშია ანთროპოლოგიასთან, იტორიასთან, პოლიტიკურ მეცნიერებასთან, ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიასთან; ასევე ისეთ ინტერდისციპლინურ დარგებთან, როგორიცაა კულტურული, ფემინისტური და ეთნიკური მოძღვრებები.

კულტურის გეოგრაფიის ამ განმარტების უკეთ გასაგებად განვიხილოთ ოთხი, ერთი შეხედვით, ძალიან გასხვავებული გეოგრაფიული ფენომენი: ხორბლის მინდვრები, ბუდისტური ტაძრები, გეების (ჰომოსექსუალი მამაკაცების) უბნები და სეგრეგირებული პლაჟები. ის, რაც მათ აქვთ საერთო, არის ის, რომ ყველა მათგანი არის ნაწილი კულტურული ლანდშაფტისა, რომელიც შექმნილია ან დროთა განმავლობაში გარდაქმნილია ადამიანების მიერ, რომლებიც, თავიანთი კულტურული იდენტობის გზით, მიეკუთვნებიან როგორც ლოკალურ, ასევე მოშორებულ ადგილებს. თავიდან, საკვებისა და თავშესაფრის ძებნისას, ადამიანებმა შეცვალეს და გარდაქმნეს ადგილობრივი ფიზიკური ლანდშაფტები უწესრიგო, არამდგრადი და შემთხვევითი სახით. დროთა განმავლობაში, კულტურისა და ტექნოლოგიების გაჩენასთან ერთად, ლანდშაფტების შეცვლისა და გარდაქმნის პროცესი სულ უფრო მიზანმიმართული გახდა. კულტურა, გაგებული როგორც ქმედების განხორციელების შესაძლებლობა, რომელიც იწვევს დასახულ შედეგს, უზრუნველყოფს ან ხელს უწყობს სასურველი ლანდშაფტების შექმნას, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ ლანდშაფტები, რომლებიც უნდა არსებობდნენ. ასეთი ლანდშაფტების, რომლებიც უნდა არსებობდნენ, შექმნა ვერასდროს ხერხდება სრულად, რადგანც ყოველ მოცემულ დროში გვაქვს როგორც სასურველი, ასევე არასასურველი ლადშაფტების ნიმუშები. გეოგრაფიის პოპულარული განმარტების პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, კულტურული გეოგრაფია შეისწავლის/იკვლევს სად რა ლანდშაფტებია განლაგებული, რატომ არიან ისინი იქ, სადაც არიან და რა

მნიშვნელობა აქვს ამ განსხვავებებსა და ცვლილებებს ერთი ადგილმდებარეობიდან მეორემდე.

შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ კულტურული გეოგრაფია პრაგმატული საკითხია. ადგილის როლი, რამდენადაც ის უკავშირდება ადამიანის არსებობის პირობას, ხაზგასმულ იქნა ცნობილი კულტურის გეოგრაფის, ვაგნერის მიერ (1990: 41), როცა მან განაცხადა, რომ 'თეორიულად კარგად დაფუძნებულ, ინტელექტუალურად სრულყოფილ და პრაქტიკულად ეფექტურ სოციალურ და კულტურულ გეოგრაფიას შეუძლია დროთა განმავლობაში იკისროს წამყვანი როლი კაცობრიობის გარემოს ევოლუციის წარმართვასა და დაცვაში'.[10] უეჭველია, რომ კულტურის გეოგრაფიის სტუდენტებს უხდებათ შეხებაში ყოფნა განსხვავებული კონცეფციებისა და ფაქტების სიმრავლესთან, რომლებიც ერთობლიობაში წარმოშობენ კითხვებს და თავაზობენ თვალსაზრისს ჩვენი სამყაროსა და მოსახლეობის არსებობის პირობების შესახებ. მართლაც, საზოგადოებრივი გეოგრაფიის უფრო ფართო დისციპლინის შიგნით, კულტურული გეოგრაფია აღიარებულია, როგორც სულ უფრო მზარდი ინტერესის სფერო. ზელინსკი (1995:750) აცხადებს, რომ კულტურის გეოგრაფია არის 'მეცნიერული დისკურსი, რომელმაც უდრტვინველი მარგინალობის კომფორტიდან გადაინაცვლა თანამედროვე საზოგადოებრივი გეოგრაფიის სწრაფი განვითარებისა და კრეატიულობის გადახურებულ ქარიშხალში'.[11] ეს ცვლილება დაიწყო დაახლოებით 1970-იან წლებში და სწრაფად გრძელდება ახლაც, რადგან კულტურის გეოგრაფია განიცდის ტრანსფორმაციას ძირითადად აღწერილობითი, ემპირიული დისციპლინიდან უფრო კონცეპტუალურად მრავალფეროვან კვლევა-ძიებად, რომელიც მოწოდებულია ადამიანებისა და ადგილების (ადგილმდებარეობების) მნიშვნელობის გასაგებად.

რას შეისწავლის კულტურის გეოგრაფია

თავიდან შემოგთავაზებთ სამ დისკუსიას (მსჯელობას), რათა მოკლედ გაგაცნოთ კულტურის გეოგრაფიის ზოგიერთი მთავარი მიდგომა.

პირველია კულტურის გეოგრაფიის ტრადიციული მიდგომა, რომელიც ე.წ. **ლანდშაფტური სკოლის** ფარგლებში ჩამოყალიბდა. ამ მიდგომის უმთავრესი ამოცანაა კულტურული ჯგუფების იდენტიფიკაცია, იმ ურთიერთობათა შესწავლა, რომლებსაც ახორციელებენ ეს ჯგუფები ბუნებასთან მიმართებაში, მათ მიერ დაკავებული გეოგრაფიული რეგიონების გამოყოფა და მათ მიერ შექმნილი ლანდშაფტების აღწერა.

მეორე მიდგომა უფრო ახალი ჩამოყალიბებულია და **ახალი კულტურის გეოგრაფიის** სახელითაა ცნობილი. თუმცა, რამდენადაც ეს ტერმინი 1980-იან წლებში წარმოიშვა, ახალი კულტურის გეოგრაფიის უმეტესი ნაწილი სულაც აღარაა ახალი. ეს მიდგომა ფოკუსს აკეთებს კულტურული იდენტობის არსზე, განსაკუთრებით იმაზე, თუ როგორ იქმნება იდენტობა, ერთის მხრივ, ადამიანთა სხვა ჯგუფებთან მიმართებაში და, მეორე მხრივ, ადგილებთან, როგორც სხვადასხვა ჯგუფებს შორის სადავო/კონკურენციულ სივრცეებთან მიმართებაში.

[10] Wagner, 1990: 41
[11] Zelinsky, 1995:750

მესამე მიდგომა ეძღვნება საკითხს, რომელიც არ ითვლება კულტურის გეოგრაფიის ტიპურ თემად; კერძოდ, იმ მიზეზებს, რის გამოც ადგილები ასახავენ მნიშვნელოვან სხვაობებს ცხოვრების დონეში. მაგალითად მოვიყვანთ შიმშილს აფრიკაში. ჩვენ ვასაბუთებთ, რომ ასეთი პრობლემები ცდებიან ტრადიციული და ახალი მიდგომების ფარგლებს და იმსახურებენ კულტურის გეოგრაფიის მზარდ ყურადღებას. სამივე დისკუსიას აერთიანებს ფუნდამენტური საკითხი, თუ როგორ ქმნიან კულტურული ჯგუფები ლანდშაფტებს, რომლებიც, თავის მხრივ, აძლიერებენ მათ კულტურულ იდენტობას.

ჯგუფების იდენტიფიცირება და ლანდშაფტების აღწერა

კულტურული გეოგრაფიის ტრადიციული საკითხია ჯგუფების იდენტიფიცირება, ჩვეულებრივ, გარკვეული კრიტეტიუმების მიხედვით, როგორიცაა ენა ან რელიგია. ამოცანას ასევე წარმოადგენს ამ ჯგუფების მიერ დაკავებულ არეალებში შექმნილი რეგიონული ლანდშაფტების აღწერაც. ამგვარი ნაშრომების უდიდესი ნაწილი 'კულტურისა' და 'ლანდშაფტის' ცნებებს/მნიშვნელობას არ აყენებს ეჭვქვეშ, თუმცა, როგორც შემდგომში ვნახავთ, ორივე ტერმინი კომპლექსური და არაერთაზროვანია. გამორჩეული/ განსხვავებული რეგიონული კულტურული ლანდშაფტის ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენს ამერიკის მთათაშორისი დასავლეთი, რომელიც დასახლებულია იესო ქრისტეს ბოლო დღეების წმინდანთა ეკლესიის წევრებით, რომლებსაც პოპულარულად მორმონებს უწოდებენ. ვინ არიან მორმონები და რა არის განსხვავებული იმ ლანდსაფტებში, რომლებიც მათ შექმნეს?

მორმონთა რელიგია წარმოიშვა 1830 წელს ნიუ-იორკის შტატის ჩრდილოეთში ჯოზეფ სმით უმცროსის (Joseph Smith, Jr.) გამოცდილების/მოსაზრებების/ხედვების, განცხადებებისა და მიღწევების საფუძველზე. თავისივე საკუთარი ანდერძის მიხედვით, სმითს ეწვივნენ ღმერთი და იესო და უთხრეს, რომ დაეარსებინა ახალი ეკლესია.ამ რელიგიაზე მოქცეულებმა აღიარეს წინასწარმეტყველური გამოცხადება და სმითი შერაცხეს წინასწარმეტყველად. მათ ირწმუნეს, რომ იესომ აღადგინა თავისი ეკლესია სმითის საშუალებით და მიიღეს *მორმონთა წიგნი* - დაახლ. ჩვენი ერის 600 წელს დასავლეთ ნახევარსფეროში ებრაელ იმიგრანტთა ანგარიში/მოხსენება - როგორც ბიბლიის დანართი/დამატება. ეკლესიის ზრდა სწრაფად მიმდინარეობდა და გადაადგილებათა სერია ოჰაიოს, მისურისა და ილინოისის გავლით 1847 წელს დაგვირგვინდა სოლტ-ლეიკ ველიში (მლაშე ტბის დაბლობში, Salt Lake Valey) - აღქმულ მიწაზე მიგრაციით. ამ ცენტრიდან მორმონებმა დაიწყეს იუტასა და მეზობელ შტატებში მიმდებარე დაბლობების სისტემატური და დისციპლინირებული დაკავება. ეკლესიის ორი ნიშან-თვისება გვეხმარება იმის ახსნაში, თუ რატომ მოქმედებდნენ ეკლესიის წევრები ჯგუფურად და რატომ ქმნიდნენ განსხვავებულ ლანდშაფტებს თავიანთი დასახლების არეალებში. პირველ ყოვლისა, ყველა წევრს ევალებოდა მონაწილეობა ეკლესიის საქმიანობაში, იმ სამუშაოთა ჩათვლით, რომელიც სოლტ-ლეიკ სითის გარშემო არსებულ ლანდშაფტებში დასახლებას ისახავდა მიზნად და რაც 1847 წლიდან დაიწყო. მეორეც, მორმონები არის მორწმუნეთა საზოგადოება, რომელიც მიმართავს თანამშრომლობით ძალისხმევას და სხვა წევრების მხარდაჭერას. თემის/ერთობის კონცეფცია თვალსაჩინოა მორმონთა სასოფლო დასახლების უპირატესად გავრცელებულ ნიმუშებში.

მორმონების სოფელი და სასოფლო ლანდშაფტი შეიცავს განმასხვავებელ ნიშნებს, რაც არ გვხვდება სხვა მიმდებარე არეალებში. ქალაქებში ეს ნიშნები გამოიხატება ქუჩების განსაკუთრებულ სიგანეში, შეუღებავ ფარდულებსა და ბეღლებში, რომლებიც უშუალოდ საცხოვრებელს ემიჯნებოდა, დიდი რაოდენობით I-ტიპის სახლებში[12] და მშენებლობაში ძირითადად აგურის გამოყენებაში (იხ. ნახ.??).

ნახ. ?? I-ტიპის სახლი

გარემომცველ სასოფლო არეალში გზის გასწვრივ გაჭრილი სარწყავი არხები, ღია მინდვრები, უხეში შეუღებავი ღობეები და თივის დასადები ხის კოშკურები ახასიათებს ლანდშაფტს. მორმონების სოფელი და სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტი, პირველ ყოვლისა, იმიტომაა განსხვავებული, რომ მორმონების კულტურული ჯგუფის წევრები იზიარებენ იმ თვისებებს, რომელიც გავლენას ახდენს მათ საქმიანობებზე, და სწორედ ეს საქმიანობები, დაკავშირებული მათ კულტურულ იდენტობასთან, ხსნის, თუ როგორ წარმოიშვა ლანდშაფტი და როგორ მოვიდა დღემდე არსებული სახით.მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეკლესიას საყოველთაო დაფარვა აქვს, ბევრი მორმონისათვის ლანდშაფტები, შექმნილი მთათაშორისი დასავლეთის საგრაფოებში, მათი კულტურული იდენტობის ფუნდამენტური კომპონენტია.

დომინანტური და სხვა კულტურული იდენტობები

კულტურული გეოგრაფიის უფრო ახალი ინტერესის სფერო იმაში მდგომარეობს, რომ აღწეროს და გაარკვიოს ტენდენცია ადამიანთა ზოგიერთი ჯგუფისათვის, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ ცალსახად დაკავშირებულნი სპეციფიურ ადგილებთან და არ ჰქონდეთ გამოკვეთილი იდენტობა, თუ როგორ შეიძლება გაერკვნენ ისინი თავიანთ საერთო იდენტობაში, ხშირად რომელიმე სხვა

[12] I-ტიპის სახლი კოლონიური პეროდიდან მოყოლებული აშშ-ში გავრცელებული ვერნაკულარული სახლის ტიპია. ტერმინი შემოიღო ხალხური არქიტექტურის სპეციალისტმა ფრედ კნიფენმა (Fred Kniffen) 1930 წელს იმის აღსანიშნავად, რომ ასეთი სახლები ძირითადად აშშ-ის "I"-ზე დაწყებულ შტატებში - ინდიანაში (Indiana), ილინოისში (Illinois) და აიოვაში (Iowa) ჭარბობდა.

დომინანტური იდონტობასთან დაპირისპირების გზით. ევროპის უდიდეს ნაწილში, ბოშები - რომლებიც ასევე რომას (საქართველოში - ციგნების) სახელით არიან ცნობილი - იბრძვიან, რომ შეინარჩუნონ თავისი ტრადიციული ცხოვრების წესი და რომ ხელი მიუწვდებოდეთ ისეთ ადგილებზე, რომელიც ხელს შეუწყობდა ასეთი ცხოვრების წესის შენარჩუნებას.

ბოშები, გაურკვეველი წარმომავლობის, თუმცა ოდეზღაც ეგვიპტიდან მოსული, მაგრამ, სავარაუდოდ, მეშვიდე საუკუნეში ინდოეთიდან მიგრანტთა შთამომავლები, და დაუდგენელი რაოდენობის - შეფასებით 4-დან 15 მილიონამდე - ხალხი, ლაპარაკობს ჰინდისთან დაკავშირებული ენის, რომანის (Romany), მრავალ დიალექტზე და არ აქვს საერთო რელიგია. მიუხედავად ამისა, ისინი საზოგადოდ განიხილებიან როგორც ცალკე ჯგუფი, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ამჯობინებენ დომინანტური კულტურების საზღვრებზე ცხოვრებას. მათ არ აინტერესებთ დაქირავებული და ხელფასით ანაზღაურებადი შრომა, რასაც ბევრნაირი გავლენა ექნება ცხოვრების წესსა და ლანდშაფტებზე. ისინი ძალიან მობილურები არიან და ამის გამო, მათ უყურებენ და ექცევიან როგორც უცხოებს, რადგან ბოშები არ რჩებიან დიდი ხნით რომელიმე ადგილზე. ეთნიკური ჯგუფების უმრავლესობისაგან განსხვავებით, ისინი არ არიან ასოცირებულნი რომელიმე კონკრეტულ ტერიტორიასთან.

მკვიდრად მცხოვრები მოსახლეობების მხიდან, მათ მიმართ დიდი ხნის განმავლობაში ეჭვით ყურებისა და მოპყრობის გამო, ბოშებმა მრავალი მტრობა და დევნა განიცადეს. ბევრი იძულებით მონობაში აღმოჩნდა რუმინეთში მე-19-ე საუკუნეში, 250-დან 500 ათასამდე კი ჰოლოკოსტოს დროს იქნა მოკლული. მათ მიმართ გრძელდება სტიგმატიზება (შეურცხყოფა) და აბუჩად აგდება, თუ ისინი რომელიმე სხვა ჯგუფს დაუპირისპირდებიან. მაგალითად, 2005 წლის ნოემბერში, სამხრეთ ინგლისის პატარა სოფლის მცხოვრებლებმა დაამზადეს იმიტირებული ქარავანი სანომრე დაფით 'PIKEY' (კნინობითი ტერმინი, მომდინარე ძველი მთავარი გზების - turnpike - სახელიდან, რომელზეც მოგზაურობდნენ ბოშები), ფანჯრებზე მიახატეს ბოშების ოჯახი და, შემდეგ, ქარავანი დაწვეს. ამგვარი შემთხვევები არ არის იშვიათი.

ამ ჯგუფის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას აღრმავებს იმ ლანდშაფტების სიძულვილიც, რომლებსაც ბოშები იკავებენ. ბოშების ლანდშაფტები, ჩვეულებისამებრ, მარგინალურია. ეს შეიძლება იყოს გამოუყენებელი არეალი ქალაქის ფარგლებში ან გზის მიმდებარე ტერიტორია. მათ შეიძლება ვუწოდოთ გამორიცხვის ლანდშაფტები (landscapes of exclusion), რადგან ისინი მდებარეობენ დომინანტური კულტურული ჯგუფის მიერ დაკავებული ადგილების მიღმა. მეტიც, ეს ეს ლანდშაფტები განსხვავებულია, რადგან ისინი ხასიათდებიან უწესრიგობით და ძნელად გასაგებია/აღსაქმელია მათთვის, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ამ ჯგუფს (ბოშებს), განსაკუთრებით, როცა ხდება ასეთი არამიმზიდველი ლანდშაფტების შედარება საგარეუბნო საცხოვრებელი კარ-მიდამოების წესრიგთან. ბოშებიც და მათი ლანდშაფტებიც გარკვეულწილად ამოვარდნილი არიან ძირითადი საზოგადოებიდან და მთავარი სივრციდან; ეს კი ხელს უწყობს როგორც ბოშების, ასევე მათ მიერ დაკავებული ლანდშაფტების მიმართ ნეგატიური შეხედულების ჩამოყალიბებას.

აღნიშნული ჯგუფის მომავალი, მისი ცხოვრების წესი და მისი ლანდშაფტები გურკვეველია. ევროპის უმეტეს ქვეყნებში მთავრობები სულ უფრო ართულებენ ბოშათათვის თავიანთი ტრადიციული ცხოვრების წესის შენარჩუნებას. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, 1994 წლის საკანონმდებლო აქტმა ადგილობრივ ხელისუფლებას მოუხსნა მობილური მოსახლეობისათვის ადგილების გამოყოფის ვალდებულება და დანერგა კანონები იმ ხალხის დასაჯარიმებლად, ვინც ნებართვის გარეშე გაჩერდება ღია სივრცეებში.

უთანასწორო სამყაროები

ადამიანები და ლანდშაფტები უდაოდ არაერთგვაროვანნი არიან; ეს ის ფაქტია, რომელიც ფუნდამენტურია კულტურული იდენტობისა და კულტურული ლანდშაფტების გასაგებად. ადგილებს შორის განსხვავებები ცხოვრების ხარისხის თვალსაზრისით თვალსაჩინოა ყველა სივრცით დონეზე - ლოკალურ, რეგიონულ, ეროვნულ და გლობალურ დონეებზე. გლობალურ მასშტაბში ყველასათვის ძალიან ადვილი გასარჩევია განსხვავებები მეტად და ნაკლებად განვითარებულ სამყაროებს შორის. მათ ფონზე სუბ-საჰარას აფრიკის (საჰარის სამხრეთით მდებარე) ქვეყნები განსაკუთრებით გამოირჩევიან შეზღუდული განვითარების ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა მაღალი ფერტილურობა, ბავშვთა მაღალი მოკვდაობა, სიცოცხლის დაბალი ხანგრძლიობა, დაბალი შემოსავალი და არაადექვატური ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურა. ცხრილი ??? ხაზს უსვამს ზოგიერ ასეთ მახასიათებელს მალავისა და კანადის 2004 წლის მონაცემებზე დაყრდნობით.

ცხრ. ?? ორი სამყარო

	მალავი	**კანადა**
მოსახლეობის საერთო რაოდენობა (მილიონი)	11.9	31.9
შობადობის დონე (‰)	51	11
სიკვდილიანობის დონე (‰)	21	7
ბავშვთა სიკვდილიანობა (1000 კაცზე)	121	5.2
სიცოცხლის ხანგრძლიობა (წელი)	44	79
შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე (აშშ $)	570	28,930
აივ/შიდს[13]-ით დაავადებული მოსახლეობის %	14.2	0.3

წყარო: Population Reference Bureau, 2004 World Population Data Sheet (Washington, DC: Population Reference Bureau, 2004).

კანადის მონაცემები დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისათვის; მალავისა კი - სამწუხაროდ, ბევრი სუბ-საჰარის აფრიკის ქვეყნისათვისაა ტიპური. კულტურის გეოგრაფთა უმეტესობა მიესალმება ადგილებს შორის განსხვავებას ადამიანთა და ლანდშაფტების თვალსაზრისით, რაც წარმოაჩენს განსხვავებული კულტურების საქმიანობას განსხვავებული ფიზიკური გარემოში; თუმცა ზემოთ მოყვანილ განსხვავებებში არაფერია მისასალმებელი. მარტივად რომ ვთქვათ, მალავი და მალაველები სახიფათო მდგომარეობაში არიან.

[13] ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი/შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი

ამ მძიმე სიტუაციის კიდევ უფრო აძლიერებს ის ფაქტი, რომ მალავი, სუბ-საჰარის აფრიკის ქვეყნების უმეტესობასთან, ზამბიისა და ზიმბაბვეს ჩათვლით, ერთად, განსაკუთრებით მიდრეკილია შიმშილობისა და დაავადებების მიმართ. 2002 წელს გამოცხადებულ იქნა ეროვნული კატასტროფის მდგომარეობა, შიმშილობის ფართოდ გავრცელების გამო; გამოცხადდა, რომ მოსახლეობის 70 პროცენტი შიმშილობის ზღვარზე იმყოფებოდა. ბევრი მალაველი ღარიბი კიდევ უფრო ღარიბდება, რადგან იძულებულია რომ გაყიდოს თავისი ისედაც უმნიშვნელო ქონება, ზოგი მშობელი კი შვილებსაც ყიდის, რომ თავიდან აიცილოს მათი გამოკვების პასუხისმგებლობა. ადგილობრივად, 2002 წელს დაერქვა *ჩინკუკუზი* (chinkukuzi), რაც ადგილობრივ ჩიჩევას (Chichewa) ენაზე ნიშნავს 'წელს, როდესაც ვერავინ გადარჩება'. ერთი წლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ 2002 წლის სურსათის კრიზისი ყველაზე უარესი იყო მეხსიერებაში არსებულთა შორის, რამაც ათასობით სიცოცხლე შეიწირა.

შიმშილობას სხვადასხვა მიზეზები აქვს, მათ შორის კონფლიქტები, გვალვა და კორუმპირებული ხელისუფლება. მალავიში შიმშილობის ამჟამინდელი ხელშემწყობი ფაქტორები მოიცავს ძლიერ წყალდიდობებს, რამაც დაანგრია ხიდები და რკინიგზა, ხელისუფლების არასწორ მენეჯმენტსა და დახმარების შემცირებას დასავლეთიდან ქვეყანაში კორუფციისა და დაუსაბუთებლად მაღალი ხარჯების მიზეზით. თუმცა, შიმშილობას მალავიში კიდევ უფრო ართულებს ის, რომ, პრინციპში, ეს ყოველწლიური მოვლენაა. სურსათის ნაკლებობა ჩვეული რამაა 'მშიერი თვეების" - დეკემბრიდან მარტამდე - განმავლობაში. ეს თვეები საკვები კულტურების ზრდის პერიოდია, წინა წლის მოსავალი კი იშვიათად არის საკმარისი მთელი 12 თვის განმავლობაში, შემდეგი მოსავლის მიღებამდე. შიმშილობა მალავიში ვერ დაბრალდება მხოლოდ სასტიკ დიქტატორს, დამანგრეველ სამოქალაქო ომს ან საშინელ ამინდს. უბრალოდ, შიმშილობა მალავიში ენდემური მოვლენაა.

სამწუხაროდ, საკვების ქრონიკული ნაკლებობა არ არის მალავისათვის ერთადერთი პრობლემა. აივ/შიდს-ის 14 პროცენტი (შეფასებით) ერთ-ერთი უმაღლესია მსოფლიოში; მალავის კი ჯერაც არ აქვს მისი პრევენციის (თავიდან აცილების) ეფექტური პოლიტიკა და ჯანდაცვის მინიმალური საშუალებები, სექსუალურ თემებზე მსჯელობა კი მნიშვნელობანწილადაა ტაბუ დადებული.

ძირითადი ტერმინოლოგიური მსჯელობები (ქვეთავი What this Book is About. პარაგრაფი Four Terminological Challenges)

ხშირად, სოციალურ მეცნიერებაში ძირითადი ტერმინები სხვადასხვანაირადაა გაგებული სხვადასხვა სპეციალისტის მიერ და განსხვავებული კონტექსტის არსებობისას. კულტურულ გეოგრაფიული შესწავლისას საქმე გვაქვს ოთხ უმნიშვნელოვანეს ტერმინთან, რომელთა შესახებ მსჯელობა აუცილებელია ამ დისციპლინის მიდგომებისა და კონცეფციების გასაგებად.

კულტურა

კულტურის გეოგრაფებისათვის ერთ-ერთი უდიდესი ტერმინოლოგიური გამოწვევა თავად **კულტურის** ცნებაა, რაც მნიშვნელოვანი დებატების გამომწვევი საგანია. ერთი ნაშრომი ირწმუნება, რომ კულტურა 'ორ ან სამ ყველაზე რთულ სიტყვათა შორისაა ინგლისურ ენაში' (Williams 1976:87). საზოგადოებრივ გეოგრაფიაში შემავალი სხვა სუბდისციპლინები, როგორიცაა პოლიტიკური ან ეკონომიკური გეოგრაფია, არ

მიიჩნევენ კულტურის განსაზღვრების პრობლემას ისე რთულად, როგორც კულტურის გეოგრაფიას მიაჩნია. უბრალოდ, 'პოლიტიკისა' და 'ეკონომიკის' ცნებებისაგან განსხვავებით, 'კულტურის' ცნება სადავოა, რასაც გეოგრაფიაში კულტურის სათანადო სამუშაო განმარტებასთან მიმართებაში დიდ გაურკვევლობებამდე მივყავართ. მართალია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს გაურკვევლობა კულტურის გეოგრაფების შეშფოთების მთავარ საგანს წარმოადგენს, მაგრამ, სინამდვილეში, კულტურის კონცეფციების გარშემო არსებული დებატები, მიუხედავად მათი მნიშვნელოვნებისა, მაინც არ არის ცენტრალური კულტურის გეოგრაფიის შესწავლისას. საქმე ისაა, რომ კულტურის სხადასხვაგვარი მნიშვნელობაა მართებულად მიჩნეული, რაც ნამდვილად ღირებულია დისციპლინისათვის, ასეთი დებატების პირობებში.

კულტურული და სოციალური

მეორე გამოწვევა მომდინარეობს იმ აღრევიდან, რაც მჭიდროდ დაკავშირებულ ტერმინს - 'საზოგადოება' (society)- ახლავს. შესაბამისად, არსებობს განსხვავებები იმაში, თუ როგორ იხმრებიან სიტყვები - 'კულტურული' და 'სოციალური' - კულტურის გეოგრაფიაში. ზოგადად, ეს დებატი მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ამ ტერმინების თაობაზე გაურკვევლობები დიდ ხნის განმავლობაში არსებობს სხვა სოციალურ მეცნიერებებშიც, განსაკუთრებით ანტროპოლოგიასა და სოციოლოგიაში. თუმცა, არსებობს რეგონული სხვაობები პრეფერენციებში, როცა, ტრადიციულად, 'კულტურული' უპირატესად გამოიყენებოდა ამერიკელი გეოგრაფების მიერ, 'სოციალური' კი - ბრიტანელი და სხვა ევროპელი გეოგრაფების მიერ. 'კულტურის' ტერმინის მიმართ არსებული გაურკვევლობის მსგავსად, უნდა ვთქვათ, რომ, მართალია ეს ორი ტერმინი ორ სხვადასხვა კონცეფციას ეძღვნება, მათი ზუსტი განსაზღვრების შესახებ დავა უმთავრესად დისციპლინის განვითარების ისტორიის შემთხვევაა და არ წარმოადგენს რამე მნიშვნელოვან ინტელექტუალურ ღირსებას თანამედროვე კულტურის გეოგრაფიისათვის.

ამას გარდა, უნდა გავაცნობიეროთ, რომ კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები ურთიერთ დაკავშირებულია. ამის გამო, საზოგადოებრივი გეოგრაფიის ტრადიციულ დაჟინებას, რომ ეს სუბდისციპლინები ისწავლებოდეს და გამოიკვლეოდეს დამოუკიდებლად, გარკვეული შეზღუდვები გააჩნია. მართლაც, ისეთ ფენომენს, რომელიც **კულტურული შემობრუნების** (cultural turn) სახელითაა ცნობილი, შეიძლება შევხედოთ, როგორც კულტურის გეოგრაფიის გაგრძელებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. ტერმინი 'კულტურული შემობრუნება' განეკუთვნება ფილოსოფიისა და სოციალური თეორიის მიღწევებს - როგორიცაა პოსტსტრუქტურალიზმი, პოსტმოდერნიზმი და პოსტკოლონიალიზმი - რომლებიც ერთობლივად წაახალისებენ კულტურის მნიშვნელობის მეტად აღიარებას ადამიანის ცხოვრების შესწავლისას. მაგალითად, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური კონტექსტის მოხმობით, პოლიტიკურ გეოგრაფიას უადვილდება იმ ცვლილებებისა და გარდაქმნების გზების ახსნა, რომლებიც იწვევენ პოლიტიკური სამყაროსა და პოლიტიკური ცხოვრების შეცვლას. მსგავსად, თანამედროვე ეკონომიკური გეოგრაფიაც ითვალისწინებს კულტურულ, ისევე როგორც სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებს. ეს სახელმძღვანელო აღიარებს როგორც კულტურული ფაქტორის მნიშვნელობას გეოგრაფიის სხვა

ტრადიციულ სუბდისციპლინებში, ასევე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების რელევენტურობას კულტურის გეოგრაფიაში.

თანამეროვე პოლიტიკური და ეკონომიკური სამყაროების დისკუსიებში ცენტრალური საკითხია **გლობალიზაცია**. ეს ტერმინი ეხება საერთაშორისო დონეზე გაფანტული საქმიანობების ფუნქციურ ინტეგრაციას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს საკითხი იყოს ადამიანებისა და ადგილების კულტურული ანალიზის მოწინავე ხაზზე. გლობალიზაცია გავლენას ახდენს როგორც იდენტობაზე, ასევე ლანდშაფტზეც. სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეს გავლენა აკნინებდეს ლოკალური იდენტობისა და ადგილის მნიშვნელობას, თუმცა, უმეტესად, ის წარმოშობს დაძაბულობას გლობალურსა და ლოკალურს შორის.

ბუნება

მესამე ტერმინოლოგიური დაპირისპირება ფოკუსირდება სიტვის - 'ბუნება' - მნიშვნელობაზე. მაშინ, როცა კულტურა მართლაც რთული ტერმინია, 'ბუნება, შესაძლოა, ყველაზე რთული სიტყვაა ენაში' (Williams 1976:184). იმის გათვალისწინებით, რომ კულტურის გეოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი ბუნებასა და კულტურას შორის ურთიერთობების ანალიზი და შემეცნებაა, ბუნების მნიშვნელობის გარშემო არსებული გაურკვევლობა დიდ სირთულეებს წარმოქმნის. პირობითად, შეიძლება ვთქვათ, რომ ბუნება არი კულტურის საპირისპირო. შესაბამისად, ბუნება მატერიალური სამყაროა ადამიანის გარეშე. თუმცა, ბუნების ასეთი განმარტება საკამათოა და არსებობს ალტერნატიული მოსაზრებებიც.

ლანდშაფტი

მეოთხე საკამათო ტერმინია ლანდშაფტი. ამ ტერმინთან მიმართებით სირთულე მდგომარეობს მისი საწყისი მნიშვნელობის გაურკვევლობაში და, უფრო ნაკლები დოზით, სხვადასხვა დაპირისპირებებში კულტურის გეოგრაფიაში ამ ტერმინის შემომტანი ზაუერისეული[14] გაგების მიმართ. ლანდშაფტის ზაუერისეული კლასიკური განმარტება ეხება ბუნებრივი სამყაროს კულტურულ ტრამსფორმაციას, ხილვად და მატერიალურ მახასიათებლებზე ფოკუსირებით და დედამიწასა და სიცოცხლეს შორის მჭიდრო კავშირის ხაზგასმით - ანუ ეს არის სასიცოცხლოდ/საცხოვრებლად გამოყენებული ლანდშაფტი.

გაურკვევლობები ამ ტერმინის ირგვლივ ძირითადად იქიდან მომდინარეობს, რომ ეს სიტყვა ინგლისურენოვან მეცნიერებაში შემოვიდა გერმანული ნაწარმოები სიტყვიდან *Landschaft*. *Land* აღნიშნავს იმ არეალს, რომელიც ადამიანთა ჯგუფის მიერ გამოიყენება არსებობისათვის, *schaft* კი - სოციალური ერთობის 'ჩამოსხმას', ფორმის მიცემას. შესაბამისად, *Landschaft* აღნიშნვს ჯგუფურ საქმიანობებსა და გამოცდილებებს, რომელიც ხდება კონკრეტულ ადგილზე. ბევრად ადრე, ფრანგი და გერმანელი კულტურის გეოგრაფების ინტერესის სფეროს წარმოადგენდა ადამიანთა ჯგუფებისა და მათი ტერიტორიების მდებარეობა და აღწერა და ლანდშაფტის სწორედ ეს ინტერპრეტაცია დანერგა ზაუერმა ჩრდილო ამერიკაში. მაგრამ ინგლისურ ენაში ლანდშაფტის მეორე მნიშვნელობაც პოპულარული გახდა. ის გულისხმობს ლანდშაფტის, როგორც პეიზაჟის ვიზუალურ, გამოსახვით მხარეს და ეხება იმას რაც ჩვენს მიღმაა და არა ჩვენივე ნაწილი. ესაა ლანდშაფტი, რომელსაც

[14] კარლ ზაუერი -

ვუცქერთ და რასთანაც კავშირს მხოლოდ ესთეტიკური თვალსაზრისით ვახდენთ. ლანდშაფტის ორივე ეს მნიშვნელობა პრივილეგირებულ ხედვას ემსახურება.

Providing a Context

კულტურული გეოგრაფია არის აკადემიური და პრაქტიკული ინტერესის ერთი მრავალთაგანი სფერო, რომელიც ეხება ადამიანის საქმიანობასა და ადამიანის იდენტობას. ამ დისციპლინის ცალკეული შესწავლის სფეროების გასაგებად აუცილებელია ცოდნის **სოციალური კონსტრუქციის** გაგება. ყველა იდეა, თეორიების ჩათვლით, სპეციფიურ სოციალურ, კულტურულ და ისტორიულ კონტექსტში ვიტარდება. ეს კონტექსტები გავლენას ახდენენ ჩვენს იდეებზე, ისე, რომ ყველანაირი ცოდნა - იმ ცოდნის ჩათვლით, რაც ითვლება, რომ ნამდვილია - სოციალურად კონსტრუირებულია.

მიუხედავად იმისა, რომ კულტურის გეოგრაფიის მეცნიერული ისტორია ხანგრძლივია, იმ დაშვებით, რომ კულტურული და სოციალური საკითხები - განსაკუთრებით, ადამიანის ქცევის შესახებ - თვალნათლივ იყო წარმოჩენილი ბერძნულ, ჩინურ და ისლამურ ცივილიზაციებში, მეთვრამეტე საუკუნის შუახანებამდე დასავლეთ ევროპაში ასეთ საკითხებს არ მიუპყრიათ საყოველთაო ყურადღება. კლასიკური საბერძნეთიდან მეთვრამეტე საუკუნის შუახანებამდე მეტად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მნიშვნელოვანი სამეცნიერო წარმატებები იქნა მიღწეული როგორც ისტორიაში, ასევე ფიზიკურ მეცნიერებებში, სოციალურ და კულტურულ საკითხებში კი - ძალიან მცირე.

სოციალური მეცნიერებების აღმავლობა

დაახლოებით 1750 წლისათვის, სოციალური მეცნიერება - საპირისპიროდ სოციალური მეცნიერებებისა - ინტელექტუალური ელიტების ინტერესის უკვე მიღებულ სფეროს წარმოადგენდა, თუმცა ის ჯერაც არ იყო აკადემიური შესწავლის საგანი უნივერსიტეტებში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა განსხვავებული მოსაზრებები სოციალური მეცნიერების მიზნისა და პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ, დომინირებდა ორი ძირითადი შეხედულება. პირველ შემთხვევაში, სოციალური მეცნიერების მიზნად მოიაზრებოდა ახალი ზოგადი პრინციპების აღმოჩენა, რომლებიც შექმნიდნენ საფუძველს მეცნიერული კვლევისათვის. **ემპირიციზმი** უნდა ყოფილიყო დომინანტი ამ მცელობაში. ეს არის მიდგომა, რომელიც ამტკიცებს, რომ ყველა ფაქტობრივი ცოდნა ემყარება გამოცდილებას (ცდას), ადამიანის გონება კი სამყაროსთან შეხებამდე არაფერია სხვა, თუ არა სუფთა დაფა (*tabula rasa*). მეორე თვალსაზრისით, სოციალური მეცნიერების ცენტრალური მიზანი უნდა ყოფილიყო სოციალური პროგრესის ხელშეწყობა, ჩვენივე თავის შესახებ ჭეშმარიტების გამოვლენის გზით.

ერთად, ეს ორი მოსაზრება ასახავდა **განმანათლებლობის** პერიოდის უპირატეს ფილოსოფიურ იდეას. სოციალური მეცნიერების დისციპლინების შემდგომი აღმავლობა დაემთხვა ცვლილებებს, და თავისი წვლილი შეიტანა მათში, რომლებსაც ადგილი ჰქონდა **ინდუსტრიული რევოლუციისა** და **კაპიტალიზმის** სოციალურ და ეკონომიკურ სისტემის ჩასახვისას. გასაკვირი არაა, რომ მკვეთრი ცვლილებების ამ პერიოდმა ხელი შეუწყო იმ დისციპლინების დაარსებას, რომელთაგან თითოეული

მოწოდებული იყო საზოგადოებისათვის გაეწია სამსახური, პრობლემების გამოვლენითა და გადაჭრის გზების შეთავაზებით. ასე რომ, უკვე მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მოხდა სხვადასხვა სოციალური დისციპლინების გამოყოფა და ინსტიტუციონალიზაცია უნივერსიტეტებში, სადაც მათმა მრავალმა მიმდევარმა დაიწყო კონკრეტული მეთოდებისა და კვლევის საგნის შემოთავაზება/განსაზღვრა. სწორედ ეს სპეციალიზაცია გახდა ტენდენცია, რომელმაც მოიცვა ფაქტების სწრაფად მზარდი სამყარო, განაპირობა უნივერსიტეტების აღმავლობა, სპეციალიზებული საზოგადოებებისა და ჟურნალების დაარსება და მეცნიერთა სურვილი, რომ თავიანთი დისციპლინა სხვა ახლად დაარსებული დისციპლინების რიგში/დონეზე დაეყენებინათ. ასეთი განვითარება შეიძლება დავახასიათოთ, როგორც **მოდერნიზმის** აღმავლობის შემადგენელი ნაწილი. ყოველივე ეს იწვევდა გარკვეულ პრეტენზიებს იმის თაობაზე, თუ რამდენად შეძლებდნენ ახალი სოციალური მეცნიერებები ჭეშმარიტების გენერირებას ადამიანების შესახებ იმის მსგავსად, რასაც ფიზიკური მეცნიერებები უკეთებდნენ გენერირებას ბუნების შესახებ და იმისაგან განსხვავებით, რასაც გულისხმობდა რელიგიაზე ფოკუსირებული ადრინდელი მიდგომები ანუ **მეტაფიზიკა**. მართლაც, იყო არგუმენტები სოციალური მეცნიერებების მიერ ფიზიკური მეცნიერებების მიდგომების გადმოღების საწინააღმდეგოდ, რისი არგუმენტიც ძირითადად ეყრდნობოდა იმას, რომ ეს უკანასკნელი იყო დეჰუმანიზირებადი (ე.ი. უგულვებელმყოფელი იმისა, რაც ნიშნავს ადამიანურს), თუმცა ასეთი მოსაზრება ვერ ცვლიდა ძირითად ტენდენციას.

დაახლოებით 1900 წლისათვის სოციალური მეცნიერების ძირითადი დისციპლინები მტკიცედ იყვნენ ჩამოყალიბებული და ამ პერიოდიდან მოყოლებული დამატებები და ცვლილებები მნიშვნელოვნად შეიზღუდა. ეს მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც ჯონსტონი (Johnston 1985:5) აღნიშნავს, აკადემიურ დისციპლინას, შექმნის შემდეგ 'აქვს განსაზღვრული არსებობა და მასში ხდება ცალკეული პირების მიერ ინვესტირება, რომელთაც უნდათ, რომ დაიცვან თავისი კაპიტალი'. მეტიც, რამდენადაც საოცარი უნდა იყოს მოსაზრება, რომ აკადემიური დისციპლინების შექმნა შეიძლება განვიხილოთ, როგორც 'შემობრუნების წერტილი ადამიანის თვით-აღმოჩენაში', სმითი (Smith 1997:575) ამტკიცებს, რომ სოციალური მეცნიერების დისციპლინების თავად არსებობის ფაქტი არის 'ადამიანის ბუნების სესახებ სპეციალისტის ცოდნისა და მეთოდების რწმენისა და განსაკუთრებული სტატუსის ხილული ნიშანი'.მართლაც, მრავალი ნიშნით, მეცხრამეტე საუკუნის ბოლო იყო სოციალური მეცნიერების თანამედროვე მოძღვრების დასაწყისი.

პრინციპში, თითოეულ სოციალურ მეცნიერებაში შეიძლება გამოვავლინოთ ადამიანის ქცევასთან დაკავშირებული ურთიერთგანპირობებულ საკითხთა ერთობლიობა, რაც იმის პირობაა, რომ ის მჭიდროდ უკავშირდება ჩვენი ინტერესის ცენტრალური საკითხს - კულტურას.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის აღმავლობა

რა შეიძლება ითქვას გეოგრაფიაზე სოციალურ მეცნიერებათა ფართო ჯგუფზე ამ ზოგადი დაკვირვების ფონზე? გეოგრაფიის შესწავლას (უფრო სპეციფიურ *საზოგადოებრივი* გეოგრაფიის საპირისპიროდ) ჰქონდა ხანგრძლივი და გამორჩეული აკადემიური წარმომავლობა, ბერძნული, ჩინური და ისლამური ცივილიზაციების მიერ შეტანილი არსობრივი წვლილით, და მეთხუტმეტე

საუკუნიდან მოყოლებული თანმიმდევრული ისტორიით ევროპაში. საერთოდ, ცენტრალური საკითხები უკავშირდებოდა მიწებისა და ხალხის შესახებ რუკების შედგენას და აღწერილობითი დოკუმენტების შექმნას. მეჩვიდმეტე საუკუნის მეცნიერმა ბერნარდუს ვარენიუსმა (Bernhardus Varenius, 1622-50) - რომელიც აღმოჩნდა როგორც ოკეანის გაღმა საქმიანობასთან დაკავშირებული სწრაფად მზარდი ევროპული გეოგრაფიული ცოდნის, ასევე ამ ცოდნის ორგანიზებისათვის საჭირო საფუძვლების შექმნის აუცილებლობის წინაშე - აღიარა, რომ გეოგრაფია იყო ფიზიკური და, ასევე, საზოგადოებრივი მეცნიერება, რომელიც მოიცავდა რეგიონებისა და სისტემატური/მუდმივი ინტერესის სფეროების შესწავლას. მეთვრამეტი საუკუნის ბოლოს, ფილოსოფოსმა იმანუელ კანტმა (Immanuel Kant, 1724-1804) გეოგრაფიის ძირითადი შესწავლის საგნად რეგიონები განსაზღვრა.

გეოგრაფიის განვითარება მეცხრამეტე საუკუნეში სხვა სოციალური მეცნიერებების პარალელურად წარიმართა. ფაქტიური მონაცემების ბაზა განუხრელად იზრდებოდა, უწინარეს ყოვლისა ორი დიდი გერმანელი გეოგრაფის ალექსანდერ ფონ ჰუმბოლდტისა (Alexander von Humboldt, 1769-1859) და კარლ რიტერის (Carl Ritter, 1779-1859) განსაკუთრებული მცდელობების გამო. მათი საქმიანობა მიზნად ისახავდა მსოფლიოს სრულფასოვანი გეოგრაფიის შექმნას, რაც აღმოჩნდა, რომ აღარ ხელეწიფებოდა რომელიმე ერთ მეცნიერს. ამ პერიოდში ყალიბდება სპეციალური ინტერესის მქონე საზოგადოებები, როგორიცაა პარიზის გეოგრაფიული საზოგადოება (1821) და ამერიკული გეოგრაფიული საზოგადოება (1851). თანდათან ხდებოდა გეოგრაფიის, როგორც საუნივერსიტეტო მეცნიერების, აღიარებაც, რასაც თან ახლდა ცალკეული კათედრების დაარსება, მაგალითად პარიზის სორბონისა (1809) და ბერლინის (1820) უნივერსიტეტებში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წინსვლა იყო გეოგრაფიის რიგი აკადემიური დეპარტამენტების დაარსება, ჯერ პრუსიულ უნივერსიტეტებში 1974 წელს, შემდეგ სხვა ევროპული ქვეყნების უნივერსიტეტებში და აშშ-შიც 1903 წლიდან. პროფესიული სამეცნიერო ასოციაციები ემსახურებოდნენ დისციპლინის შემდგომ დამკვიდრებას.

მეცხრამეტე საუკუნეში გეოგრაფიის დაარსების ეს მოკლე მიმოხილვა ბადებს საკვანძო საკითხს ახალი საუნივერსიტეტო დისციპლინის ხასიათის გასაგებად. მარტივად რომ ვთქვათ, არ იქნება სწორი, თუ გეოგრაფიას მხოლოდ სოციალურ მეცნიერებათა კონტექსტში განვიხილავთ, რადგან გეოგრაფია, რა თქმა უნდა, იყო გაცილებით უფრო ფართო, ვიდრე მხოლოდ საზოგადოებრივი გეოგრაფია. მართლაც, საზოგადოებრივი გეოგრაფია განსხვავდება სხვა სოციალური მეცნიერებებისაგან, ფიზიკურ გეოგრაფიასთან მჭიდრო და ხანგრძლივი კავშირის გამო. ვარენიუსისა და კანტის შრომები თვალსაჩინოდ აღიარებს გეოგრაფიულ მეცნიერებაში როგორც ფიზიკური მეცნიერების, ასევე საზოგადოებრივი მეცნიერების წვლილს.

ფიზიკური და საზოგადოებრივი გეოგრაფიების ასეთმა ადრეულმა ინტეგრაციამ გამოიწვია სზოგადოებრივი გეოგრაფიის განსხვავებულობა სხვა სოციალური მეცნიერებებისაგან, რომლებიც, შედარებისათვის, არ იყვნენ ასეთი მრავალმხრივები და მათში გაცილებით ნაკლები ინტელექტუალური კაპიტალი იყო დაბანდებული. როგორც მარტინი და ჯეიმსი (Martin and James 1993:164) აღნიშნავენ, ‘არ არსებობდა პროფესიულად მიღებული პარადიგმა, რომელიც გამოდგებოდა სახელმძღვანელოდ გეოგრაფიის შესწავლისათვის’. ამ მიზეზით, გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა პასუხმა კითხვაზე ‘რა არის გეოგრაფია?’ თითოეულ სოციალურ მეცნიერებასაც უნდა

ეზრუნა ამგვარ კითხვაზე საპასუხოდ, მაგრამ ისინი არ იყვნენ ასეთივე არასასურველ მდგომარეობაში, რადგან მათ არ გააჩნდათ ისეთი ინტელექტუალური ბაგაჟის ოდენობა, რაც თან სდევდა გეოგრაფიას; ამიტომ მათ შეეძლოთ თავინთ წინაშე დასმულ კითხვებზე ეპასუხათ ძირითადად გვიან მეცხრამეტე საუკუნის გარემოებების, უფრო სპეციფიურად, სოციალური მეცნიერებების მიმართ წამოჭრილი ადამიანის ქცევის ასპექტებთან დაკავშირებული კითხვების კონტექსტში. 1900 წლისათვის გეოგრაფიის ოთხი განსაზღვრება გახდა თვალსაჩინო: გეოგრაფია, როგორც ფიზიკური გეოგრაფია; რეგიონების შესწავლა; ფიზიკური გარემოს გავლენა ადამიანზე; და ადამიანისეული ლანდშაფტის შესწავლა.

ეს განსაზღვრებები ამხელს იმ წინააღმდეგობებს, რასაც შეეჯახა გეოგრაფია, კერძოდ ძველი მემკვიდრეობის შერწყმის სურვილს გვიან მეცხრამეტე საუკუნის მეცნიერების მზარდ მოთხოვნებთან. ეს არსად არ არის უფრო თვალსაჩინო, ვიდრე ფიზიკური და საზოგადოებრივი გეოგრაფიის ერთობის საკითხში, როცა პრაქტიკოსთა უმეტესობა სვამდა კითხვას, თუ რამდენად იყო შესაძლებელი და მართებული რადიკალურად გასხვავებული კონცეფციებისა და მეთოდების ერთ დისციპლინაში თავმოყრა. შეთანხმებული პასუხი, ინსტიტუციური თვალსაზრისით, იყო 'დიახ'.

ამრიგად, გეოგრაფიას ხანგრძლივი ისტორია აქვს, ისეთი, რომ გვიან მეცხრამეტე საუკუნეში - ფორმალურ დისციპლინათა შექმნის პერიოდში, გეოგრაფებს ბევრი რამ უნდა გაეთვალისწინებინათ თავიანთი აკადემიური სფეროს განსაზღვრის დროს. მეტიც, ეს ისტორია არ იძლეოდა შესაძლებლობას, რომ გეოგრაფია მარტივად გაერთიანებულიყო დისციპლინათა ახლად წარმოქმნილ სტრუქტურაში, რომელიც დიდწილად იზიარებდა ფიზიკურ და სოციალურ მეცნიერებებად საყოველთაოდ მიღებულ დაყოფას. გეოგრაფთა უმეტესობა ამტკიცებდა, რომ გეოგრაფია კვლავაც რჩებოდა ერთიან მეცნიერებად, რომელიც ოპერირებდა როგორც ფიზიკური, ასევე სოციალური ფაქტებით. გეოგრაფთა ეს კოლექტიური 'გადაწყვეტილება', რომ შეენარჩუნებინათ ფოკუსი როგორც ფიზიკურ, ისე სოციალურ მეცნიერებაზე - ან, შესაძლოა, უფრო სწორად, არც ერთზე არ მოეხდინათ ექსკლუზიური ფოკუსირება - დღესაც წარმოადგენს დისკუსიის წყაროს ინტეგრირებული დისციპლინის არსებობის აუცილებლობისა და სიცოცხლისუნარიანობის შესახებ.

საზოგადოებრივი გეოგრაფია 1900-იანი წლებიდან

<u>რეგიონული მიდგომა</u>

გეოგრაფიის ზემოთხსენებული ოთხი განსაზღვრება აღმოცენდა ახალი საუნივერსიტეტო დისციპლინისათვის ინტელექტუალური ნიშის უზრუნველყოფის საჭიროებით. 1920-იანი წლებისათვის რეგიონულ გეოგრაფიას ეპყრა დომინანტი სტატუსი, რომელიც გაგრძელდა 1950-იანი წლების შუამდე. აქცენტი კეთდებოდა რეგიონების დელიმიტაციასა[15] და აღწერაზე. მის საფუძველში არსებული ფილოსოფია წარმოადგენდა ემპირიციზმის ფორმას, რომელიც გეოგრაფიული ცოდნის შეძენას/შეგროვებას მოიაზრებდა, როგორც საშუალებას ადგილებისა და ადამიანების შესახებ ფაქტების გასაახლებლად და გადასამოწმებლად. ჩვეულებრივ, რეგიონული ანგარიშები/მიმოხილვები ადამიანსა და დედამიწას შორის ურთიერთობების შესახებ უდავოდ იძენდნენ **გარემოს დეტერმინიზმის**

[15] დელიმიტაცია - შემოსაზღვრა, საზღვრების დადგენა...

(Environmental determinism) ლოგიკას, რაც წარმოადგენს მტკიცებას, რომ ფიზიკური გარემო ადამიანის საქმიანობის განმსაზღვრელი მიზეზია. ამრიგად, რეგიონული გეოგრაფია აერთიანებდა როგორც ფიზიკური, ასევე სოციალური დისციპლინის საკითხებს და ბევრი მოქმედი მეცნიერისათვის გეოგრაფია იყო დამაკავშირებელი რგოლი ფიზიკურ და სოციალურ მეცნიერებებს შორის.

სივრცითი ანალიზი

1950-იანი წლების შუაში ზოგმა მეცნიერმა გამოთქვა წუხილი იმაზე, რომ საზოგადოებრივ გეოგრაფიას აკლდა სამეცნიერო ფოკუსი. ეს ნაკლი ზოგიერთის მიერ ბრალდებოდა დისციპლინის აშკარა მარცხს, რომ ფეხდაფეხ მიყოლოდა სხვა სოციალურ მეცნიერებათა განვითარებას. ამის პასუხად, ეკონომიკიდან უხვად იქნა ნასესხები, დანერგილი და გამოყენებული მიდგომები/მეთოდები, რაც ცნობილი გახდა სივრცითი ანალიზის სახელით. ეს მიდგომა მოიცავდა როგორც აღწერას, ასევე ახსნას, განსაკუთრებული ფოკუსით იმის განმარტებაზე თუ რატომ არიან საგნები განლაგებული იქ, სადაც არიან. ზოგიერთ სხვა სოციალური მეცნიერების კვლევის საგნის მსგავსად, ფიზიკური მეცნიერებიდან მომდინარე სივრცითი ანალიზის მიდგომა თავისი ხასიათით იყო ობიექტური და გააჩნდა თეორიული და რაოდენობრივი შინაარსი. მის საფუძველში არსებული ფილოსოფიური მხარდაჭერა მომდინარეობდა **პოზიტივიზმიდან**, რომელიც, უფრო ადრე, უმეტესი სოციალური მეცნიერებების, ისევე როგორც ფიზიკური მეცნიერებების, მიერ იყო მიღებული. საზოგადოებრივმა გეოგრაფიამ დააგვიანა პოზიტივიზმის ლოგიკის გაზიარება; მართლაც, ისე დააგვიანა, რომ პოზიტივიზმი უკუგდებულ იქნა სოციალურ მეცნიერებათა ძირითადი ნაწილის მიერ ზუსტად მაშინ, როცა ის დაინერგა საზოგადოებრივ გეოგრაფიაში. ასეთ პერიოდში კონცეპტუალურ მიდგომაში ასეთი დიდი ცვლილების შედეგი ის გახდა, რომ სივრცითი ანალიზი საზოგადოებრივი გეოგრაფიის მთავარ ინტერესის სფეროს მხოლოდ მოკლე პერიოდის განმავლობაში გვევლინებოდა, 1950-იანი წლების ბოლოდან დაახლოებით 1970-მდე და მას არასდროს შეუძენია განსაკუთრებული მნიშვნელობა კულტურულ გეოგრაფიაში.

ლანდშაფტის სკოლა

1950

სამართლიანი იქნება, რომ 1900-დან 1970-იან წლებამდე საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმოხილვისას ხაზი გაესვას ჯერ რეგიონული მიდგომის, შემდეგ კი სივრცითი ანალიზის დომინირებას. თუმცა, ასეთ მიმოხილვაში, კულტურის გეოგრაფიის თვალსაზრისით, არ უნდა გამოგვრჩეს კიდევ ერთი ტრადიცია. 1920-იანი წლების დასაწყისში ზაუერმა ჩამოაყალიბა ‘ლანდშაფტის სკოლა’ (ასევე ცნობილია ‘ზაუერის სკოლის’ სახელით), რომლის მიდგომამაც ცენტრალური მნიშვნელობა შეიძინა კულტურის გეოგრაფიის განვითარებისათვის მეოცე საუკუნეში. ამ მიდგომამ დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა და დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელობას, თუმცა გამდიდრდა ახალი კონცეფციებითა და იდეებით.

ლანდშაფტის სკოლა განვითარდა იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ კულტურა, ბუნებრივ გარემოზე ხანგრძლივი ზემოქმედების პირობებში, ხდება ბუნებრივი

ლანდშაფტების კულტურულ ლანდშაფტებად გარდამქმნელი. ამის გამო, ეს მიდგომა კარდინალურად უპირისპირდება გარემოს დეტერმინიზმის მოსაზრებებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის შეიძლება შეინიშნოს კონცეპტუალური მსგავსება მიზეზ-შედეგობრივი ლოგიკის გამოყენების თვალსაზრისით. გარემოს დეტერმინიზმის სკოლის საფუძვლები თვალსაჩინო იყო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ჰუმბოლდტისა და რიტერის შრომების სახით, ასევე გარემოზე ადამიანის ზემოქმედების შესახებ ამერიკელი გეოგრაფის ჯორჯ პერკინს მარშის (George Perkins Marsh, 1801-82) პიონერულ კვლევაში[16] და ისეთი გეოგრაფების ნაშრომებში, როგორიცაა ვიდალ დე ლა ბლაში (Paul Vidal de la Blache, ჩვეულებრივ, ცნობილია ვიდალის სახელით, 1845-1918), ფრიდრიხ რატცელი (Friedrich Ratzel, 1844-1904) და ოტო შლიუტერი (Otto Schlüter1872-1952).

მარქსიზმი და ჰუმანიზმი

სივრცითი ანალიზის დამცრობა, ნაწილობრივ, სხვა სოციალურ მეცნიერებებში მომხდარი ცვლილებების გამოძახილი იყო. ის მოასწავლებდა გადანაცვლებას ფიზიკური მეცნიერებებით ინსპირირებული ობიექტური ანალიზიდან იმ კონცეპტუალური საკითხების მიმართულებით, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ადამიანზე, როგორც სუბიექტზე და არა როგორც ობიექტზე. მოკლედ, სივრცითი ანალიზი გაკრიტიკებულ იქნა დეჰუმანიზირებულობის გამო. საპასუხოდ, 1970-იანი წლებიდან, საზოგადოებრივმა გეოგრაფიამ სრულად გაიზიარა და მონაწილეობა მიიღო იმ საკითხთა შესწავლაში, რომლებიც, სხვადასხვა გზით, ანალიზის ცენტრში ადამიანს აყენებენ. ორი მნიშვნელოვანი ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომლებმაც აიტაცეს ეს აქცენტი, არის მარქსიზმი და ჰუმანიზმი. მიუხედავად მათ შორის ბევრი განსხვავებისა, ჩვეულებრივ, ორივე მათგანი უარყოფს ყოველგვარ მოსაზრებას იმაზე, რომ ადამიანი და ადამიანის ქცევა შეიძლება შესწავლილ იქნას ფიზიკური მეცნიერების ობიექტური ცნებების/მიდგომების საშუალებით.

მარქსიზმი და ჰუმანიზმი აღმოჩნდა განმაახლებელი დამატება/ნაკადი ყველა საზოგადოებრივი გეოგრაფის, კულტურის გეოგრაფთა ჩათვლით, კონცეპტუალურ არსენალში, რომელიც განაგრძობდა ემპირიული კვლევების სტიმულირებას. მართლაც, ის კულტურის გეოგრაფები, რომლებიც გაწბილებული იყვნენ ლანდშაფტის სკოლის არაადექვატურობის გამო, იყვნენ მოწინავეთა შორის, რომლებმაც გამოიყენეს ეს ორი მიდგომა საზოგადოებრივი გეოგრაფიის კვლევებში.

ფემინიზმი და კულტურული შემობრუნება

შედარებით ახლახანს, დაახლოებით 1980-იანი წლებიდან, სულ მცირე, კიდევ ოთხი ფილოსოფიური მოძღვრება დაემატა საზოგადოებრივი გეოგრაფიის კონცეპტუალურ რეპერტუარს. ფემინიზმის, პოსტსტრუქტურიზმის, პოსტმოდერნიზმისა და პოსტკოლონიალიზმის განსაკუთრებით ძლიერი გავლენა კულტურის გეოგრაფიაზე, ნათლად მიანიშნებს ამ სუბ-დისციპლინის მზარდ მნიშვნელობაზე. მარქსიზმისა და ჰუმანიზმის მსგავსად, თითოეული ეს მოძღვრებაც მკვეთრად უპირისპირდება

16

ფიზიკურ/საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან მსგავსებას. თუმცა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ისინი ერთობლივად ამტკიცებენ ადამიანის კულტურული იდენტობის შეცნობისა და მისი სოციალური კონსტრუქციის ხაზგასმის, ძალისმიერი ურთიერთობების **დისკურსის** გზით პრაქტიკაში გატარების აღიარების, საზოგადობრივ გეოგრაფიული ანალიზისას ტრადიციული გენდერული 'სიბრმავის' აღმოფხვრის აუცილებლობის და, ზოგადად, კულტურული გეოგრაფიის კვლევებისა და ინტერპრეტაციების საფუძვლების კრიტიკული გადახედვის საჭიროების რელევანტურობას.

რა არის კულტურა?

> ზოგიერთმა მეცნიერმა, რომლიც კულტურის კონცეფციას იყენებს, გულდასმით განსაზღვრა კულტურის ცნება. ამ მხრივ გეოგრაფებიც არ წარმოადგენენ გამონაკლისს. სპეციალისტთა უმეტესობა თანხმდება, რომ ეს ცნება არ ექვემდებარება მარტივ განმარტებას (Mathewson 1996:97).

კულტურის გეოგრაფიის ყველაზე მნიშვნელოვანი და იმავდროულად ყველაზე დამაბნეველი კონცეფციაა 'კულტურა'. მართლაც, კულტურა მთელი სოციალური მეცნიერებისათვის ყველაზე ძნელად განსასაზღვრი კონცეფციაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მარტო გეოგრაფებს კი არ უჭირთ ამ ტერმინის განსაზღვრა, არამედ ანთროპოლოგებს, სოციოლოგებს და სხვებსაც. ბევრი სირთულე, რასაც კულტურის გეოგრაფები აწყდებოდნენ, სხვა სოციალურ მეცნიერებებში წამოჭრილი საკითხებიდან იყო აღმოცენებული.

არსებობს არაერთი სათანადო მიზეზი ამ ფუნდამენტური ტერმინის მნიშვნელობის მუდმივი გაურკვევლობისათვის. ადრეულ პერიოდში 'კულტურა' ასოცირებულ იყო ბიოლოგიურ ცნებასთან 'კულტივაცია', რაც ნიშნავდა ბუნებრივი ზრდის გაძღოლას/მოვლა-პატრონობას და ამ ტერმინის ლოგიკურ განვრცობა-გადატანას ადამიანის ზრდა-განვითარების მიმართაც. მეთვრამეტე საუკუნის შუახანებში კულტურა ძირითადად აღნიშნავდა ადამიანთა ორგანიზაციებს და შემდეგი ასი წლის განმავლობაში თანდათანობით ანაცვლებდა მონათესავე ტერმინს 'ცივილიზაცია'. 1871 წელს კულტურა, ან ცივილიზაცია, განმარტა ანტროპოლოგმა ედვარდ ტაილორმა (Edward Tylor, 1832-1917), როგორც 'ისეთი კომპლექსური ერთიანობა, რომელიც მოიცავს ცოდნას, რწმენას, მორალს, წეს-ჩვეულებებს და ნებისმიერ სხვა ნიჭსა და ჩვევას, რომელიც ადამიანმა შეიძინა, როგორც საზოგადოების წევრმა' (ციტირებულია წყაროდან Kroeber and Klukhohn 1952:81). 1952 წლისთვის, ორი წამყვანი ანტროპოლოგი გაერთიანდა, რომ განესხვავებინათ/შეეჯერებინათ 110 მწერლის მიერ 52 ცალკეული კონცეფციის გამოყენების საფუძველზე შემოთავაზებული განმარტებები (Kroeber and Klukhohn 1952).

კულტურა და საზოგადოება

საზოგადოება და კულტურა მჭიდროდ დაკავშირებული კონცეფციებია, მაგრამ ისინი სხვადასხვა ფენომენს/მოვლენას განეკუთვნებიან, რაც საზოგადოდაა გაზიარებული

1958 წლიდან, როცა ორმა წამყვანმა მეცნიერმა, ანტროპოლოგმა კროებერმა (Kroeber) და სოციოლოგმა ტალკოტ პარსონსმა (Talcott Parsons, 1902-79), ერთად შეიმუშავეს ფორმულირება, რომელიც მიზნად ისახავდა ცნებების გამარტივებას და ავტორიტეტული განსაზღვრებების შეთავაზებას. აზრი აქვს მათი შესავალი დებულების ციტირებას:

> როგორც ჩანს, ანტროპოლოგებსა და სოციოლოგებს შორის საკმაო გაუგებრობა არსებობს კულტურისა და საზოგადოების (ან სოციალური სისტემის) კონცეფციების მიმართ. კონსენსუსის უქონლობა - დისციპლინებს შორის და მათ შიგნით - იწვევს სემანტიკურ გაუგებრობებს იმის შესახებ, თუ რა მონაცემები მიეკუთვნება ამ ტერმინებს; მაგრამ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ არსებული ნაკლოვანება აფერხებს თეორიულ წინსვლას, ისევე როგორც მათ ურთიერთობას.
>
> ჯერაც არსებობენ ანტროპოლოგები და სოციოლოგები, რომლებიც არც კი განიხილავენ [ამ ტერმინების] განსხვავების აუცილებლობას იმ მოტივით, რომ ადამიანის ქცევის ყველა ფენომენი სოციო-კულტურულია და ერთდროულად აქვს როგორც საზოგადოებრივი, ასევე კულტურული ასპექტები (Kroeber and Parsons 1958:582).

კროებერი და პარსონსი შეეცადნენ აეხსნათ გაუგებრობები, რომლებიც მათ აღმოაჩინეს ამ ორი ცნების ადრინდელი გამოყენების დროს. ამგვარად, დისციპლინების ევოლუციის ჩამოყალიბების პერიოდში, გვიან მეცხრამეტე და ადრეულ მეოცე საუკუნეებში, წამყვანმა ანტროპოლოგებმა, როგორიც იყო ფრანც ბოაზი (Franz Boas, 1858-1942), განსაზღვრეს კულტურა, როგორც ადამიანის ქცევა, რომელიც არ იყო დამოკიდებული გენეტიკურ მახასიათებლებზე, მაშინ, როცა სოციოლოგები, როგორიც იყვნენ სპენსერი (Spencer), დურკჰაიმი (Durkheim) და ვებერი (Weber, 1864-1920), მსგავსად მსჯელობდნენ საზოგადოების შესახებ. კროებერი და პარსონსი ამტკიცებენ, რომ 'მნიშვნელოვანი პერიოდის განმავლობაში, შენარჩუნებული იყო *კულტურა-საზოგადოების* ისეთი კონდენსირებული კონცეფცია, სადაც ანტროპოლოგიასა და სოციოლოგიას შორის სხვაობები კონცეპტუალურად კი არა, ოპერაციონალურად იყო დადგენილი' (1958:583). მათ შემოგვთავაზეს შემდეგი განმარტებები, რომლებიც საზოგადოდ იქნა მიღებული სოციალური მეცნიერებების მიერ.

- კულტურა განეკუთვნება 'ღირებულებების, იდეებისა და სხვა სიმბოლურ-შინაარსობლივი სისტემების გადაცემულ და შექმნილ არსსა და ნიმუშებს, სადაც სისტემები წარმოადგენენ ადამიანთა ქცევის ფორმირებისა და ქცევის საშუალებით არტიფაქტების[17] წარმოების ფაქტორებს'.
- საზოგადოება განეკუთვნება 'ინდივიდებისა და კოლექტივებს/ჯგუფებს შორის ურთიერთქმედების სპეციფიკურ ურთიერთობათა სისტემას'.

ამრიგად, ანტროპოლოგიაში ჩვეულებრივად აქცენტი კეთდება კულტურის არა გენეტიკურ ხასიათზე, მხოლოდ იმ საგნებზე მინიშნებით, რაც ადამიანმა გამოიგონა, განავითარა ან მემკვიდრეობით გადასცა. ამ გაგებით, კულტურა არის ექსტრასომატიკური - სიტყვა-სიტყვით, სხეულს მიღმა მყოფი. პირობითად, მიიჩნევა, რომ კულტურას აქვს სამი ასპექტი: ღირებულებები და აბსტრაქტული იდეები,

[17] არტიფაქტი, არტეფაქტი - საზოგადოების მატერიალური კულტურის ნიმუში ან/და ძეგლი.

რომლებიც აქვთ ადამიანთა **ჯგუფებს**; ნორმები და წესები, რომლებსაც ისინი მისდევენ; და მატერიალური ფასეულობები/ნივთები, რომლებსაც ისინი ქმნიან/აწარმოებენ. სოციოლოგიაში საზოგადოება აღიქმება, როგორც ურთიერთკავშირების სისტემა, რომელიც აკავშირებს საერთო კულტურის მოზიარე ინდივიდებს. საზოგადოების ეს მნიშვნელობა შეესაბამება ადრინდელ მიდგომას, რომელიც განასხვავებდა საზიგადოებას (თავისუფალ ინდივიდთა კავშირს/ასოციაციას) 'სახელმიფოს' ცნებისაგან (ძალოვან ურთიერთობებზე დამყარებულ კავშირისაგან/ასოციაციისაგან). საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დამკვიდრებული ახსნა-განმარტების მეთოდებისა და ფორმების მიმზიდველობის პასუხად, ორივე დისციპლინამ თავისი ფორმირებისა და განვითარების ეტაპზე მიიჩნია კულტურისა და საზოგადოების იდეა, როგორც მიზეზ-შედეგობრივი მექანიზმი, თუმცა ამ იდეა დღეს ნაკლებად მნიშვნელოვანია. ანტროპოლოგია და სოციოლოგია გვთავაზობს ბევრ სხვა ინტერპრეტაციასაც, რომლებიც ამჟამად არ არის ჩვენთვის საინტერესო, თუმცა, ზოგი მათგანი, გადმოტანილ იქნა კულტურულ გეოგრაფიაშიც და ქვემოთ იქნება განხილული.

კულტურის გეოგრაფია, საზოგადოებრივი გეოგრაფია და გეოგრაფია

სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ კულტურის გეოგრაფია, როგორც საზოგადოებრივი გეოგრაფიის შემადგენელი ნაწილი, შეეხება გარკვეულ კერძო საგნებს/საკითხებს უფრო ფართო დისციპლინის ფარგლებში. თუმცა, საყურადღებოა, რომ 'კულტურის' ცნების მოქნილობამ შესაძლო გახადა ორი ფართო ინტერპრეტაცია-განსაზღვრება.

პირველი, რადგან კულტურა შეიძლება გაიგივებულ იქნას ყველაფერთან, რაც ადამიანის მიერაა შექმნილი, იმის საპირისპიროდ, რაც ბუნების ნაწილს წარმოადგენს, ჩამოყალიბდა ტენდენცია, განსაკუთრებით აშშ-ში, რომ კულტურის გეოგრაფია საზოგადოებრივი გეოგრაფიის სინონიმად ჩაითვალოს; ისე, რომ ბევრი სასწავლო კურსი და სახელმძღვანელო, რომელიც დასათაურებულია, როგორც კულტურის გეოგრაფია, სწორი იქნებოდა, რომ საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალ კურსად და სახელმძღვანელოდ უნდა ჩათვლილიყო.

მეორე, ბევრი გეოგრაფისათვის, კულტურის გეოგრაფია, როდესაც ის ფართოდაა ინტერპრეტირებული, როგორც ადამიანისა და დედამიწის შესწავლა, წარმოადგენს როგორც საზოგადოებრივ, ასევე ფიზიკურ გეოგრაფიას. ამ ინტერპრეტაციას ამყარებს კულტურის ალტერნატიული ხედვა, რომელიც ბუნებასაც მოიცავს. 'Companion Encyclopedia of Geography[18]'-ს შემდგენლები მკაფიოდ აყალიბებენ და ამტკიცებენ ამ თვალსაზრისს: 'გეოგრაფია არის, და პრინციპში ყოველთვის იყო (მიუხედავად სივრცით მეცნიერებასა და სხვა ეგზოტიკურ თემებში წიაღსვლებისა), [დისციპლინა] ადამიანისა და მისი გარემომცელი სივრცის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, და იმ ურთიერთქმედებების შესახებ, რაც წარმოიშვება ადამიანისა და მისი მიწიერი, და ნაკლებად ციური, საცხოვრისის შექმნა-განვითარების [პროცესში]' (Douglas, Huggett, and Robinson 1996:ix). გეოგრაფიის ცენტრალურ საკითხად ადამიანისა და დედამიწის ურთიერთობების შესწავლის იდენტიფიცირება, არის როგორც როგორც

[18] გეოგრაფიის თანმხლები ენციკლოპედია

ხელშემშლელი, ასევე ხელშემწყობი ფაქტორი. ხელშემშლელია იმ თვალსაზრისით, რომ, ის კულტურის გეოგრაფიას უხსნის კარს ისეთი განსხვავებული და მრავალფეროვანი მასალისაკენ, რომ სუბდისციპლინის ფოკუსი თითქმის უჩინარდება - ფაქტობრივად ის სრულიად გეოგრაფიად გადაიქცევა. მაგრამ, იმავდროულად, ეს უზარმაზარი დახმარებაცაა, რადგან ასეთი მიდგომა ავალდებულებს კულტურის გეოგრაფებს აღიარონ, რომ კულტურის გეოგრაფია მხოლოდ ადამიანების, როგორც ინდივიდებისა და ჯგუფის წევრების ესახებ კი არაა, არამედ დედამიწის შესახებაც, რომელზეც და რომელთან ერთადაც ცხოვრობენ ისინი.

ეს ორივე ფართო ინტერპრეტაცია ნაწილობრივ მაინც მომდინარეობს ტერმინის - 'კულტურა' - გაურკვეველი სტატუსიდან. ორივე ეყრდნობა ცნების გამოყენებასთან მიმართებაში არსებულ შედარებით უმნიშვნელო საკითხებს და არ განიხილავს შემდგომ საჭიროებებს, თუმცა ისინი სასწავლოდ გამოსადეგნი არიან, რადგან მიგვანიშნებენ, თუ როგორ უნდა ვიხმაროთ ტერმინები. არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს ძირითად საკითხს, რადგან კულტურის გეოგრაფიის განსაზღვრებათა უმეტესობა ყოველთვის მიიჩნევდა მას საზოგადოებრივი გეოგრაფიის ნაწილად და ასეთი მიდგომა დღესაც ჭარბობს. კულტურის გეოგრაფია, როგორც ადრეც განვმარტეთ, ყურადღებას ამახვილებს ადამიანზე და ადგილებზე/ ადგილმდებარეობებზე, განსაკუთრებული აქცენტით კულტურულ იდენტობასა და კულტურულ ლანდშაფტებზე. საზოგადოებრივი გეოგრაფია უფრო ფართო ფოკუსირებას აკეთებს ადამიანებსა და ადგილმდებარეობებზე და უფრო ფართო მინიშნებას აკეთებს კულტურაზე, ეკონომიკასა და პოლიტიკაზე. ამგვარად, საზოგადოებრივი გეოგრაფია მოიცავს სუბ-დისციპლინებს, როგორიცაა კულტურის, ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიები. ქვემოთ ჩვენ მიმოვიხილავთ უფრო ფუნდამენტურ საკითხებს, რომლებიც გარს აკრავს ტერმინს 'კულტურა' და როგორც ისინი გამოიყენება კულტურის გეოგრაფიაში.

კულტურა კულტურის გეოგრაფიაში

კულტურა და ლანდშაფტის სკოლა

1920-იან წლებში ზაუერმა, თავისი მრავალრიცხოვანი ნაშრომების საშუალებით, დანერგა კულტურის გეოგრაფიის დომინანტური ხედვა. ამ ნაშრომებში მან ფაქტიურად დასახა დღის წესრიგი დისციპლინის განვითარებისათვის ჩრდილო ამერიკაში, სანამ გახმაურდებოდა პირველი სერიოზული შენიშვნები 1970-იან წლებში. ზაუერი, ლანშაფტების შეცნობისათვის, სამ ძირითად ფაქტორს განიხილავდა: ფიზიკურ გარემოს, ადამიანთა თვისებებს და დროს. ამრიგად, ზაუერი (1924:24) განსაზღვრავდა გეოგრაფიას, როგორც 'კულტურული არელის წარმოქმნას ბუნებრივი არეალიდან'. მისი თვალსაზრისის კლასიკური განაცხადი ალბათ ასეთია: 'კულტურა არის აგენტი, ბუნებრივი გარემო არის მედიუმი[19], კულტურული ლანდშაფტი კი - შედეგი' (Sauer 1925:46). მიუხედავად იმისა, რომ იგი კულტურას 'ჩამომყალიბელ ძალად' მიიჩნევდა, იგი ფიზიკურ ლანდშაფს ხედავდა, როგორც

[19] შუამავალი

‘ფუნდამენტური მნიშვნელობის [მქონეს], რადგან ის იძლევა მასალას, რომლიდანაც იქმნება კულტურული ლანდშაფტი’ (Sauer 1925:46).

აქედან გამომდინარე, ზაუერისთვის კულტურის მნიშვნელობა გეოგრაფიულ კვლევაში იმგვარად იყო ჩამოყალიბებული, რომ კვლევის ძირითადი ფოკუსი უნდა ყოფოლიყო კულტურის გავლენა ლანდშაფტზე. ასეთი გავლენა თვალსაჩინოდ აისახება განსხვავებული მატერიალური ლანდშაფტების შექმნისას, რაც კულტურული რეგიონების დელიმიტაციის/შემოსაზღვრის საშუალებას იძლევა. თუმცა ასეთი მიდგომა, რომლის ფოკუსშიც მატერიალური და ხილული ლანდშაფტები იყვნენ, არ გამორიცხავდა კულტურულ იდენტობას და მკვლევარები ხშირად ახდენდნენ ჯგუფების იდენტიფიცირებას, გამომდინარე მათი ცხოვრების წესიდან - რასაც ადრე ვიდალი ასათაურებდა, როგორც genre de vie - ისეთ მახასიათებლებზე დაყრდნობით, როგორიცაა ენა, რელიგია და ეთნიკური კუთვნილება. ამრიგად, კულტურაც განიხილებოდა, როგორც გაზიარებული ღირებულებებისა და რწმენის სისტემა. ეს შეხედულებები იშვითად იყვნენ სადავო 1970-იან წლებამდე.

კულტურის ამ განმარტებაში ხაზი ესმება კულტურას, როგორც ლანდშაფტის ფორმირების მიზეზს, და მაიდენტიფიცირებელ თვისებებს/ნიშნებს. ამ შეხედულებამ, კულტურის გეოგრაფიას - ლანდშაფტის ან ზაუერის სკოლას - რომელიც მოქმედებდა, როგორც საზოგადოებრივი გეოგრაფიის მოწინავე ქვედანაყოფი, უკარნახა სამი მთავარი თემა: ლანდშაფტები, როგორც ადამიანისა და დედამიწის ურთიერთობების შედეგი; ლანდშაფტის ცვლილება და რეგიონული ლანდსაფტები. ბოლო დრომდე, ყველაზე წამყვანი კულტურის გეოგრაფები ‘ამოწმებდნენ’ თავიანთ ინტელექტუალ წინამორბედების შესაბამისობას ზაუერის მიერ ჩამოყალიბებულ იდეებთან მიმართებაში და, შესაბამისად, კულტურის გეოგრაფიის პირველი სრულფასოვანი სახელმძღვანელო იყო ცალსახად ზაუერისეულად ფოკუსირებული (Wagner and Mikesell 1962).

<u>კულტურის მნიშვნელობის გადასინჯვა</u>

დაპირისპირება კულტურის შესახებ ზაუერისეული შეხედულებების მიმართ და, შესაბამისად, კულტურის გეოგრაფიის ლანდშაფტური სკოლის მიმართ, რამდენიმე მიმართულებიდან წამოიწყო. მათ შორის ყველაზე ძლიერი იყო პრეტენზიები იმის შესახებ, რომ ზაუერმა განასაგნა (reify) კულტურა - ეს ნიშნავს, რომ ის კულტურას განიხილავდა როგორც რეალობას და არა როგორც კონცეფციას ან ანდამიანურ კონსტრუქტს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კრიტიკოსებმა გამოთქვეს შეშფოთება კულტურის მხოლოდ ლანდშაფტის შექმნის მიზეზად გამოყენების შესახებ, მასში მონაწილე ადამიანების მიერ კერძო გადაწყვეტილების მიღებაზე ფოკუსირების გარეშე. ასეთი კრიტიკა წარმოადგენდა ცენტრალურ საკითხს დანკანის (Duncan 1980) ფუძემდებლური სტატიაში, რომელიც ამტკიცებდა, რომ ზაუერი გამოხატავდა **სუპერორგანულ** ანუ კულტურულ დეტერმინისტულ შეხედულებას, რაც პოპულარული გახადა კროებერმა 1920-იანი წლებისა და სემდგომი პერიოდის ანტროპოლოგიაში. სუპერორგანული პერსპექტივის მიხედვით, კულტურული მსოფლიოს ნებისმიერი შეცნობა ფესვგადგმულია კულტურაში, რადგან სწორედ იქ

ხდებოდა გადაწყვეტილებების მიღება. კროებერი, თანამოაზრე რობერტ ლოუვისთან (Robert Lowie, 1883-1957) ერთად, ზაუერის თანამედროვე გახლდათ კალიფორნიის უნივერსიტეტში, ბერკლიში.

დანკანის არგუმენტები ლანდშაფტური სკოლის მიერ ჩამოყალიბებული კულტურის კონცეფციის მთავარ კრიტიკას წარმოადგენდა, რამაც გარკვეული წვლილი შეიტანა ახალი კულტურის გეოგრაფიის აღმავლობაში. მისმა არგუმენტებმა ნამდვილად მიაღწია მიზანს 1980-იან წლებში, როდესაც ინტელექტუალური გარემო ძალიან განსხვავდებოდა 1920-იანი წლებისაგან, ისე, რომ მის მიერ გამოწვეული ცვლილებები გახდა ერთ-ერთი კომპონენტი მოდერნიზმით იმ ფართომასშტაბიანი გაწბილებისა, რასაც ადგილი ქონდა სოციალურ მეცნიერებებში. ზაუერისეული ტრადიციები გააკრიტიკეს ასევე მატერიალურ ლანდშაფტებზე მისი რურალური[20] და ძველმოდური/მოძველებული ფოკუსირებისათვის, რადგან ახალმა კულტურის გეოგრაფებმა შემოგვთავაზეს ლანდშაფტის, როგორც კულტურული კონსტრუქციის უფრო კომპლექსური და ინტერპრეტული/ახსნითი თვალსაზრისი.

მოთხოვნილებები კულტურის ახალ კონცეფციაზე წამოვიდა არა მხოლოდ ლანდშაფტური სკოლის ტრადიციების მიღმა მყოფი მეცნიერებისაგან, რომელთა დღის წესრიგიც ერთდროულად იყო ინსპირირებული როგორც კულტურული, ასევე სოციალური საკითხებით/სფეროებით. ლანდშაფტური სკოლა გააკრიტიკეს შიგნიდანაც, როგორც ზოგი მნიშვნელოვანი ფიგურა/მეცნიერი ამბობდა, იმისთვის, რომ შემოეთავაზებინათ ახალი იდეები ჯერ კიდევ 1970-იან წლებში. მაგალითად, მიკესელმა (1978:13) მოსთხოვა მკვლევარებს, რომ 'უფრო სერიოზულად დაფიქრებულიყვნენ იმის შესახებ, თუ როგორ სურდათ მათ კულტურის კონცეფციის გამოყენება', ხოლო ინგლიში და მეიფილდი (English and Mayfield, 1972:6) სინანულს გამოთქვამდნენ 'ხილული მატერიალური ლანდშაფტით ზადმეტად დაინტერესების' გამო, რამაც 'მიგვიყვანა უფრო ნაკლებად შესამჩნევი, უხილავი ძალების უგულებელყოფამდე, რომლებიც ზოგ შემთხვევებში წარმოადგენდნენ ადამიანის ქცევის სივრცითი ნიმუშების ახსნის ქვაკუთხედს'. ამაში მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ ცვლილებები ინიცირებულ იქნენ არა მხოლოდ ლანდშაფტური სკოლის ტრადიციების მიღმა მოღვაწე მეცნიერების, არამედ ამ ტრადიციების წიაღში ჩამოყალიბებული მკვლევარების მიერაც. მეტიც, ზაუერის ტრადიციების ოპონირება და ახალი კულტურული ტრადიციების შექმნის მოწოდება ცხადად წარმოჩინდა ინგლისურენოვან გეოგრაფიაში. ბერგი და კერნსი (Berg and Kearns, 1997:1), რომლებიც სპეციფიკურად ახალი ზელანდიის თემატიკას უძღვნიდნენ თავიანთ შრომებს, აღნიშნავდნენ, რომ 'აქ [ახალ ზელანდიაში] ბევრი კულტურის გეოგრაფი, განსაკუთრებით ისინი, ვინც „მაორების საკითხებს" შეისწავლიან, თავიანთ შრომებში ყოველთვის აწყდებოდნენ პოლიტიკურ ზღვარს, რის გამოც 'ისეთი მარტივი ბინარული კონსტრუქცია „ძველი/ახალი", რაც წარმოდგენილია ამერიკულ კულტურის გეოგრაფიაში, ვერ ახერხებს სიტუაციის კომპლექსურობის ასახვას' ახალ ზელანდიაში.

[20] სასოფლო, სოფლური

კულტურა და ახალი კულტურის გეოგრაფია

ეჭვს არ იწვევს იმ მკვლევართა გავლენაც ჩრდილო ამერიკის კულტურის გეოგრაფიაზე, რომლებიც პრინციპულად უარყოფდნენ ზაუერისეულ შეხედულებებს კულტურის საგნობრივი/მატერიალური აღქმის ტენდენციის გამო. გაურკვევლობამ იმის შესახებ, თუ როგორ გამოესწორებინათ ადრინდელი თვალსაზრისი კულტურის გეოგრაფიაზე, ხელი შეუწყო კულტურის შესახებ რამდენიმე ახალ ხედვას, რომლებიც იმდროინდელი განსხვავებული თეორიული კონცეფციებიდან მომდინარეობდა. ამ პერიოდის ერთი, განსაკუთრებით გამორჩეული ნიშანი გახლდათ ბრიტანელი სოციალური გეოგრაფების მიერ კულტურის გეოგრაფიით დაინტერესება. მართლაც, 1987 წელს ჩატარდა კონფერენცია სახელით 'კულტურის გეოგრაფიის ახალი მიმართულებები', რომლიც განახორციელა ორგანიზაციამ 'სოციალური გეოგრაფიის შემსწავლელი ჯგუფი' (Social Geography Study Group). ეს ჯგუფი შემდგომში გარდაიქმნა 'სოციალური და კულტურის გეოგრაფიის შემსწავლელ ჯგუფად' (Social and Cultural Geography Study Group). ეს არ არის საკვირველი, რადგან კულტურის რიგ ახალ კონცეფციებს ძლიერი სოციალური სურნელი დაჰკრავს. თუმცა, რამდენიმე განსხვავებული კონცეფციის გაჩენამ ვერ დაფარა ძირეული მსგავსებები.

ახალი კულტურის გეოგრაფიისათვის კულტურა არ წარმოადგენს არც განმარტებით/ახსნით ცვლადს და ის არც მიზეზად განიხილება. ახალი კულტურის გეოგრაფია უფრო კულტურათა სიმრავლეს უსვამს ხაზს, რომელიც განისაზღვრება როგორც ღირებულებები, რომლებსაც ადამიანთა ჯგუფები იზიარებენ მოცემულ ადგილებსა და მოცემულ დრო(ებ)ში. მოკლედ რომ ვთქვათ, კულტურა განიხილება უფრო როგორც მედიუმი, ვიდრე როგორც საგანი; ჩვენ ეს შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ცვლილება კულტურით დაინტერესებიდან კულტურებით დაინტერესების მიმართულებით. კოსგროუვმა და ჯეკსონმა (Cosgrove and Jackson, 1987:99) თავიანთ ფუძემდებლურ სტატიაში კულტურა განსაზღვრეს, როგორც 'მედიუმი, რომლის საშუალებითაც ადამიანები მატერიალური სამყაროს მიწიერ მოვლენებს გარდაქმნიან მნიშვნელოვანი სიმბოლოების სამყაროდ, რომლებსაც ანიჭებენ მნიშვნელობას და ღირებულებას'.

კულტურის გეოგრაფიის ტრანსფორმაციამ, რომელიც კულტურის ზაუერისეულ შეხედულებათა გადახედვას მოჰყვა, წაახალისა ქცევისა და ლანდშაფტის ჰუმანისტური კვლევები და გზა გაუხსნა ძალაუფლებითა და იდენტობით და მათი ლანდშაფტებით დაინტერესებას, რაც უპირატესად წარმოსახვით ან ტექსტით გამოხატულ ლანდშაფტებს უფრო გულისხმობს, ვიდრე მატერიალურს. ამ ტრანსფორმაციამ ასევე წარმოშვა მრავალი შეკითხვა კულტურის გეოგრაფიის შემდგომი განვითარების მიმართულებების შესახებ და დისციპლინის ქვედისციპლინებად დანაწევრების შესახებ. ყველაფრის მიუხედავად, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ახალი კულტურის გეოგრაფიის ინსტიტუციონალიზაცია 1980-იანი წლების ბოლოს მოხდა. ამ ინსტიტუციონალიზაციას ადასტურებს კულტურის გეოგრაფიის სახელმძღვანელოთა გამოცემა, რომლებშიც ზაუერისეული ტრადიციების უდიდესი ნაწილი არ აისახება და, ამის ნაცვლად, ყურადღება ძირითადად ახალი კულტურის გეოგრაფიის სხვადასხვა ასპექტზეა გამახვილებული.

ახალი კულტურის გეოგრაფია და კულტურისმცოდნეობა

კულტურის გაგება ახალ კულტურის გეოგრაფიაში უბრალოდ ადრინდელი, ზაუერისეული ტრადიციებიდან მომდინარე შეხედულებებზე კრიტიკული პასუხი კი არ არის, არამედ ასევე **კულტურისმცოდნეობის** (Cultural studies) სფეროში მიმდინარე განვითარებით შთაგონებული რეაქციაცაა. კულტურისმცოდნეობის ტერმინი მე-20 საუკუნის საზოგადოებრივ გამოჩნდა სხვა ისეთ ცნებებთან/ტერმინებთან ერთად, როგორიცაა ფემინიზმი, პოსტსტრუქტურალიზმი, პოსტმოდერნიზმი და პოსტკოლონიალიზმი, თუმცა უკეთესი უნდა იყოს, თუ მას განვიხილავთ, როგორც გამაერთიანებელ, 'ქოლგა' ტერმინს, რომელიც თავს უყრის დანარჩენ ცამოთვლილ ტერმინებს, ისეთ ასპექტებთან ერთად, როგორიცაა მარქსიზმი და ჰუმანიზმი. მეცნიერული ინტერესის ეს სფერო იმთავითვე მრავალფეროვნებითა და განსხვავებულობით გამოირჩეოდა, რაც კულტურის კონცეფციის კომპლექსურობის ფონზე არ უნდა იყოს მოულოდნელი და უცნაური. კულტურისმცოდნეობამ, როგორც ინტერდისციპლინურმა სფერომ, ბევრი კონცეფცია მოიცვა, რომელთაგან უმეტესი უპირისპირდებოდა მოდერნიზმს და წარმოდგენილი იყო აზროვნების სხვადასხვა სკოლის სახით, რომელთაგან ოთხის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

პირველია, ბრიტანული ტრადიცია, რომლის ყურადღება ფოკუსირებული იყო მუშათა კლასის კულტურაზე, ინდუსტრიული რევოლუციის შედეგებზე და კულტურის ისეთ ფორმებზე, როგორიცაა ფილმები (კინემატოგრაფი) და ტელევიზია. ბირმინგემის თანამედროვე კულტურის კვლევის ცენტრის (Birmingham Centre for Contemporary Cultural Studies) ეგიდით ჩატარებულ სამუშაოთა უმრავლესობა ცენტრალურია ამ ტრადიციისათვის. მეორეა, კულტურის ანტროპოლოგიური კონცეფციიდან აღმოცენებული ამერიკული ტრადიცია, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა ჩვეულებრივი ხალხის ცხოვრების იმ მნიშვნელოვან მხარეებზე, რაც განსხვავდებოდა მკვლევარის კულტურისაგან. ანტროპოლოგია, ამ თვალსაზრისით, შეეჩეხა 'განსხვავებულობის'/უცხოობის (otherness) მნიშვნელობას. მესამეა, მარქსიზმის მიერ ინსპირირებული ფრანკფურტის კრიტიკული თეორიის სკოლა, რომელის ფოკუსსაც მოდერნიზმის კრიტიკა წარმოადგენდა. მისი მთავარი შთაგონების საგანი ის იყო, რომ სოციალური მეცნიერება არ უნდა გამხდარიყო რომელიმე იდეოლოგიის ინსტრუმენტი, განსაკუთრებით ისეთისა, რომელიც დომინანტ ჯგუფებთან, მმართველი პოლიტიკური ძალების ჩათვლით, იყო ასოცირებული. საპირისპიროდ, სოციალური მეცნიერება ემანსიპატორული უნდა ყოფილიყო. მეოთხეა, ისეთი ტრადიციები, როგორც პოსტკოლონიალიზმი, ფემინიზმი და რასიზმის კვლევები, რომლებიც გამოკვეთილად გამოთქვამდნენ შეშფოთებას იმის გამო, რომ ევროპაცენტრიზმი იყო ასოცირებული და ახლაც ხშირად არის წარმოჩენილი, როგორც ცოდნის მწარმოებელი. მაგალითად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ 'აღმოსავლეთი' სინამდვილეში არის იმათი გამოგონება, ვინც მას გარედან, 'დასავლეთიდან' შეისწავლის და, რომ ჩრდილო ამერიკა და ევროპა იყენებენ თავიანთი კულტურის შიგნით წარმოშობილ იდეებს - ისეთებს, როგორიცაა თავისუფლება და ინდივიდუალიზმი - იმისთვის, რომ დაიპყრონ და იბატონონ სხვა რეგიონებზე.

კულტურისმცოდნეობის გავლენა კულტურის გეოგრაფიაზე მნიშვნელოვანი იყო და, ის ფაქტი, რომ ეს გავლენა დღესაც გრძელდება, დასტურდება ისეთი ახალი კულტურული ფორმების შესწავლით, როგორიცაა 'განსხვავებულობა'/უცხოობა, ბატონობისა და ჩაგვრის იდეოლოგიები და ევროპაცენტრული დამოკიდებულებები. შესაძლოა, რომ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურულ გეოგრაფიული იდეა, რომელიც წარმოიშვა კულტურისმცოდნეობიდან, არის იდეა კულტურებისა, როგორც მნიშვნელობათა რუკისა, რომლებიც წარმოადგენენ 'კოდებს, რომლებითაც აიგებიან, გადაიცემიან და აღიქმებიან კულტურები' (Jackson 1989:2).

<u>კულტურის კონცეფციის შეფასება</u>

კულტურის გეოგრაფიის შიგნით არსებობს ბევრი შეხედულება კულტურის შესახებ და ჩანართი ???, ზოგიერთი რეპრეზენტატული განმარტების ჩამოთვლის გზით, აჯამებს და, ასევე, აფართოებს აქამდე არსებულ დისკუსიას.

ჩანართი ??? კულტურის ზოგიერთი გეოგრაფიული ინტერპრეტაცია

ეს ჩანართი ასახავს კულტურის კონცეფციის ზოგიერთ რეპრეზენტატულ გეოგრაფიულ ინტერპრეტაციას, რომლებიც ქრონოლოგიურად არიან დალაგებული. ასეთი განზრახვა იმითაა გამოწვეული, რომ წარმოგიდგინოთ როგორც შესაძლო განმარტებების მრავალფეროვნება და მივანიშნოთ დროთა განმავლობაში მათ ცვლილებებზე, ასევე დავასაბუთოთ მოსაზრება, რომ, მიუხედავად კულტურის კონცეფციის მრავალფეროვნებისა და დროითი ცვლილებებისა, მას არსებითი თანმიმდევრულობაც გააჩნია.

ზაუერი (Sauer 1925:30)

კულტურა არის *'ადამიანის საქმიანობის ნაკვალევი სივრცეზე [ტერიტორიაზე]'.*

ეს ერთ-ერთი კლასიკური დებულებაა ზაუერის 1925 წლის ფუძემდებლური სტატიიდან, რომელიც კულტურის იდეას ლანდშაფტის შექმნის მიზეზად წარმოაჩენდა.

ზაუერი (Sauer 1941:8)

'კულტურა არის შეძენილი ცოდნა და საყოველთაოდ გაზიარებული საქმიანობა [ქმედებები] ჯგუფისა, რომელიც იკავებს ამა თუ იმ სივრცეს [ტერიტორიას]'.

ეს, ნაკლებად დეტერმინისტული განსაზღვრება, 1925 წლის ზემოთმოყვანილ დებულებასთან შედარებით, შესაძლოა უფრო მჭირდოდ იყოს დაკავშირებული გეოგრაფთა ლანდშაფტური სკოლის მრავალი ემპირიული კვლევის შედეგს.

გრიტცნერი (Gritzner 1966:9)

‘კულტურა არის ადამიანთა საზოგადოების ურთიერთგადჯაჭვულობა კულტურული ნიშან-თვისებების ერთიანი კომპლექსის საშუალებით, სადაც, თითოეულ კულტურულ ნიშან-თვისებას კულტურულად დაკავშირებული ჯგუფისათვის გააჩნია მატერიალური ფორმა ან გამოყენებითი ფუნქცია, ანდა აქვს გამოხატული ღირებულება.’

ამ მკაფიო განმარტებით, რომელიც ასახავს ლანდშაფტური სკოლის მიერ გაზიარებულ შეხედულებასა და საქმიანობებს, გრიტცნერი ხაზს უსვამს იმს, რომ კულტურა გადაიცემა სივრცესა და დროში, ადამიანისათვის უნიკალური შესაძლებლობის, სიმბოლიზირების, საშუალებით.

სპენსერი და თომასი (Spencer and Thomas 1973:6)

‘კულტურა არის ერთიანი ჯამი რაღაცეების გასაკეთებლად ადამიანის მიერ შეძენილი [ნასწავლი] ქცევისა და საშუალებებისა. კულტურას ქმნიან, ატარებენ და ნელ-ნელა გარდაქმნიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ და საქმიანობენ ჯგუფურად, როცა თითოეული ჯგუფი იკავებს დედამიწის გარკვეულ რეგიონს და ავითარებს კულტურის საკუთარ და განსხვავებულ სისტემას’.

ავტორების სახელმძღვანელოში მოცემული განმარტება ავრცელებს იდეას, რომ კულტურა შეძენილი ქცევაა.

ზელინსკი (Zelinsky 1973:70)

კულტურა არის *‘კოდი ან შაბლონი/ყალიბი იდეებისა და ქცევებისათვის.’*

ეს მოკლე განმარტება, რომელიც აღებულია უფრო ფართო და მეტად გავლენიანი დებულებიდან, არის ნათელი მტკიცება, რომ კულტურა მიზეზ-შედეგობრივი მექანიზმია.

ვაგნერი (Wagner 1974:11)

“შეძენილი [ნასწავლი] ქცევა დიდწილადაა ის, რასაც ჩვენ ვგულისხმობთ კულტურის სახით.’

ვაგნერი (Wagner 1975:11)

‘ფაქტია, რომ კულტურა უნდა განვიხილოთ, როგორც ერთმანეთთან კავშირში და ურთიერთქმედებაში მყოფ ადამიანთა სპეციფიკურ, ლოკალიზებულ, მიზანმიმართულ, წესების მიმდევარ და წესების შემქმნელ ჯგუფებში გატარებული რამ.’

ვაგნერის ორი განსაზღვრება ერთად იმეორებს შესწავლის [შეძენის] მნიშვნელობას, ხაზს უსვამს იმას, რომ კულტურა უკავშირდება ადამიანის ქცევას და აქცენტს აკეთებს [კულტურული] ჯგუფის წევრთა შორის კომუნიკაციისა და ურთიერთქმედების მნიშვნელობაზე.

ჯექსონი და სმითი (Jackson and Smith1984:205)

'კულტურა, გაზიარებული მნიშვნელობების სისტემის თვალსაზრისით, არის დინამიური და შეთანხმებითი, არა ფიქსირებული ან ურყევი. მეტიც, კულტურის ახლადწარმოქმნილ თვისებებს ხშირად სივრცითი ხასიათი გააჩნია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ სიახლოვე ასტიმულირებს კომუნიკაციას და ინდივიდუალური ცხოვრებისეული სამყაროს გაზიარებას, არამედ, ასევე, იმიტომაც, რომ ურთიერთქმედებრივი პერსპექტივიდან გამომდინარე, სოციალურმა ჯგუფებმა შეიძლება აქტიურად შექმნან ადგილის არსი და მატერიალური გარემო დატვირთონ სიმბოლური მნიშვნელობებით, ისე, რომ თავად ლანდშაფტური ქსოვილი განიმსჭვალოს აქტიურ სოციალურ სამყაროთი და მიესადაგოს მას.'

ეს განმარტება, ერთ-ერთი პირველი ახალ კულტურულ გეოგრაფიაში, ითვალისწინებს ადრინდელი განმარტებების, განსაკუთრებით ვაგნერის (1975) ელემენტებს, მაგრამ მოიცავს დამატებით იდეებსაც, განსაკუთრებით ყურადღების გადატანას ქცევიდან არსზე/მნიშვნელობაზე.

ჯექსონი (Jackson 1989:ix)

კულტურა არის 'სფერო, არანაკლები, ვიდრე პოლიტიკური ან ეკონომიკური [სფეროები], რომელშიც ხდება ბატონობისა/დომინირებისა და სუბორდინაციის სოციალურ ურთიერთობებზე შეთანხმება და დავა, სადაც მნიშვნელობები უბრალოდ თავსმოხვეული კი არ არის, არამედ დავის შედეგად მიიღება.'

ეს არის ერთ-ერთი პირველი განმარტება, რომელშიც სრულადაა აღიარებული, რომ კულტურა გაგებულ უნდა იქნას ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის ბრძოლის/დაპირისპირების კონტექსტში. ამ და წინა განმარტებაში გამოკვეთილი მინიშნება კეთდება სოციალური სამაროს მიმართ.

შარმერ-სმითი და ჰანამი (Shurmer-Smith and Hannam 1994:5-6)

კულტურა არის 'ისეთი შეთანხმებადი ინტერსუბიექტურობა, რომელიც ადამიანებს, როგორც ინდივიდებს, აძლევს საშუალებას, რომ გაუგონ ერთმანეთს და განიცადონ ერთმანეთი.'

მაკდოუელი (McDowell 1994:148)

'კულტურა არის იდეების, ტრადიციებისა და რწმენის ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს ადამიანების მოქმედებას და მათ მიერ მატერიალური ნიმუშები წარმოებას, ლანდშაფტისა და განასენიანებული გარემოს ჩათვლით. კულტურა სოციალურადაა განსაზღვრული და ინტერპრეტირებული. კულტურული იდეები გამოიხატება სოციალური ჯგუფების ცხოვრებაში, რომლებიც აყალიბებენ, გამოხატავენ და უპირისპირდებიან იდეებისა და ღირებულებების ამ ერთობლიობას, რომელიც თავის მხრივ არის სპეციფიური დროსა და სივრცეში.'

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურა 'საყოველთაო მოსაზრებით არამკაფიო კონცეფციაა', მაკდოუელი (1994:148) ვფიქრობს, რომ 'ფართო კონსენსუსი' ზემოთ მოყვანილ განმარტებასთან დაკავშირებით 'შეიძლება არ იყოს ძნელი მისაღწევი'.

ჯორდანი, დომოში და როუნტრი (Jordan, Domosh, and Rowntree 1997:5)

კულტურა არის 'ადამიანის შეძენილი [ნასწავლი] ქცევა, რაც ინსტინქტურის ან თანდაყოლილის საპირისპიროა. ეს ნასწავლი ნიშან-თვისებები აყალიბებენ ცხოვრების წესს, რომელიც საერთოა ადამიანთა ჯგუფისათვის.'

ეს განმარტება, რომელიც კულტურის გეოგრაფიის შესავალი კურსის მეტად გავლენიანი სახელმძღვანელოდანაა, ინარჩუნებს კულტურის იდეას ისე, როგორც ის განვითარდა ლანდშაფტური სკოლიდან. ასეთი შეხედულება პოპულარობას ინარჩუნებს ბევრ კულტურის გეოგრაფთა შორის, მიუხედავად ახალი კულტურის გეოგრაფიის უდავო მიღწევებისა.

მიტჩელი (Mitchell 2003:2)

'*კულტურა ნამდვილად* არ არის ყველაფერი. მართლაც... *კულტურა უნდა იქნას გაგებული* როგორც რაღაც არანივთიერი, *რომელზეც, უნდა ითქვას, რომ სხვა რამაა, ვიდრე ობიექტი; 'კულტურა'* სოციალურ ურთიერთობათა [მუდამ] მიმდინარე, დაპირისპირების პირობებში მყოფი ერთობლიობაა, *რომელიც დასაგამს აძლევს სოციალურ არსს/მნიშვნელობას, სხვაობებს სოციალურ ჯგუფებსა და ადგილებს შიგნით და მათ შორის და ძალაუფლების განხორციელებას.'*

მიტჩელი ამახვილებს ყურადღებას, რომ კულტურა, როგორც ცხოვრების წესი, გაგებულ უნდა იქნას პოლიტიკური თვალსაზრისით, რადგან ის ყოველთვის ემსახურება გარკვეულ ჯგუფებსა და გარკვეულ მიზნებს. ამრიგად, კულტურა ერთდროულად არის ძალაუფლებრივი ურთიერთობების როგორც კომპონენტი, ასევე შედეგი.

დასკვნითი შენიშვნები

მართალია, ეს შერჩეული განმარტებები მხოლოდ მცირეოდენია მრავალთა შორის, ისინი მაინც იძლევიან გეოგრაფების მიერ გამოყენებულ მიდგომათა მრავალმნიშვნელოვან მიმოხილვას. შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ბოლო სამი განმარტება ასახავს თანამედროვე კულტურის გეოგრაფიის მიმდინარე ინტერესებს. რაც არ უნდა ეცადონ გეოგრაფები და სხვა მეცნიერები საუკეთესო განმარტების ფორმულირებას, ასეთი მიზანი საეჭვოა რომ განხორციელდეს. როგორც ჯექსონი (1989:180) აღიარებს თავისი მთელი წიგნის მოცულობის კვლევაში, 'კულტურის საგანი... მოუხელთებელია.'

ცხადია, რომ იმის გაგება, თუ რა იგულისხმება სიტყვაში 'კულტურა', არ არის მარტივი ამოცანა და უდავოდ წარმოშობს გამოწვევასა და დაპირებას კულტურის გეოგრაფიისათვის. საქმეთა ამგვარი ვითარებას სამი მიზეზი მაინც გააჩნია. პირველ

რიგში, ბევრი დებატები მიეძღვნა კულტურის რეალურობის საკითხს და ამან გაურკვევლობები გამოიწვია. მოდერნისტული მიდგომა კულტურას მიიჩნევდა ისეთ რამედ, რასაც სხვა რამეების ახსნა ძალუძდა; ეს იყო იდეა, რომელიც ამჟამად უარყოფილია კულტურის გეოგრაფებისა და სხვა სოციალურ მეცნიერთა უმეტესობის მიერ. მეორე რიგში, კულტურის ახსნა არასდროს ყოფილა ადვილი სხვა დაკავშირებული ტერმინებისაგან, განსაკუთრებით საზოგადოებისაგან, ასევე ეკონომიკისა და პოლიტიკისაგან იზოლირებულად. მესამე რიგში, ახლანდელი გაბატონებული თვალსაზრისი აღიარებს, რომ კულტურას აქვს განსხვავებული მნიშვნელობა განსხვავებული ჯგუფებისათვის, განსხვავებული ადგილებისათვის და განსხვავებული დროებისათვის.

მიუხედავად ამისა, არსებობს სამი დებულება, რომელსაც უმრავლესობა დაეთანხმება:

- პირველი, კულტურა ეხება ადამინების ცხოვრების წესს იმ თვალსაზრისით, თუ რა განასხვავებს ადამიანთა ერთ ჯგუფს რომელიმე სხვა ჯგუფისაგან.
- მეორე, კულტურა ძირითადი საშუალებაა, რითაც ადამიანები ამყარებენ ურთიერთობას ბუნებასთან და ერთმანეთთან. ჩვენ შეგვიძლია შევეგუოთ ფიზიკურ გარემოს ან შევცვალოთ ის და შეგვიძლია ვითანამშრომლოთ სხვა ჯგუფებთან ან, ზოგჯერ, კონფლიქტში შევიდეთ მათთან.
- მესამე, კულტურა არის ექტრასომატური[21], ადამიანის განმასხვავებელი სხვა ბიოლოგიური სახეობებისაგან. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ადამიანს შეუძლია სხვა სახეობები საცქერად გამოფინოს ორანჟერეაში, აკვარიუმებში და ზოოპარკებში.

ადამიანის იდენტობა - ვინ ვართ ჩვენ?

ამ ტექსტში ტერმინი 'კულტურა' აქამდე გამოიყენებოდა იმ იდეის გადმოსაცემად, თუ რას სწავლობენ კულტურის გეოგრაფები, კერძოდ ადამიანების ღირებულებებს, ნორმებს, ქცევებსა და მატერიალურ ფასეულობებს. თუმცა, ამ ტერმინთან დაკავშირებული საკმაო გაურკვევლობა ნიშნავს, რომ შეუძლებელია ამ საკითხზე ნათელი და სრული სურათის გადმოცემა. ასეთ სირთულეზე პასუხის გაცემის ერთი გზაა ადამიანის ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის სოციალურად კონსტრუირებულ თვისებებზე ყურადღების მიპყრობაა; ეს ის თვისებებია, რომლებიც უფრო შემენილია, ვიდრე თანდაყოლილი.

შემდგომი მსჯელობა შეეხება კულტურის გეოგრაფთა მიერ იდენტიფიცირებულ რვა სოციალურად კონსტრუირებულ თვისებას, რომლებიცაა: ადგილი (ადგილმდებარეობა), ენა, რელიგია, ეთნიკურობა, ეროვნება, თემი/თანამეგობრობა (community), კლასი და გენდერი. დღეს, სოციალური მეცნიერებების წარმომადგენელთა მთავარ პრობლემას წარმოადგენს საკითხი, თუ როგორ შეიძლება გავერკვეთ იდენტობაში ჯგუფური ეტიკეტების გამოყენებით, მაგრამ, ამავე დროს, **ესენციალიზმის** (essentialism) გვერდის ავლით; ეს უკანასკნელი კი ნებისმიერ არსებით თვისებას ჯგუფს მიაკუთვნებს/მიაწერს. რამდენადაც, ჩვეულებრივ,

[21] გარეგანი, სხეულთან კავშირში არ მყოფი.

აუცილებელია ადამიანთა დაჯგუფება, შედეგად მიღებული იმპლიკაცია, რომ ჯგუფებს აქვთ საერთო ნიშან-თვისებები და ქცევითი ნიმუშები, შეიძლება უსაფუძვლო აღმოჩნდეს, თუ გავითვალისწინებთ ხშირად გაურკვეველ საფუძველს ჯგუფის წევრობის განსაზღვრისათვის. ესენციალიზმის ყველაზე პოპულარული ალტერნატივაა სოციალური კონსტრუქციონიზმი, იდეა, რომელიც გულისხმობს, რომ იდენტობები ყალიბდება და მუდმივად გარდაიქმნება სხვებთან ურთიერთქმედების პირობებში და, ამგვარად, ის (იდენტობა) ცვალებადი და პირობითია.

ადგილი (ადგილმდებარეობა)

ყველა 'აღმსარებლობის' კულტურის გეოგრაფი და სხვა სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლები, სულ უფრო მზარდი რაოდენობით, სიმპათიით ეკიდებიან იმ დებულებას, რომ ადგილმდებარეობას მნიშვნელობა გააჩნია იდენტობის ჩამოყალიბებაში. იდენტობა უბრალოდ ის საკითხი კი არ არის, თუ *ვინ* ვართ ჩვენ, არამედ ისიც, თუ *სად* ვართ ჩვენ. ადამიანები ჯგუფურად იკავებენ ტერიტორიებს და, ამგვარად, მიდრეკილნი არიან, რომ შექმნან მატერიალური და სიმბოლური ლანდშაფტები, რომლებიც ექვემდებარებიან დელიმიტაციას[22] რეგიონების სახით. ბევრი ჩვენთაგანისათვის, ადგილი მნიშვნელოვანი ელემენტია ჩვენი ინდივიდუალური და ჯგუფური იდენტობისათვის.

ენა

ჩრდილო ამერიკელი კულტურის გეოგრაფები, განსაკუთრებით ისინი, ვინც ლანდშაფტური სკოლის ტრადიციების შესაბამისად მუშაობენ, ჩვეულებრივ განასხვავებენ ადამიანთა ჯგუფებს იმის მიხედვით, რაც განიხილება პირველად კულტურულ მახასიათებლებად, განსაკუთრებით ენისა და რელიგიის მიხედვით. ასეთი ცვლადები, რომლებიც მსგავსია ანტროპოლოგების მიერ გამოყენებულისა, ხალხის კლასიფიკაციის მიზნით, განსაკუთრებით გამოსადეგია იმ კვლევებისათვის, რომლებიც შეეხება ტომობრივი/გვარობრივი პრინციპით გაერთიანებულ ხალხს და იმ არეალებს, რომლებზეც სახლობენ ევროპიდან ჩამოსახლებული მოსახლეობა. ბევრი ჯგუფისათვის ენა არის კულტურის უმნიშვნელოვანესი გამოხატულება და განასახიერებს გარკვეულ მსოფლმხედველობას. სინამდვილეში, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ენა მოსახლეობისათვის იყო ერთ-ერთი მთავარი საშუალება, რომ დაემკვიდრებინათ თავისი განსხვავებული ნაციონალური იდენტობა. მაგრამ, ენისათვის ასეთი კულტურული მნიშვნელობის მნიჭება სახიფათოც შეიძლება აღმოჩნდეს იმ უმცირესობის ჯგუფებისათვის, რომელთა ენაც განიცდის ბატონობას უფრო დიდი ჯგუფის ენის მხრიდან, იმავე პოლიტიკურ ერთეულში. ასეთ შემთხვევებში, ენის დაკარგვა შესაძლოა მთლიანად კულტურის დაკარგვასაც ნიშნავდეს.

რელიგია

[22] შემოსაზღვრას, საზღვრების დადგენას.

რელიგია, მეორე ტრადიციული და უნივერსალური კულტურული მახასიათებელი, შეეხება უკიდურესად მნიშვნელოვან საკითხებს, ისეთებს, როგორიცაა ადამიანის დანიშნულება და არსებობა ქვეყანაზე, ადამიანის ადგილი ღმერთის ან ღმერთების ფართო კონტექსტში და ფიზიკურ სამყაროში. შედეგად, რელიგია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის შესახებ ნებისმიერი მსჯელობისას; ასევე ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებთან დაკავშირებული ლანდშაფტების განხილვისას. კერძოდ, რელიგია ასევე მზარდად მნიშვნელოვან როლს იძენს სავარაუდო ეთნიკური იდენტობის ფორმირების პროცესშიც.

ეთნიკურობა

ეთნიკურობა ეხება ერთი ჯგუფის მიერ აღთქმულ განსხვავებულობას სხვებთან მიმართებაში, რაც ჩვეულებრივ ეფუძნება ამ ჯგუფის მიერ გაზიარებულ საერთო ისტორიას, რომელიც შეიძლება ნაწილობრივ მითიურიც იყოს, და რომელსაც აქვს პოლიტიკური ერთიანობა. ბევრი ჯგუფი ცდილობს შექმნას ეთნიკური სოლიდარობა და მიაღწიოს ეთნიკურ სიამაყეს თავისი წარმოშობის, ისტორიის, სამშობლოზე პრეტენზიის, სხვადასხვა მატერიალური და კულტურული ნიშან-თვისებების ხაზგასმით. კულტურის გეოგრაფიის ლანდშაფტურ სკოლაში ეთნიკურობა ხშირად გამოიყენებოდა ჯგუფის იდენტიფიკაციისათვის, ენისა და/ან რელიგიის ნაცვლად.

ეთნიკურობა პრობლემური ცნებაა. მოსაზრება, რომ რომელიმე ეთნიკური ჯგუფი არსებობს, ჩვეულებრივ იწვევს იმის დაშვებასაც, რომ მას თავისი განსხვავებული კულტურაც გააჩნია, რაც განივთების კიდევ ერთ ნიმუშს წარმოადგენს. ეთნიკურობა ასევე მჭიდროდ არის ასოცირებული, და ზოგჯერ აღრეულიც, კიდევ უფრო პრობლემურ ტერმინთან 'რასა'. იდეა, რომ არსებობს ადამინთა რასები, მითია. სამწუხაროდ, ბიოლოგიური ტერმინი ხშირად იხმარება ეთნიკურობის სინონიმად, ან იქმნება ხოლმე წარმოდგენა, რომ ეთნიკური სხვაობები შესაძლო რასობრივი სხვაობების პირდაპირ შედეგს წარმოადგენენ.

ეროვნულობა

ეროვნულობაც პრობლემური ტერმინია. ადამიანები იყოფიან ეროვნულ ჯგუფებად (რამდენადაც ხელოვნური არ უნდა იყოს ასეთი დაყოფა) და, ასევე, პოლიტიკურ ერთეულებად, რომლებიც ეროვნული სახელმწიფოების სახელით არიან ცნობილი. მაგრამ, ეს ორი კონცეპტი იშვიათადაა კონგრუენტული[23] და, შედეგად, მეცხრამეტე საუკუნის ნაციონალისტური აზროვნების საპირისპიროდ, ეროვნული ჯგუფები ძალიან იშვიათად, თუკი ოდესმე, არიან საგულდაგულოდ თავმოყრილი/შეფუთული ერთ პოლიტიკურ ერთეულში; პოლიტიკური ერთეულებიც იშვიათად, თუ ოდესმე, მოიცავენ ერთ, სახელით გათვალისწინებულ, ეროვნულ ჯგუფს. მიუხედავად ამისა, ეროვნული იდენტობის იდეა ცენტრალურია თანამედროვე მსოფლიოს ბევრი თემატიკისათვის.

თემი

[23] თანხვედრილი, შესაბამისი

განსხვავებით სიტყვისაგან ‘კულტურა’, თემს/თანასაზოგადოებას არასოდეს ეპყრა პრივილეგირებული პოზიცია სოციალურ მეცნიერებათა დისკურსში და მას ბევრი სხვადასხვა განმარტება და მნიშვნელობა მიეწერებოდა. ტერმინი ‘თემი’, რომელსაც ტრადიციულად ისეთი პოზიტიური ქვეტესტი და შინაარსი მიეწერებოდა, როგორიცაა ლოიალურობა, გაზიარებული საწუხარი და პერსონალური კონტაქტი, დღეს უფრო და უფრო ხშირად იხმარება, როგორც ეთნიკური ჯგუფის ალტერნატიული ცნება.

<u>კლასი</u>

მეცხრამეტე საუკენეში ‘კლასი’ გამოიყენებოდა საერთო სოციალური და ეკონომიკური სტატუსის მქონე ხალხის აღსანიშნავად. კარლ მარქსი (Karl Marx 1818-1883) კლასიფიცირებაზე უფრო შორსაც წავიდა, როდესაც წარმოაჩინა განსხვავება იმათ შორის, ვინც ქმნის ჭარბ დოვლათს (მშრომელები) და ვინც ითვისებს დოვლათს (კაპიტალისტები). მან დაასკვნა, რომ კლასს გააჩნია კოლექტიური ცნობიერება და ორგანიზებულობა, რაც ამყოფებს მას მუდმივ კლასობრივ ბრძოლაში. მარქსმა კლასობრივი ცნობიერების/შეგნების გამოყენებით ჩაანაცვლა ის, რასაც სხვები მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს კულტურას უწოდებდნენ. დღეს, კლასი უმნიშვნელოვანესი ცვლადია პოლიტიკური ეკონომიის სფეროში, რომელმაც ზოგიერთი იდეით წვლილი შეიტანა კულტურის გეოგრაფიაში, პოლიტიკური ეკოლოგიის სახით. თუმცა, კლასი არ წარმოადგენს თანამედროვე კულტურის გეოგრაფიის სხვა მიმართულებების ცენტრალურ საკითხს.

<u>გენდერი</u>

გენდერი ეხება იმ ატრიბუტებს, რაც კულტურულად მიეწერება ქალებსა და მამაკაცებს. ის არის კულტურული კონსტრუქტი, რომელიც ექვემდებარება ცვლილებებს. ამ, თვალსაზრისით, გენდერული კვლევები ყურადღებას ამახვილებენ მამაკაცის როლზე, რომელიც გაიგივებულია ძალაუფლებასა და დომინირებასთან და ქალების, ფართოდ მიჩნეულ, დაქვემდებარებულ მდგომარეობაზე, გენდერული როლების შექმნისა და შენარჩუნების პროცესში. ჩვეულებრივ, მიღებულია ხაზგასმა იმაზე, რომ არ არსებობს უცილობელი კავშირი ბიოლოგიურ სქესსა და გენდერს შორის, რადგან ქალებს შეიძლება ჰქონდეთ მამაკაცური თვისებები და, პირიქით, მამაკაცებს - ქალური. მაგრამ, ის ფაქტი რომ გენდერი არ წარმოადგენს მნიშვნელოვან მახასიათებელს კულტურის გეოგრაფიაში, არ არის მხოლოდ ამ მოსაზრებებით გამოწვეული; არსებობს არგუმენტები, რომ სქესობრიობა და სქესობრივი პრეფერენციები კავშირშია კულტურასთან ისეთნაირად, რომ ისინი შეიძლება სოციალურ კონსტრუქციებადაც მივიჩნიოთ.

კულტურის გეოგრაფიის თემები

მიღებულია, რომ კულტურის გეოგრაფების იდეები და შრომები გარკვეულ თემებად იქნას გაერთიანებული. ისინი არ არიან ფორმალურად ინსტიტუციონალიზებული კულტურის გეოგრაფიის ჩარჩოებში, მაგრამ წარმოადგენენ ძირითად თემებს, რომელთა იდენტიფიკაციაც შეიძება, თუკი თვალს გადავავლებთ კულტურის გეოგრაფიის განვითარებას 1920-იანი წლებიდან დღემდე. ჩანართი ??? წარმოადგენს

გარკვეული კანონზომიერების დადგენის ცდას კულტურის გეოგრაფიის სუბდისციპლინებად დაყოფის თვალსაზრისით.

კულტურის გეოგრაფიის თემები

კულტურის გეოგრაფიის იდეებისა და ნამუშევრების ორგანიზებისათვის ექვსი თემა გამოიყენება.[24] ისინი არ არიან ფორმალურად ინსტიტუციონალიზებულნი კულტურის გეოგრაფიაში, მაგრამ წარმოადგენენ ზოგად თემებს, რომლებიც შეიძლება გამოვყოთ კულტურის გეოგრაფიის განვითარების კვლევისას, 1920-იანი წლებიდან მოყოლებული. ჩანართი ??? აჯამებს სუბდისციპლინაში [იგულისხმება კულტურის გეოგრაფია] გარკვეული წესრიგის შემოტანის ადრეული მცდელობების შერჩეულ ნიმუშებს. არის ეს გარემოება - უდავოდ და უნივერსალურად აღიარებული საკვლევი თემების არარსებობა - თავისებური და გამორჩეული კულტურის გეოგრაფიისათვის? რა თქმა უნდა, არა. ალბათ სოციალურ მეცნიერებაში არსებული ყველა ძირითადი საკითხი მსგავს მდგომარეობაში უნდა მოვიაზროთ.

ჩანართი ??? **ორგანიზაციული საფუძვლები**

მიუხედავად იმისა, რომ კულტურის გეოგრაფები 'არ იყვნენ მიდრეკილნი, რომ დაეცვათ თავიანთი ინტერესები ან გამოექვეყნებინათ პროგრამული დებულებები' (Mikesell 1978:1)[25], მათ ჰქონდათ არაერთი მცდელობა, რომ ნათელი შეეტანათ საგნის შინაარსსა და მიდგომებში. ეს ჩანართი ასახავს, შემოკლებული სახით, ზოგ პრინციპულ მცდელობას; ცალკეული საკითხები უფრო დეტალურად ამ სახელმძღვანელოშია მოყვანილი. სტუდენტებს, რომლებიც ეძიებენ დამატებით ინფორმაციას, ვურჩევთ, რომ მიმართონ ქვემოთ მოყვანილ წყაროებს, კულტურის გეოგრაფიის განვითარების ანგარიშებს და/ან სოციალურ გეოგრაფიაში ყოველწლიურად გამოქვეყნებულ ჟურნალს *Progress in Human Geography*, ასევე კულტურის გეოგრაფიის შესახებ იმ შეფასებებს, რომლებიც გამოქვეყნებულია შემდეგ წყაროებში: Dohrs and Sommers (1967)[26], Mikesell (1967)[27], Miller (1971)[28], Salter (1972)[29], Spencer (1978)[30], Norton (1987)[31] და Ellen (1988)[32].

ვაგნერი და მიკესელი (Wagner and Mikesell 1962)

---

[24] აღნიშნული ექვსი თემა ამ წყაროს ავტორების მიერ განსაზღვრულია მხოლოდ ამ სახელმძღვანელოს მიზნებისათვის და არ წარმოადგენს უნივერსალურ, საყოველთაოდ გაზიარებულ ჩამონათვალს.

[25] Mikesell, M.W. 1978. 'Tradition and Innovation in Cultural Geography'. *Annals of Association of American Geographers* 68:1-16.

[26] Dohrs, F.E., and L.M. Sommers, eds. 1967. Cultural Geography: Selected Readings. New York: Crowell.

[27] Mikesell, M.W. 1967. 'Geographic Perspectives in Anthropology'. *Annals of Association of American Geographers* 14:617-34.

[28] Miller, V.P., Jr. 1971. 'Some Observations on the Science of Cultural Geography'. *Journal of Geography* 70:27-35.

[29] Salter, C.L. 1972. 'A Speculative Cultural Geography: A Free-For-All Approach to Introductory Cultural Geography'. *Journal of Geography* 71:533-40.

[30] Spencer, J.E. 1978. 'The Growth of Cultural Geography'. *American Behavioral Scientist* 22:79-92.

[31] Norton, W. 1987. 'Humans, Land and Landscape: A Proposal for Cultural Geography'. *Canadian Geographer* 31:21-30.

[32] Ellen, R. 1988. 'Persistence and Change in the Relationship Between Antropology and Human Geography'. *Progress in Human Geography* 12:229-61.

თავიანთ პიონერულ და მეტად გავლენიან დამხმარე სახელმძღვანელოში (book of readings), ვაგნერი და მიკესელი (1962:1)[33] შემოგვთავაზეს შემდეგი ხუთი თემა, რომლებიც შეადგენენ 'კულტურის გეოგრაფიის ბირთვს':

- კულტურა
- კულტურული არეალი
- კულტურული ლანდშაფტი
- კულტურული ისტორია
- კულტურული ეკოლოგია

გრიტცნერი (Gritzner 1966)

გრიტცნერის (1966)[34] მიხედვით, კულტურის გეოგრაფია:

- დასაბამს იღებს კულტურის ანტროპოლოგიური კონცეფციიდან;
- კულტურულ თვისებებს და ჯგუფებს განიხილავს განვითარების თვალსაზრისით;
- შეისწავლის კულტურას/ბუნებას;
- ხსნის/ინტერპრეტაციას უკეთებს ლანდშაფტებს; და
- მსოფლიოს ყოფს კულტურის რეგიონებად და სუბ-რეგიონებად.

ვაგნერი (Wagner 1972[35], 1974[36], 1975[37])

ვაგნერმა [მოგვიანებით] უარყო [თავისი და] მიკესელის მიერ 1962 წელს გახმოვანებული ხუთი თემა და შემოგვთავაზა აქცენტის გადატანა ინსტიტუციებსა და კომუნიკაციაზე.

სპენსერი და თომასი (Spencer and Thomas 1973)

სპეციფიური თემებზე უფრო, სპენსერი და თომასი (1973)[38] ცნობენ შემდეგ ოთხ კონცეპტუალურ წარმონაქმნს:

- მოსახლეობას;
- ფიზიკურ გარემოს;
- სოციალურ ორგანიზაციას;
- ტექნოლოგიას.

ამ, უფრო მეტად პროცესზე ორიენტირებულ სქემაში, ისინი ასევე გვთავაზობენ ექვს, ურთიერთქმედებაში მყოფ, შეთანაწყობას, კერძოდ, რომლებიც მოიცავენ:

- მოსახლეობას და გარემოს;

[33] Wagner, P.L., and M.W. Mikesell. 1962. 'The Themes of Cultural Geography'. In *Readings of Cultural Geography*, edited by P.L. Wagner and M.W. Mikesell, 1-24. Chicago: University of Chicago Press.
[34] Gritzner, C.F. 1966. 'The Scope of Cultural Geography'. *Journal of Geography* 65:4-11.
[35] Wagner, P.L. 1972. *Environments and Peoples*. Englewoods Cliffs, NJ: Prentice Hall.
[36] Wagner, P.L. 1974. 'Cultural Landscapes and Regions: Aspects of Communication'. In *Man and Cultural Heritage: Papers in Honor of Fred B. Kniffen*, edited by H.J. Walker and W.G. Haag. *Geoscience and Man* 5:133-42. Baton Rouge: Louisiana State University, Department of Geography and Anthropology, Geoscience Publications.
[37] Wagner, P.L. 1975. 'The Themes of Cultural Geography Rethoughts'. *Yearbook of the Association of Pacific Coast Geographers* 37:7-14.
[38] Spencer, J.E., and W.L. Thomas Jr. 1973. *Introducing Cultural Geography*. New York: Wiley.

- მოსახლეობას და სოციალურ ორგანიზაციას;
- მოსახლეობას და ტექნოლოგიას;
- სოციალურ ორგანიზაციას და ტექნოლოგიას;
- ფიზიკურ გარემოს და სოციალურ ორგანიზაციას; და
- ფიზიკურ გარემოს და ტექნოლოგიას.

მიკესელი (Mikesell 1978)

მიკესელი (1978)[39] გამოყოფდა შვიდ მდგრად პრეფერენციას:

- ისტორიულ ორიენტაციას;
- ადამიანს, როგორც გარემოს ცვლილების აგენტს;
- მატერიალურ კულტურაზე ფოკუსირებას;
- რურალური საკითხების ამოჩემებას ჩრდილო ამერიკაში, სხვაგან კი - არა-დასავლური ან პრე-ინდუსტრიული თემატიკისას.
- ანტროპოლოგიასთან კავშირს;
- არსობრივ კვლევებს; და
- საველე შესწავლას.

ის ასევე განსაზღვრავდა სამ თანამედროვე პრიორიტეტს:

- გარემოს პერცეფციას;
- კულტურულ ეკოლოგიას; და
- ფოკუსირებას აშშ-ზე.

ნორტონი (Norton 1989)

ნორტონმა (1989)[40] შემოგვთავაზა ოთხი თემა:

- ევოლუციონური;
- ეკოლოგიური;
- ბიჰევიორული; და
- სიმბოლური.

მარფი და ჯონსონი (Murphy and Johnson 2000)

მარვინ მიკესელის ხსოვნისადმი მიძღვნილ ნაშრომში[41] (ქვეთავი 'დამკვიდრებული და ახლად წარმოჩენილი გეოგრაფიული თემები'), ეს ავტორები (შემდგენლები) სტატიებს აჯგუფებენ შემდეგ სამ კატეგორიად:

- კულტურული სივრცეების კონსტრუირება;
- გარემოს მონიშვნა; და
- [გეოგრაფიულ] ადგილზე დამკვიდრება.

[39] Mikesell, M.W. 1978. 'Thadition and Innovation in Cultural Geography'. *Annals of Association of American Geographers* 68:1-16.
[40] Norton, W. 1989. *Explorations in the Understanding of Landscape: A Cultural Geography*. Westport, CT: Greenwood.
[41] Murphy, A.B., and D.L. Johnson. 2000. *Cultural Encounters with the Environment: Enduring and Evolving Geographic Themes*. Lanham, MD: Rowman and Littlefield. ქვეთავი: *Enduring and Evolving Geographic Themes*.

ბატიმერი (Buttimer 2003)

ბატიმერი (2003)[42] გამოყოფდა ხუთ პრინციპს:

- ერთი დედამიწა, რომელიც დასახლებულია მრავალ(გვარ)ი კულტურული სამყაროთი;
- გეოგრაფიული ცოდნის განვითარება ბუნებისა და კულტურის შესახებ;
- გამოგონებები და შეთანხმებები/პირობითობები ტექსტებსა და სურათებში;
- ინსაიდერები და აუთსაიდერები[43], მაინდსკეიპები[44] და ლანდშაფტები; და
- თვითონ და სხვები, დიალოგი ურთიერთგაგების მისაღწევად.

სტრომაიერი (Strohmayer 2003)

სტრომაიერი (2003)[45] ამტკიცებდა, რომ კულტურისა და გეოგრაფიის ძირითადი კონცეფციების გარდა, ქვემოთმოყვანილი საკითხებიც უნდა ყოფილიყო წარმოჩენილი:

- ლანდშაფტის მატერიალურიბა;
- სადავოობა;
- იდენტობა; და
- გლობალიზაცია.

ანდერსონი, დომოში, პაილი და თრიფტი (Anderson, Domosh, Pile, and Thrift 2003)

იმის გაცნობიერებით, რომ კულტურის გეოგრაფია არის სადავო და განვრცობას დაქვემდებარებული ინტელექტუალური სფერო, ნაშრომის[46] ავტორები (შემდგენლები) გამოყოფენ ხუთ თემას:

- კულტურა, როგორც რაღაცეების გავრცელება-განაწილება;
- კულტურა, როგორც ცხოვრების წესი;
- კულტურა, როგორც რაღაცის კეთება; და
- კულტურა, როგორც ძალაუფლება.

არსებობს, სულ მცირე, ორი ზოგადი მიზეზი, თუ რატომ არ არის უჩვეულო სოციალური მეცნიერებისათვის, თემების მკაცრად დადგენილი ჩამონათვლის არარსებობა. პირველ ყოვლისა, არ ხდება საკვლევი თემების ტიპურად განსაზღვრა [ტიპოლოგია] და შემდგომში მისი საგულდაგულოდ მიდევნება. მკვლევარების ანალიზი, უმეტესწილად, მართალია ხშირად წინარე ნაშრომებითაა ნაკარნახევი,

[42] Buttimer, A. 2003. 'Cultural Geographers Forum: What are the Five Most Important Principles that Should be Covered in an Introductory Course in Cultural Geography and Why?' *Place and Culture, The Newsletter of the Cultural Geography Specialty Group of the Association of American Geographers* Spring, 3-4.

[43] Insiders and outsiders - შინაურები და უცხოები/გარეულები

[44] Mindscapes - წარმოსახვითი/გონებისმიერი ფორმები. ქართულად შესაძლოა 'წარმოსახვითი ლანდშაფტები' ვუწოდოთ.

[45] Strohmayer, U. 2003. 'Cultural Geographers Forum: What are the Five Most Important Principles that Should be Covered in an Introductory Course in Cultural Geography and Why?' *Place and Culture, The Newsletter of the Cultural Geography Specialty Group of the Association of American Geographers* Spring, 5-6.

[46] Anderson, K., M. Domosh, S. Pile, and N. Thrift. 2003. Handbook of Cultural Geography, edited K. Anderson, M. Domosh, S. Pile, and N. Thrift, xviii-xix. Thousand Oaks, CA: Sage Publications.

მაგრამ შეიძლება მათგან საკმაოდ განსხვავებული ფოკუსი ჰქონდეს. მათ შეიძლება ისეთი კვლევაც ჩაატარონ, რომელიც სხვა დისციპლინებიდან იმპორტირებული ახალი იდეებით იყოს ნაკარნახევი. მეორე რიგში, სოციალური მეცნიერების შრომების უმეტესობის ბუნება ისეთია, რომ საერთო ინტერესი/თემატიკა მხოლოდ მას შემდეგ ვლინდება, როცა წარმოჩინდება ნაშრომის ძირითადი ნაწილი. ეს ხდება მიზეზი მთავარი მიზეზი ახალი სოციალური მეცნიერების ნაშრომების კლსიფიკაციის თვალსაზრისით. მარტივად რომ ვთქვათ, ახალი ნაშრომები შეიძლება ახალ კლასიფიკაციებს საჭიროებდნენ.

მაშინ, ქვემოთ მოყვანილი ექვსი თემა არ იქნებოდა ადვილად გამოსაკვეთი, ვთქვათ, ოცი წლის წინ და, როგორც ჩანს, აღარ იქნება შესაბამისი ან, უკიდურეს შემთხვევაში, საკმარისი, ოცი წლის შემდეგ.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ქვემოთ განმარტებული ექვსი თემა, მიუხედავად იმისა რომ განსხვავებულია, არის ურთიერთშემავსებელი. ისინი არ ავსებენ ერთმანეთს რაღაც მითიური უნივერსალური ჭეშმარიტების დადგენის თვალსაზრისით, არამედ, თითოეულმა მათგანმა შეიტანა და, როგორც ჩანს, კვლავაც შეიტანს წვლილს, კულტურის გეოგრაფიის ფუნდამეტური მიზნების მიღწევაში; კერძოდ, რეალურ სამყაროში როგორც ადამიანის, ასევე ადგილმდებარეობის არსის განსაზღვრაში.

ექვსი თემა

ცხრილი ??? ასახავს ექვს თემას და გვაწვდის განმარტებებს მათთან დაკავშირებული კონცეპტუალური შთაგონების, მთავარი ფიგურებისა და ძირითადი კონცეპტების შესახებ.

ცხრილი ??? კულტურის გეოგრაფია - ექვსი ძირითადი თემა

თემა	კონცეპტუალური შთაგონება	ძირითადი კონცეპტები	მთავარი ფიგურები
გარემო, ეთიკა, ლადშაფტები	ლანდშაფტური სკოლა, ეკოლოგია, ანტროპოლოგია, მარქსიზმი, პოლიტიკური ეკოლოგია	ადამიანები და ბუნება, კულტურა, ეკოლოგია, ადაპტაცია, ადამიანის ზემოქმედება	ბაროუზი (Barrows), ბატცერი (Butzer), მიკესელი (Mikesell), მეთიუსონი (Mathewson), პიტი (Peet), ზაუერი (Sauer), ვაგნერი (Wagner), ციმერერი (Zimmerer)
ლანდშაფტის ევოლუცია	ლანდშაფტის სკოლა, ისტორია, *ანალების* სკოლა (*Annales* school), მსოფლიო სისტემები	ლანდშაფტი, ბუნება, კულტურა, დრო, დიფუზია, აკულტურაცია, საზღვარი (frontier)	კარტერი (Carter), კლარკი (Clark), კონზენი (Conzen), დერბი (Darby), ჰოსკინსი (Hoskins), ჯ.ბ.ჯექსონი (J.B.Jackson), ლიუისი (Lewis), მეინიგი

			(Meinig), ზაუერი (Sauer)
რეგიონული ლანდშაფტები	ლანდშაფტის სკოლა, რეგიონული გეოგრაფია, ახალი კულტურული გეოგრაფია, კულტურის სამყაროები	კულტურა, რეგიონი, სამშობლო, ლანდშაფტი, გლობალიზაცია, მსოფლიო სისტემა	ჰარტი (Hart), ჰარტშორნი (Hartshorne), ჰადსონი (Hudson), ჯორდანი (Jordan), მეინიგი (Meinig), ზაუერი (Sauer), შორტრიჯი (Shortridge), ზელინსკი (Zelinsky)
ძალაუფლება, იდენტობა, გლობალური ლანდშაფტები	ახალი კულტურის გეოგრაფია, მარქსიზმი, ფემინიზმი, პოსტმოდერნიზმი	ძალაუფლება, იდენტობა, ეთნიკურობა, ენა, რელიგია, ერი, გლობალიზაცია	ბლაუტი (Blaut), ჰარვეი (Harvey), პ.ჯექსონი (P.Jackson), მიტჩელი (Mitchell), ტეილორი (Taylor), ვალერსტაინი (Wallerstein)
სხვა მოსაზრებები (Other Voices), სხვა ლანდშაფტები	ახალი კულტურის გეოგრაფია, ხალხური და პოპულარული კულტურა, სოციოლოგია, მარქსიზმი, ფემინიზმი, პოსტმოდერნიზმი	სოციალური კონსტრუქცია, დისკურსი, განსხვავება, იდენტობის პოლიტიკა, სხვები, გენდერი, სექსუალობა [სქესობრიობა (sexuality)], წინააღმდეგობა	კრესუელი (Cresswell), დომოში (Domosh), დანკანი (Duncan), პ.ჯექსონი (P.Jackson), მიტჩელი (Mitchell), როუზი (Rose), საიბლი (Sibley), ვალენტაინი (Valentine)
ცხოვრება [გარკვეულ] ადგილას (Living in Place)	ახალი კულტურის გეოგრაფია, ხალხური და პოპულარული კულტურა, ფსიქოლოგია, ჰუმანიზმი, პოსტმოდერნიზმი	დისკურსი, შინ (home), ადგილი [ადგილმდებარეობა (place)], ადგილის არსი, ლანდშაფტი, როგორც ტექსტი (Landscape as text), იდენტობა, მოხმარება	კარნი (Carney), კოსგროუვი (Cosgrove), დენიელსი (Daniels), დანკანი (Duncan), ჯეიკლი (Jakle), ლეი (Ley), ტუანი (Tuan)
პირველი სამი თემა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ახალ კონცეფციასაც ითვალისწინებს, ტრადიციულ თემებია, იმ თვალსაზრისით, რომ: • მათ ძირითად კონცეპტუალური შთაგონების წყაროს ლანდშაფტის სკოლა წარმოადგენს; • მათ ახასიათებთ გეოგრაფიის, როგორც ფიზიკური და საზოგადოებრივი (ადამიანის შემსწავლელი) დისციპლინების მაინტეგრებელი მეცნიერების, ხედვა.			

ბოლო სამი თემა უფრო ახალი წარმოშობისაა. მათ კულტურის გეოგრაფიის იდეებსა და პრაქტიკაში შემოაქვთ ზოგიერთი ახალი და განსხვავებული შინაარსი და ასახავენ:

- საერთო მჭიდრო კონტაქტებს კულტურის გეოგრაფიასა და სოციალურ მეცნიერებებს შორის;
- უშუალო მიმართებას სოციალურ თეორიასა და კულტურულ მოძღვრებებთან;
- შეხედულებებს კულტურის შესახებ, რომლებიც აშკარად უარყოფენ იდეას, რომ კულტურა მიზეზ-შედეგობრივ ცვლადს წარმოადგენს.

<u>გარემო, ეთიკა, ლანდშაფტები</u>

პირველი თემა უკავშირდება ადამიანისა და ბუნების ურთიერთობას. მიუხედავად იმისა, რომ ლანდშაფტის სკოლას გააჩნია მნიშვნელოვანი კონცეპტუალური საფუძვლები, ეს თემა ასევე უკავშირდება ახალ თეორიას, განსაკუთრებით პოლიტიკური ეკოლოგიისა და ეკოფემინიზმის სახით. გარდა ამისა, ის არის კულტურული გეოგრაფიის ყველაზე თვალსაჩინო პრაქტიკული სფერო, რომელიც რელევანტურია როგორც გარემოს, ასევე სოციალური თვალსაზრისით. მას გააჩნია მჭიდრო კავშირი ფიზიკურ გეოგრაფიასთან და სწორედ ეს სფეროა, რომელიც ყველაზე მეტად უქმნის შესაძლებლობას იმ გეოგრაფთა ამბიციების განხორციელებას, რომლებსაც სურთ ფიზიკური და სოციალური მეცნიერებების ერთიანი ტრადიციის ფარგლებში იმუშაონ.

<u>ლანდშაფტის ევოლუცია</u>

პირველი თემის მსგავსად, ლანდშაფტის ევოლუციის წარმოშობა ლანდშაფტის სკოლას უკავშირდება. ბევრი ნაშრომია შესრულებული ამ სფეროში, იმ ნაშრომთა ჩათვლით, რომლებიც ისტორიული გეოგრაფიის სახელითაა აღნიშნული. ამ თემის მთავარი იდეაა იმის გაცნობიერება, რომ, როგორც ზაუერი ამტკიცებდა, კულტურები დროთა განმავლობაში ფიზიკურ ლანდშაფტებს გარდაქმნიან საზოგადოებრივ (ადამიანისმიერ) ლანდშაფტებად. ამრიგად, ამ თემაზე მომუშავე მკვლევართა საერთო ნიშანია კულტურისა და ცვლადი ლანდშაფტების მახასიათებელია შორის მჭიდრო კავშირების დადგენა.

<u>რეგიონული ლანდშაფტები</u>

რეგიონული ლანდშაფტების, როგორც დროთა განმავლობაში კულტურული **ოკუპაციის** ანარეკლის, კვლევები, ცენტრალურია ლანდშაფტის სკოლის ტრადიციებისათვის და არსებობს მჭიდრო კავშირები მასსა და წინა თემას შორის, იმ თვალსაზრისით, რომ რეგიონები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ევოლუციის ერთ-ერთი შედეგი. არსობრივი განსხვავება ამ ორ თემას შორის იმსახურებს ხაზგასმას. რეგიონები იდენტიფიცირებული არიან სხვადასხვა სივრცით მასშტაბში, გლობალური კულტურებით და ლოკალური, ეთნიკურად განსაზღვრული არეალებით, რომლებიც განიხილებიან ერთი, და არა საპირისპირო, დიალექტიკის ნაწილებად. არსებობს ასევე რეგიონული მოძღვრებები, რომლებზეც გავლენას ახდენენ სხვა კონცეფციები: მაგალითად, გლობალურ მასშტაბში, მსოფლიო სისტემის თეორია ხსნის თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ევოლუციას.

ძალაუფლება, იდენტობა, გლობალური ლანდშაფტები

ახალი კულტურის გეოგრაფიის ძირითად ინტერესს წარმოადგენს კულტურის პოლიტიკური განზომილება და ეს თემა ფოკუსირებას ახდენს გლობალურ საკითხებზე , რადგან ის განიხილავს ზოგიერთი ჯგუფის მიერ სხვა ჯგუფებზე კონტროლის განხორციელებას. ძალაუფლების დისბალანსის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს სხვადასხვა ადგილებში ცხოვრების არათანაბარი ხარისხი, გარემოება, რომელიც დომინირებს, გლობალიზაციის პროცესის მიუხედავად. ლანდშაფტის სკოლის ინტერესებთან კავშირი, ლანდშაფტებისა და რეგიონული სხვაობების დისკუსიით, თვალსაჩინოა, მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ამ თემასა და იმ თემებს შორის, რომლებიც ლანდშაფტის სკოლას ეფუძნებიან, კულტურის პოლიტიკური კონცეპტუალიზაციის შემოტანაა.

სხვა მოსაზრებები, სხვა ლანდშაფტები

კულტურის პოლიტიკური განზომილებაა ამ თემის ფოკუსიც, რომელიც ხაზს უსვამს განსხვავებას 'საკუთარ თავს' (თავისიანს - self) და 'სხვებს' (others) შორის, როგორც ეს ასახულია იდენტობებსა და ლანდშაფტებში. თანამედროვე მსოფლიოში იდენტობების სიმრავლისა და ცვალებადობის გაცნობიერება ხელს უწყობს დისკუსიას როგორც თავისიანებთან, ასევე სხვებთან და ლანდშაფტების შესახებაც, რომლებიც სხვადსახვა ჯგუფის მიერ სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საგანს წარმოადგენენ.

ცხოვრება [გარკვეულ] ადგილას

მართალია, ლანდშაფტის სკოლის ტრადიციები მოიცავს როგორც მატერიალურ, ასევე სიმბოლურ ლანდშაფტებს, ის მაინც მკაფიოდ უსვამს ხაზს ხილვად მატერიალურ სამყაროს. ეს თემა განავრცობს ასეთ ხაზგასმას იდენტობაზე და ლანდშაფტისათვის მინიჭებულ სიმბოლურ მნიშვნელობაზე ფოკუსირებით. ეს თემა, რომლის ძირითადი კონცეფცია შთაგონებულია ჰუმანიზმითა და პოსტმოდერნიზმით, იკვლევს, თუ როგორ აღიქმებიან ლანდშაფტები და როგორ განაახლებენ ისინი კულტურასა და იდენტობას. ის ასევე შეისწავლის ხალხურ და პოპულარულ ჯგუფებს, რომლებიც შეიძლება გამოვარჩიოთ მოხმარების პრეფერენციებითა და შესაბამისი ლანდშაფტებით.

დასკვნითი შენიშვნები

კულტურის გეოგრაფია დავისა და აზრთა ჭიდილის არენას წარმოადგენს, რაც იმითია განპირობებული, რომ არსებობს მიდგომებისა და კვლევითი ინტერესების დიდი სიუხვე, კონკრეტული განსხვავებებით, რაც ტრადიციულ და ახალ შეხედულებებს შორის აღინიშნება. კულტურის ზაუერისეული ხედვა და მასთან დაკავშირებული ლანდშაფტის სკოლა, რომელიც პირველად 1920-იან წლებში გამოჩნდა და კავშირში იყო უფრო ფართო მოდერნისტულ პროექტთან, დღესაც აგრძელებს დომინირებას თანამედროვე კვლევების უმრავლესობაზე - კერძოდ

ჩრდილო ამერიკაში - ადამიანისა და (დედა)მიწის ურთიერთობების, ლანდშაფტური ევოლუციისა და რეგიონების მიმართ კვლავაც ცოცხალი ინტერესის შენარჩუნების ხარჯზე. 1970-იან წლებში აღმოცენებული ახალი კულტურის გეოგრაფია თავს იკავებს ფართო მოდერნისტულ პროექტთან მიმართებაში, კრიტიკულად უდგება კულტურის მატერიალიზაციის მცდელობებს, ყურადღებას ამახვილებს ადამიანთა ჯგუფებსა და ლანდშაფტებს შორის არსებულ უთანასწორობებზე და მიიჩნევს, რომ ლანდშაფტები არიან სიმბოლური, ისევე როგორც მატერიალური.

1920-იანი წლებიდან 1970-იან წლებამდე კულტურის გეოგრაფიის ზაუერისეული ხედვა დომინირებდა შეერთებულ შტატებში, მაგრამ არ გვხვდებოდა სხვა ინგლისურენოვან ქვეყნებსა და ევროპაში, ალბათ იმიტომ, რომ კულტურის სუპეორგანული ინტერპრეტაცია არასოდეს დაუყენებიათ ეჭვქვეშ არც ანტროპოლოგებს და არც გეოგრაფებს აშშ-ის საზღვრებს მიღმა. ბრიტანეთში კვლევების შესატყვისი სფერო სოციალური გეოგრაფიის სახელით იყო ცნობილი. საზოგადოების მთავარი კონცეფცია კულტურის კონცეფციის მსგავსი იყო იმაში, რომ ის იძლეოდა დისკუსიის საშუალებას ადამიანთა ჯგუფური ცხოვრების წესისა და მათთან დაკავშირებული ლანდშაფტების შესახებ.

უეჭველია, რომ ლანდშაფტის სკოლის ინტერესები დღესაც რჩება კვლევის ყველაზე სასურველ სფეროდ. მართლაც, მას შემდეგაც კი, რაც ახალი კულტურის გეოგრაფია ათწლეულზე მეტი ხანი იყო დამკვიდრებული, ამერიკაში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ 'კულტურის გეოგრაფთა ძირითადი ნაწილი კმაყოფილი ჩანდა სუპერორგანული [მიდგომით]' (Rowntree, Foote, and Domosh 1989:212).[47] ეს ინტერესები კონცეპტუალურად უფრო განსხვავებულია, ვიდრე ეს იყო მეოცე საუკუნის უფრო ადრეულ პერიოდში, მაგრამ წარსული ინტელექტუალური ცხოვრების კვალი სრულიად ნათელია. ახალი კულტურის გეოგრაფიის ინტერესები უფრო ნაკლებადაა დამკვიდრებული და დღეისათვის მათ არ უწარმოებიათ იმდენად დიდი ქვლევითი საქმიანობა, მაგრამ, ეს მიმართულება უდავოდ ზრდა-განვითარების მთავარ სფეროს წარმოადგენს.

მაგრამ, შეცდომა იქნებოდა, რომ საერთო ინტერესების არქონა დაგვესახელებინა კულტურის გეოგრაფიის სადავო ხასიათის მიზეზად. როგორც უფრო ფართო სოციალური სამეცნიერო ძალისხმევის ნაწილი, კულტურის გეოგრაფია იცვლება საზოგადოებრივი მოთხოვნების ცვლასთან ერთად და ამ სუბდისციპლინის გააზრების ახალი გზების აუცილებლობაც წარმოიშვება. კულტურის გეოგრაფიის ძველი და ახალი ვარიანტებს შორის სხვაობა უფრო მცირეა, ვიდრე ის ზოგჯერ წარმოჩინდებოდა. შესაძლოა, ბევრი წარმოჩენილი განსხვავება გამომდინარეობდა იმ გასაგები ტენდენციიდან, რომ ახალი იდეების შემომთავაზებლები მათ დასამკვიდრებლად საჭიროდ მიიჩნევდნენ დაპირისპირებოდნენ და უარეყოთ ადრე მიღებული იდეები.

ამ სახელმძღვანელოს ავტორებისათვის ახალი კულტურის გეოგრაფია წარმოადგენს ტრადიციული სამეცნიერო ინტერესების მისასალმებელ განახლებას, და არა მათი ახლით ჩანაცვლებას.

[47] Rowntree, L.B., K. Foote, and M. Domosh. 1989. 'Cultural Geography'. In *Geography of America*, edited by G.Gaile and C. Wilmott, 209-17. New York: Merrill.

კულტურის გეოგრაფიის ხელახალი გააზრება (rethinking)

საზოგადოებრივი გეოგრაფიის განვითარება 1900 წლიდან დღემდე ხაზს უსვამს კონცეპტუალურ ცვლილებას და, მასთან დაკავშირებულ, შეცვლილ ინტერესს ემპირიული მონაცემების მიართ. 1900 წლიდან 1950-იან წლებამდე ჭარბობდა რეგიონული მიდგომა, ყურადღების გამახვილებით დედამიწის ზედაპირის ცალკეული ნაწილების დელიმიტაციასა და აღწერას, რაც ეყრდნობოდა საზოგადოებრივი გეოგრაფიის ძლიერ ტრადიციებს. 1950-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული 1970-იან წლებამდე, იზრდება განწყობა (შეხედულება), რომ რეგიონული გეოგრაფია ნაკლებად მეცნიერული მიდგომაა (დისციპლინაა). ამან გამოიწვია სივრცითი ანალიზის - რისი მთავარი ემპირიული საკითხიც (concern) იმის ახსნა იყო, თუ რატომ განლაგდებიან გეოგრაფიული ფაქტები/მოვლენები და ობიექტები გარკვეულ ტერიტორიებზე - წამყვან მიდგომად დაწინაურება. თუმცა, დაახლოებით 1970-იანი წლებიდან დაწყებული ბევრმა საზოგადოებრივმა გეოგრაფმა სივრცით ანალიზში დისციპლინის დეჰუმანიზაცია დაინახა. შესაბამისად, მათ შთაგონება ჰპოვეს ჰუმანისტურ და მარქსისტულ კონცეფციებში და საფუძველი ჩაუყარეს ახალ კვლევებს, რომლეთა კვლევის საგანს უთანასწორობა და სუბიექტივიზმი წარმოადგენს. დისციპლინა, ამგვარი განვითარების პირობებში, გახდა კონცეპტუალურად და ემპირიულად სულ უფრო განსხვავებული და ეს ტენდენციები კიდევ უფრო გამძაფრდა 1980-იანებში, როცა იფეთქა ფემინიზმთან და კულტურულ შემობრუნებასთან (cultural turn) დაკავშირებულმა კონცეპტუალურმა და ემპირიულმა ინტერესებმა. შესაბამისად, საზოგადოებრივი გეოგრაფია დღეს შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ეკლექტური დისციპლინა, რომელსაც არ აქვს ერთი რომელიმე წამყვანი მიდგომა.

The European Culture Area: A Systematic Geography. 2009. (Fifth Edition)

Alexander B. Murphy, Terry G.Gordan-Bychkov and Bella Bychkova Jordan

Published in the United States of America by Rowman & Littlefield Publishers, Inc.

რა არის ევროპა ?

ამ თავის სათაური რთულ კითხვას ბადებს, რადგან ევროპა, ერთი ნორვეგიელი გეოგრაფის ლეიფ არნსტრომის სიტყვებით, წარმოადგენს „ ორჭოფულ ცნებას"; ყველა, ვინც თვალს ადევნებს დებატებს ევროპული კავშირის (European Union) გეოგრაფიული ლიმიტების შესახებ, მიხვდება, რომ არ არსებობს კონსენსუსი იმის შესახებ, თუ სად მთავრდება ევროპა. მიუხედავად ამისა, ამ ტერმინს აქვს ღრმა ისტორიული ფესვები და ჩვენ მას მუდმივად ვიყენებთ. გეოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ერთ-ერთი ფუძემდებლური მოთხოვნილებაა, წარმოაჩინოს ის, თუ როგორაა ორგანიზებული მსოფლიო - როგორც ჩვენ გონებაში, ისე ფიზიკურად. ამდენად, მსოფლიოს ნებისმიერი რეგიონის შესწავლა აუცილებლად უნდა დაიწყოს იმ საკითხის განხილვით, თუ რატომ მიგვაჩნია შესწავლილი სივრცე რეგიონად.

ევროპა, როგორც ფიზიკური ერთეული

ხალხის უმეტესობა ევროპას განსაზღვრავს, როგორც კონტინენტს. ყველას გვახსენდება დაწყებითი სკოლის დღეები, როდესაც გვევალებოდა ჩამოგვეთვალა კონტინენტები და მათ შორის ევროპა, როგორც სრულფასოვანი კონტინენტი. სხვადასხვა ლექსიკონებით ევროპა ასევე კონტინენტად მოიხსენიება. მაგალითად Webster-ის ახალი მსოფლიო ლექსიკონი განსაზღვრავს ევროპას, როგორც „კონტინენტს აზიასა და ატლანტის ოკეანეს შორის". ამ თვალსაზრისით , ჩვენ უნდა გვჯეროდეს, რომ ევროპა წარმოადგენს გამოკვეთილ ფიზიკურ ერთეულს, რადგან კონტინენტი ესაა ხმელეთის საგრძნობი მასა, რომელიც მეტნაკლებად განცალკევებულია ხმელეთის სხვა მასებისგან. ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკა, რომლებიც პანამის ვიწრო ყელით არიან დაკავშირებულნი, ქმნიან ცალკ-ცალკე კონტინენტებს. აფრიკა უკავშირდება აზიას სულ რამდენიმე ხიდით, რომლებიც სუეცის არხზეა გადებული. ავსტრალია მთლიანად განცალკევებულია ხმელეთის სხვა მასებისაგან მიმდებარე ზღვების მეშვეობით. მაგრამ ევროპა არ აკმაყოფილებს კონტინენტის განსაზღვრებას, რადგან ის არ არის განცალკევებული ხმელეთის მასა. სიზუსტისათვის, ხმელთაშუა ზღვა აშორებს ევროპას აფრიკისგან, ხოლო ატლანტისა და ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანეები ევროპის დასავლეთ და ჩრდილოეთ მიჯნებს განსაზღვრავენ, მაგრამ აღმოსავლეთით კონტინენტურობის ცნება ქრება. ეგეოსის, მარმარილოს ზღვები, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების, შავი და აზოვის ზღვის მასები აშორებენ კონტინენტებს ერთმანეთისგან. მაგრამ ამის შემდეგ იწყება აღმოსავლეთ ევროპის დაბლობი და, განსხვავებით პანამის ყელისა და სუეცის არხისაგან, რუკა აღარ გვიჩვენებს რაიმე მკაფიო საზღვარს: ხმელეთი ფართოვდება და ვღებულობთ ერთ დიდ კონტინენტს, სახელად - ევრაზია. მსოფლიო რუკაზე დახედვაც კი საკმარისია, რომ დავასკვნათ - ევროპა არის ევრაზიის მხოლოდ მცირე

ნაწილი, არსებითად დასავლეთით მდებარე ნახევარკუნძული. ევროპა შეადგენს ევრაზიის კონტინენტის სულ რაღაც ერთ მეხუთედს.

იმის რწმენა, რომ ევროპას აქვს კონტინენტის მახასიათებლები ჯერ კიდევ ძველი ხმელთაშუაზღვისპირეთის, კერძოდ ძველი ბერძნებისა და რომაელების ცივილიზაციებს ჰქონდათ (იხ. ნახ. 3.1). ბერძნულ-რომაული მსოფლმხედველობა თავის მხრივ, ეყრდნობოდა უფრო ძველ კულტურებს. ერთ-ერთი თეორიის თანახმად, სახელები „ ევროპა“ და „ აზია“ წარმოიშვა სემიტური ენის, ფინიკიურის სიტყვებიდან, სადაც „ ერებ“ ნიშნავდა მზის ჩასვლას, ხოლო „ ასუ“ მზის ამოსვლას. ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე მცხოვრები ფინიკიელები იცნობდნენ ორ კულტურულ სამყაროს - ერთი მზის ამოსვლის მხარეში იყო, მეორე კი - დასავლეთით. სხვა თეორიის თანახმად, ფინიკიის ქალაქ სიდონის მითოლოგიურ მმართველს ჰყავდა ქალიშვილები სახელად „ევროპა“ და „აზია“. ლეგენდარული ევროპა ცოლად შეირთო პანთეონის მთავარმა ღმერთმა - ზევსმა და წაიყვანა ის ეგეოსის ზღვის დასავლეთის ნაპირისკენ, მაშინ როცა მისი და აზია - აღმოსავლეთით დარჩა.



ნახ. 3.1 მსოფლიოს რუკა შესრულებული ძველი ბერძენი გეოგრაფის ჰეკატეუსის მიერ დაახლ. ძვ.წ. 500 წელს. ის შეცდომით უკავშირებდა კასპიის ზღვას მსოფლიო ოკეანეს და ამიტომ „დიდი“ ევროპა „პატარა“ აზიას მხოლოდ კავკასიის ყელით უერთდებოდა.

წყარო: Parker, 1960 (ადაპტირებული)

რაც არ უნდა იყოს ამ სიტყვების წარმოშობა, ფაქტია, რომ ძველი ბერძნები მსოფლიოს სამ ნაწილად გაყოფილს აღიქვამდნენ: ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპა, სამხრეთით- აფრიკა (მაშინ მას „ლიბიას“ უწოდებდნენ) და აღმოსავლეთით- აზია. საბერძნეთი ყოველთვის იყო მეზღვაურთა ქვეყანა და მისმა ზღვაოსნებმა ულისეს დროიდან და კიდევ უფრო ადრე მონახეს საზღვაო საზღვარი აზიასა და აფრიკას შორის.

დამატებით, ძველმა ბერძნებმა იცოდნენ, რომ აფრიკა ცალკე კონტინენტია, რადგან ფინიკიელებმა მათზე ბევრად ადრე შემოუარეს აფრიკის კონტინენტს. არგონავტებმა და სხვა ბერძენმა ზღვაოსნებმა შეისწავლეს შავი ზღვა და დაარსეს სავაჭრო კოლონიები შორს, დღევანდელი უკრაინის (ყირიმის) სანაპიროებზე. ყოჩაღი ბერძენი ვაჭრები შავი ზღვის ნაპირებს გასცდნენ და კასპიის ზღვის ნაპირებს მიაღწიეს. ზოგიერთმა ძველმა ბერძენმა მეცნიერმა, ვაჭრების მიერ მოტანილ

ცნობებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ მლაშე კასპიის ზღვა მსოფლიო ოკეანის ნაწილი იყო. მათ დაიჯერეს, რომ შავსა და კასპიის ზღვას შორის მდებარე მიწა (კავკასია) იყო ერთადერთი ხიდი, რომელიც აერთებდა ევროპასა და აზიას (იხ. ნახ 3.2). მათ არ იცოდნენ, რომ კასპიის ზღვა სინამდვილეში დიდი ტბაა, რომელიც ოკეანეს არ უკავშირდება და მის ჩრდილოეთით არის მიწის უკიდეგანო სივრცე. რომაელებიც ძველი ბერძნების ინფორმაციას ენდნენ. მათი რუკები უგულებელყოფდნენ თანამედროვე რუსეთის ველებს და ხმელეთს ამთავრებდნენ კავკასიის ყელით და მცირე ფართობით მის ჩრდილოეთით. იმის იქით მათ „სკვითური ოკეანე“ მიაჩნდათ.

ნახ. 3.2 მსოფლიოს რუკა შესრულებულია რომაელი გეოგრაფის პონპონიუს მელას მიერ ჩვ.წ. 43 წელს.

კასპიის ზღვა ისევ აღნიშნულია, როგორც მსოფლიო ოკეანის ნაწილი, მაგრამ თანამედროვე სამხრეთის ტერიტორიაც დაპატარავებულია, ისე, რომ აზიასა და ევროპას შორის ყელი შეიქმნას. აზია აქ უფრო დიდადაა წარმოდგენილი, ვიდრე ევროპა.

წყარო: Parker, 1960 (ადაპტირებული)

ძველი ბერძნებიდან და რომაელებიდან მსოფლიოს სამ კონტინენტად დაყოფამ გადაინაცვლა შუა საუკუნეების სამონასტრო სკოლებში. ამ კლასიკური იდეის გახანგრძლივებას უზრუნველყოფდა მისთვის მინიჭებული რელიგიური მნიშვნელობა. რელიგიურად განწყობილი კარტოგრაფია ქმნიდა, ე.წ. „T“ –„ O“ რუკას : ეკლესია ამარტივებდა ნაცნობი მსოფლიოს რუკას ისე, რომ ხმელეთსა და ზღვას შეექმნათ ასოები „T“ (სიტყვიდან “Terrarum “,რაც მიწას აღნიშნავს) და „O“ (სიტყვიდან “Orbis” - წრე), რომელიც გულისხმობდა, რომ ღმერთმა შექმნა სამყარო ლათინური ასოების ფორმით. ხმელთაშუა ზღვა ასახავდა ასო „T“ -ს ქვედა ხაზს. რუკის ზედა ნაწილში იყო აღმოსავლეთი, სადაც მდებარეობდა სამოთხე, ხოლო ცენტრში იყო იერუსალიმი. მდინარე ნილოსი (ან წითელი ზღვა) - ეგეოსის ზღვა და მდინარე ტანაისი (დონი) ასო „T“ ზედა ხაზს ქმნიდნენ.

შუასაუკუნეების ზოგიერთი ქრისტიანი სწავლული წყლით გამოყოფდა ევროპას, აზიას და აფრიკას. ასო „O“ გარეთა პერიმეტრს ქმნიდა და მსოფლიოს საზღვრებს ასახავდა (ნახ. 3.3). ბევრ ასეთ ქრისტიანულ რუკაზე მსოფლიოს ცენტრად წმინდა ქალაქი იერუსალიმი იყო მითითებული, ხოლო სამოთხის ბაღი („ედემი“) აზიის მიუწვდომელ ადგილზე იყო ასახული. ჩვენ არ უნდა ვიმსჯელოთ „T“ და „O“ რუკებზე თანამედროვე მიდგომით, რადგან მათი მიზანი არ იყო მსოფლიოს აკურატული სურათის შექმნა, არამედ რელიგიური საიდუმლოს ასახვა და

ქრისტიანობის სტილიზებული სურათის გადმოცემა. მაგრამ, ყველა შემთხვევაში, შუა საუკუნეების სწავლულები განაგრძობდნენ წინა ქრისტიანულ ტრადიციას, რომელიც ევროპასა და აზიას მკვეთრად მიჯნავდა.

ნახ. 3.3 შუა საუკუნეების ევროპული მსოფლიოს რუკა „T“ მოთავსებულია „O”-ში. ევროპა აქ დატოვებულია, ისე როგორც ანტიკურ ხანაში მიიჩნეოდა, ცალკე კონტინენტად.



წყარო: Woodward, 1985 (ადაპტირებული)

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის შემდეგადაც კი, როდესაც დედამიწის ზედაპირის საკმაოდ ზუსტი ასახვა მოხერხდა, ევროპის, როგორც ცალკე კონტინენტის იდეა, კვლავაც განაგრძობდა არსებობას. მაგრამ, ამ შეხედულებას არსებობის უფლება უნდა შეენარჩუნება სულ უფრო ზუსტი მსოფლიო რუკების ფონზე, რომლებიც აჩვენებდნენ, რომ ნაცვლად ევრაზიის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილების გამყოფ შედარებით ვიწრო ხიდისა, სინამდვილეში ხმელეთის ორი ათას კილომეტრიანი მასა მდებარეობდა თეთრ და აზოვის ზღვებს შორის. მაგრამ ორიათას წლიანი რწმენის დავიწყება ძნელია. ამიტომაც, ნაცვლად იმისა, რომ ეძებნათ აზიისა და ევროპის დამაკავშრებელი არსებული ყელი, გეოგრაფებმა დაიწყეს გარემოს სხვა ნიშნების მოძიება, რომლითაც შეიძლებოდა ევროპის აღმოსავლეთ საზღვრის მონიშვნა.

1738 წელს შვედი გეოგრაფი ფილიპ ფონ შტრალენბერგი წუხდა, რომ „ყველა ვინც კი საუბრობს გეოგრაფიაზე, იცის, რომ არსებობს უთანხმოება იმის შესახებ თუ სად არის საზღვარი ევროპასა და აზიას შორის“. XVIII საუკუნეში ყურადღება მიაპყრეს ურალის დაბალ ქედს, რომელიც ევრაზიის თითქმის შუაგულში ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ არის გადაჭიმული და ის საუკეთესო საზღვრად მიიჩნიეს. ეს მთები არასდროს ქმნიდნენ სერიოზულ ბარიერს გადაადგილებისათვის, მაგრამ გარკვეულ მიჯნას ფიზიკურ გარემოებებში წარმოადგენდნენ. უფრო სამხრეთით, ბევრად უფრო მაღალი, თოვლით დაფარული კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც შავსა და კასპიის ზღვებს შორის მდებაორებს, ასევე იქნა მიჩნეული საზღვრად ევროპასა და აზიას შორის. გარდა ამისა, იყო შეთავაზება სხვა ადგილებიც მიეჩნიათ, როგორც საზღვარი მათ შორის, მაგალითად მდინარეები დონი, ან დნეპრი, ან ურალი. ერთ-ერთი წინადადებაა, რომ ევროპად მიიჩნიონ მხოლოდ ის ნაწილი, სადაც მდინარეები ეკუთვნიან ატლანტის ოკეანეს, ბალტიის, ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზებს. სხვები სთავაზობდნენ საზღვარი დაედგინათ კლიმატის მახასიათებლების მიხედვით - ანუ ზომიერი ჰავის მქონე და დატენიანებული ევროპა გამოეყოთ უდაბნოების, სტეპების და მკაცრი სუბარქტიკული ჰავის მქონე აზიისგან (ასეთ შემთხვევაში ჩრდილოეთი სკავდინავია - აზია გამოდის). გეოგრაფმა ჰერბერტ

ლუისმა ევროპის სამხრეთ საზღვარი გაავლო ურწყავი და სარწყავი სოფლის მეურნეობის გამმიჯნავ ხაზზე. ზოგიერთი მკვლევარი სთავაზობდა ევროპა გამოეყოთ სტეპების ზონისაგან, რომელიც შავი ზღვის ჩრდილოეთ აზიისაკენ ვრცელდება, რადგან მიაჩნდათ, რომ ის უცხოა ევროპისათვის.



ნახ. 3.4 სხვადასხვა წინადადებები ევროპის ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრის დასადგენად.
მთიანი სისტემები, მდინარეები, სადრენაჟო აუზები, ლანდშაფტური და კლიმატური თავისებურებები წარმოადგენდნენ სხვადასხვა წინადადების საფუძველს.
საზღვრები:
1 - აღმოსავლეთი საზღვარი მცირე ზომის გეოგრაფიულად სხვადასხვა რეგიონებისა, რომლის აღმოსავლეთით დიდი სტეპები მდებარეობს;
2 - ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის აუზისა და ატლანტის და ინდოეთის ოკეანის გამმიჯნავი ხაზი;
3 - „ლუისის საზღვარი“, რომელიც ეფუძნება ტემპერატურულ და ნალექების რეჟიმს;
4 - სტეპური მცენარეულის ჩრდილოეთი საზღვარი;
5 - ზომიერი კლიმატის ჩრდილოეთი საზღვარი;
6 - ვიწროდ გაგებული ევროპა, მათ შორის ის ტერიტორიებიც, რომლებსაც ცნობს ყველა ის, ვინც ევროპას ფიზიკურ-გეოგრაფიულად საზღვრავს;
7 - ფართოდ გაგებული ევროპა, მათ შორის ის ტერიტორიებიც, რომლებსაც ცნობს სულ ცოტა ერთი მეცნიერი, ვინც ევროპას ფიზიკურ-გეოგრაფიულად საზღვრავს;
8 - არქტიკული ტუნდრის სამხრეთი საზღვარი;
9 - ყველაზე ფართოდ გავრცელებული ევროპის ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვარი. ევროპა, გარემოს თავისებურებების მიხედვით, გამოდის ზომიერი კლიმატის მქონე, კარგი დატენიანების და მრავალფეროვანი ლანდშაფტების მქონე ტერიტორია.
წყაროები: Hahn, 1881; Louis, 1954; Wolf, 1982; Darer, 1953; Parker, 1960.

აქ წარმოიშვება კითხვები - რა მნიშვნელობა აქვთ გარემოს ნიშნებზე დაფუძნებული ევროპის განსაზღვრებას? რატომ შენარჩუნდა ასე დიდხანს ევროპის კონცეფცია, მაშინ როცა დადასტურებულია, რომ ის ცალკე კონტინენტი არაა? რატომ ვასწავლით ევროპის გეოგრაფიას და არა ევრაზიის გეოგრაფიას? რატომაა „ ამერიკის გეოგრაფთა ასოციაციის“ შიგნით ევროპის შემსწავლელი ჯგუფი? ბოლოს და ბოლოს, რატომ სჯერათ ევროპელებს, რომ არსებობს ცალკე და მკაფიოდ გამიჯნული ევროპა?

ნათელია, რომ პასუხებს ამ კითხვებზე ვერ იძლევა განხილული ფიზიკური საზღვრები. სინამდვილეში, ჩვენ უნდა დავეთანხმოთ, რომ გეოგრაფს ე.მ მურზაევს,

რომელმაც დაასკვნა, რომ „ნებისმიერი მცდელობა გამოიყოს ევროპა აზიისაგან სისტემურ ფიზიკურ - გეოგრაფიულ საფუძველზე განწირულია წარუმატებლობისათვის“.

ევროპა როგორც ,,ადამიანური ერთეული“

არსებობს ალტერნატივა: განვიხილოთ ევროპა, არა როგორც ფიზიკური გარემოს ერთეული, არამედ, როგორც ,,ადამიანური ერთეული“ (Human entity). ამ მიდგომიდან გამომდინარე, ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ევროპა არის გამოკვეთილი კულტურული არეალი.

კულტურას განსაზღვრავენ, როგორც ადამიანთა ერთობლიობას, რომელსაც გააჩნია მრავალი საერთო ნიშანი რწმენაში, ქცევასა და ცხოვრების წესში, რაც მოიცავს, აგრეთვე, იდეოლოგიას, ტექნიკას, სოციალურ ინსტიტუტებსა და მატერიალურ ღირებულებებს. ამ თვალსაზრისით, გეოგრაფი უ.ჰ. პარკერი ამტკიცებს, რომ ევროპა წარმოადგენს ,,კულტურულ კონცეპტს“ და რომ მისი ,,აღმოსავლეთ საზღვარი ყოველთვის იყო კულტურული და ის აღარაა სტაბილური“. ევროპელები, ამ ლოგიკის თანახმად, განეკუთვნებიან კულტურულ ერთობლიობას, რომლის ფესვებიც მოიძებნება იუდეო-ქრისტიანულ და ძველბერძნულ მემკვიდრეობაში.

ევროპის ასეთ ხედვას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. XIII საუკუნეში ევროპა უბრალოდ კონტინენტს ნიშნავდა, მაგრამ უკვე მაშინ გაჩნდა იდეა რომ ევროპელები იყვნენ, ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი შვილის, იაფეტის, პირდაპირი შთამომავლები. ნელ-ნელა, 1300 წლიდან 1600 წლამდე, ევროპა მივიდა იმ აზრამდე, რომ ის ნიშნავს ,,საქრისტიანოს“ - ასე ამბობს გეოგრაფი დენის ჰეი და ,,ემოციური მნიშვნელობა სიტყვისა ,,ევროპა“ მკვეთრად გაიზარდა. გაჩნდა ევროპელობის თვითშეგნება, რომელიც ეკლესიასთან იყო მიბმული. 1571 წელს რომის პაპი მიმართავდა ,,ევროპელებს, რომლებსაც ქრისტიანებს უწოდებენ“. ევროპამ შეიძინა სპეციფიკური კულტურული მნიშვნელობა და ევროპელებს ამიერიდან ჰქონდათ მსოფლშეგრძნება, დაფუძნებული ცოცხალ თვითშეგნებაზე.

რასაკვირველია, იმას, რასაც ახლა ,,ევროპად“ განვიხილავთ, მთლიანად არ იყო ,,საქრისტიანო“ შუა საუკუნეების დროსაც კი. ისლამი წარმოდგენილი იყო პირენეის ნახევარკუნძულზე (მეთხუთმეტე საუკუნემდე) და ადრეატიკი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე; სკანდინავიის ჩრდილოეთ ნაწილში მაშინ ქრისტიანობას ჯერ არ მიუღწევია. ამდენად, ,,ევროპა, როგორც საქრისტიანო“ ნაკლებად იყო ზუსტი ტერიტორიული კონსტრუქტი და უფრო მეტად წარმოადგენდა საკმაოდ განსაზღვრულ გეოგრაფიული კატეგორიას, რომელიც ეყრდნობოდა კულტურულ განსხვავებებს სხვა რეგიონებისაგან. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ,,ევროპა“ ყოველთვის იყო გამაერთიანებელი ტერმინი ფართო გეოგრაფიული მასშტაბით. ქრისტიანობის ოფიციალური დაყოფა აღმოსავლეთისა და დასავლეთის შტოებად, რაც 1054 წელს მოხდა მართლმადიდებლობად და კატოლიციზმად დაყოფის შედეგად, თვით ევროპასაც უჩენდა შინაგან ბზარს. იმათ, ვინ ,,კონტინენტის“ დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდა, გაუჩნდათ ევროპის ბირთვისა და პერიფერიის გრძნობა (,,პერიფერია“ აღმოსავლეთით იყო!), რაც დღემდე ცოცხლობს. დასავლეთით მცხოვრებთა თვალსაზრისით ,,ნამდვილი ევროპელები“ იყვნენ დასავლეთის ეკლესიაზე

ორიენტირებულნი, ხოლო აღმოსავლეთის მართლმადიდებელი სამყარო, ასე ვთქვათ, გარდამავალ მდგომარეობაში რჩებოდა.

თუ უფრო თანამედროვე ეპოქაზე ვიმსჯელებთ, 1991 წელს რომის პაპმა იოანე-პავლე II-მ მიმართა ევროპას ,,დაბრუნებოდა თავის ქრისტიანულ ფესვებს“. იმავე წელს, თურქეთის პრეზიდენტმა, რომელსაც იმედი გაუცრუა ევროპული კავშირის უარყოფითმა დამოკიდებულებამ მისი ძირითადად მუსლიმური ქვეყნის თავის რიგებში მიღებაზე, წუხილით აღნიშნა, რომ ,,ზოგიერთს ჰგონია რომ ევროკავშირი ქრისტიანული კლუბი უნდა იყოს“. რამდენიმე წლის შემდეგ, ბრიტანული ჟურნალი ,,The Economist” (1994 წლის 4 აგვისტო) წერდა, რომ ,,მულიმური ნახევარმთვარე სახიფათოდ ტრიალებს ევროპის სამხრეთ და აღმოსავლეთ კიდეებზე“. 1999 წელს ევროკავშირი ოფიციალურად დათანხმდა განეხილა თურქეთის კანდიდატურა თავის წევრობაზე, მაგრამ დღემდე არსებობს წინააღმდეგობა მის მიღებაზე კავშირის წევრად და არსებობს ეჭვი, რომ მას არც არასოდეს მიიღებენ კავშირში.

2000-იანი წლების დასაწყისში მძაფრი კამათი ატყდა იმის თაობაზე, უნდა შეეტანათ თუ არა ევროკავშირის შემოთავაზებული კონსტიტუციის პრეამბულაში ქრისტიანული მემკვიდრეობის მოხსენიება. თუმცა საბოლოოდ ეს არ გაკეთდა, მაგრამ კამათმა გამოავლინა, თუ რამდენად მნიშვნელოვნად რჩება ევროპის ისტორიულ შეფასებაში მისი საქრისტიანოდ ყოფნის საკითხი. სოციალური ,,რღვევის ხაზები“ ჯერაც მიჰყვება რელიგიურ ხაზებს და ჯერაც ახდენს გავლენას ურთიერთობებზე ესპანელებსა და არაბებს, ბერძნებსა და თურქებს, რუსებსა და ჩეჩნებს, სერბებსა და ბოსნიელ მუსლიმებს შორის და ა.შ. ევროპის გულშიც კი, წინა საუკუნის პირველ ნახევარში რელიგიური სხვაობა მძაფრად გამოვლინდა, როდესაც გერმანულმა ნაციზმმა ებრაელებს ევროპაში ცხოვრება აუკრძალა და მათი სიცოცხლეც კი ხელყო.

ქრისტიანობა არ ყოფილა ევროპის, როგორც ადამიანური ერთეულის, ერთადერთი ისტორიული ნიშანი. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების პერიოდიდან მოვიდა ,,ჩვენ და ისინის“ მსოფლხედვის ისეთი ინდიკატორი, როგორიცაა რასობრივი სხვაობა. იდეა მსოფლიოს დაყოფისა სამ რასად - თეთრკანიანად (,,კავკასიურად“), ნეგროიდულად და მონგოლოიდუარად, გეოგრაფიულ განზომილებასაც იძენდა და უკავშირდებოდა, შესაბამისად, ევროპას, აზიასა და აფრიკას. ეს თვალსაზრისი მიება ევროპის რელიგიურ კონცეფციას იმ ბიბლიური ლეგენდის მეშვეობით, რომლითაც ნოეს სამი ვაჟი - ქამი, სემი და იაფეტი - იყვნენ მამამთავრები აფრიკული, აზიური და ევროპული რასებისა.

დამატებით კულტურული ნიშანი, რომლითაც ევროპას, როგორც ადამიანურ ერთეულს, განსაზღვრავენ, ესაა ენა, უფრო ზუსტად - ენათა ინდოევროპული ოჯახი, რომელზეც ლაპარაკობს ევროპული ერების უმრავლესობა. ამ ენობრივი ოჯახის ენებს საერთო ძირი აქვთ. ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკეების გარდა ევროპის პერიფერიებზე (ზოგჯერ - შუაგულშიც, მაგალითად უნგრეთში) ბინადრობენ სხვა ენობრივი ოჯახების წარმომადგენლებიც, მაგალითად, უნგრო-ფინური, ან ურალური (ფინელები, ესტონელები, უნგრელები), ალთაური (თურქები), კავკასიური, აფრო-აზიური ენობრივი ოჯახების ენებზე მოლაპარაკენი, აგრეთვე ბასკები (მათ ენას ,,ეუსკერა“ ეწოდება). ენების, როგორც ევროპის განმსაზღვრელის გამოყენება უფრო თანამედროვე ეპოქაში დაიწყო (ძირითადად XIX საუკუნიდან), როდესაც

ენათმეცნიერებამ დაიწყო განვითარება, მაგრამ თვით ტერმინი ,,ინდოევროპული ენები“ ასახავს მჭიდრო კავშირს, ლინგვისტურ კატეგორიასა და ევროპის, როგორც გეოგრაფიული რეგიონის ხედვას შორის.

ზემოთ აღწერილი სამი ადამიანური მახასიათებლის - რელიგია, რასა, ენა - ისტორიული მნიშვნელობის მიუხედავად, ისინიც არ არიან საკმარისი ევროპის, როგორც ,,ადამიანური ერთეულის“ კონცეფციის ჩამოსაყალიბებლად. ისევე, როგორც ფიზიკური მახასიათებლები არ გამოდგა ევროპის გეოგრაფიულ გამოკვეთაში. ნახ. 3.5. გვიჩვენებს, რომ აღმოსავლეთით არ არსებობს მკაფიო საზღვარი, რომელიც სამი ადამიანური მახასიათებლით გამოყოფდა ევროპას დანარჩენი ევრაზიისგან. რასაკვირველია, ასეთი მასშტაბის რუკა ვერ გვიჩვენებს საკუთრივ ევროპის შიგნით არსებულ მომცრო არეალებს, სადაც ისლამია გაბატონებული რელიგია.

ნახ. 3.5 ევროპის საზღვრები დადგენილი რელიგიის, ენისა და რასის მიხედვით.



ლეგენდა:
3 - სამივე მახასიათებელი არსებობს
2 - არსებობს ორი მახასიათებელი (ენა და რელიგია, ან ენა და რასა, ან რასა და რელიგია)
1 - არსებობს ერთ მახასიათებელი

უდაბნოს სარტყელი

მიუხედავად ამისა, ევროპის, როგორც გამოკვეთილი ერთეულის იდეა, ცოცხლობს და თუმცა არ არსებობს თანხმობა მისი საზღვრების შესახებ, საკმაოდ ბევრი სოციალური და პოლიტიკური ინდიკატორი უკავშირდება ევრაზიის დასავლეთ ნაწილს, რომელსაც ,,ევროპად“ ვიცნობთ და განამტკიცებს მისი გამოკვეთილობის კონცეფციას. ამ ინდიკატორებს შორის ყველაზე თვალშისაცემია შემდეგი:

1. *კარგად განთლებული მოსახლეობა.* მოსახლეობის 90%-ზე მეტმა წერა-კითხვა იცის და ზოგან ამას კანონიც მოითხოვს. ესპანეთში ეს მაჩვენებელი 97%-ია, გერმანიაში - 99%. ამის საპირისპიროდ, სულ ახლოს, მაგალითად მაროკოში, წერა-კითხვის დონე 60%-ს ოდნავ ასცდა.

2. *ჯანმრთელი მოსახლეობა.* სიცოცხლის ხანგრძლივობაა საშუალოდ საკმაოდ აღემატება 70 წელს. კიდევ უკეთესი მაჩვენებელია ჩვილთა სიკვდილიანობა, ანუ 1 წელზე უმცროსი ბავშვების სიკვდილიანობა ყოველ 1000 ახალდაბადებულზე. რასაც ევროპად მივიჩნევთ იმ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 10-ზე დაბალია, ხოლო სულ ახლოს- თურქეთში - 27.5.
3. *მოსახლეობის ზრდის დაბალი ტემპი.* მოსახლეობა თითქმის არ მატულობს, ხოლო ზოგან, მაგალითად უკრაინასა და გერმანიაში, კლებულობს კიდეც. არსებითად მიღწეულია მოსახლეობის ნულოვანი ზრდა. ამის საპირისპიროდ, ყველა მეზობელ ქვეყანაში - აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში - მოსახლეობის ყოველწლიური ბუნებრივი მატება 1.5 %-ზე ნაკლები არაა.
4. *შეძლებული მოსახლეობა.* ცხოვრების დონე ძალიან მაღალია: ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით, მსოფლიოს ქვეყნების პირველ ათეულში რვა ევროპული ქვეყანა შედის. მეზობელ ქვეყნებში, აღმოსავლეთით და სამხრეთით, მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი თავს ძლივს ირჩენს.
5. *ურბანიზებული მოსახლეობა.* მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ცხოვრობს დასახლებულ პუნქტებში, სადაც 10 ათასზე მეტი მცხოვრებია (ანუ ქალაქებში) და ზოგიერთ ქვეყანაში ურბანიზაციის დონე 80%-ს აღემატება. შედარებისათვის, ურბანიზებულია ინდოეთის მოსახლეობის მხოლოდ 27%, ჩინეთში - 35%, ეგვიპტეში - 45%, ხოლო მაროკოში - 53%.
6. *ინდუსტრიული ან პოსტინდუსტრიული ეკონომიკა.* მეურნეობის ყველა დარგია განვითარებული, განსაკუთრებით მომსახურეობის სექტორი. ქვეყნებში, რომელთაც ჩვეულებრივ ევროპას მივაკუთვნებთ, ამ სექტორში მოსახლეობის დიდი ნაწილია დასაქმებული. ამის საპირიპიროდ, ევროპის გარეთ მდებარე რეგიონების მეტ წილში დასაქმების ძირითადი სექტორი სოფლის მეურნეობაა.
7. *თავისუფლად არჩეული მთავრობა.* ევროპად მიჩნეულ სივრცეში გაბატონებული პოლიტიკური სისტემაა - დემოკრატია. კონკურენტი იდეოლოგიები თანაარსებობენ და ადამიანის, როგორც პიროვნების, უფლებებს პატივს სცემენ. პოლიტიკური მართვის სისტემები ბევრად უფრო სხვაა სამხრეთითა და აღმოსავლეთით (ავტორიტარიზმი, დიქტატურა და სხვა).

ეს ინდიკატორები არის საფუძველი, რასაც ეფუძვნება ევროპის გამოკვეთილი თავისთვადობა. ისინი არიან ისეთ ნიშნები, რითაც ევროპა ,თავის თავს გამოყოფს ,,სხვებისგან“ და ეს ,,თვითგამოყოფა“ საუკუნეების წინ დაიწყო (იხ. ცხრილი 1.1). სხვების **,,თვითგამოყოფის“** (Othering) პროცესის შემადგენელი ერთეული ასახულია ისეთი კომენტატორების, როგორიც არის, მაგალითად, დევიდ გრესი, განცხადებებში, რომელიც ევროპულ კულტურას ახასიათებს, როგორც ,,დემოკრატიის, კაპიტალიზმის, მეცნიერების, ადამიანის უფლებების... ინდივიდუალური თავისუფლებისა და განთავისუფლებული ადამიანური გონის ძალის სინთეზს“. ასეთ კონცეფტუალიზაციას ფესვები აქვს ძველ საბერძნეთსა და რომში, რენესანსში, განმანათლებლობაში, სამეცნიერო ტექნიკურ რევოლუციასა და თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. ყველა ეს ნიშანი ახასიათებს საკმაოდ ბუნდოვან კონცეპტს, რომელსაც ,,დასავლურ ცივილიზაციას“ ვუწოდებთ.

მაგრამ ევროპის ასეთ დეფინიციას გააჩნია ორი პრობლემა. პირველი ისაა, რომ ზემოთ მოტანილი კრიტერიუმები რომლებიც გამოყენებულია ევროპის განსხვავებულობის ასახვისათვის, ძალიან სუბიექტურია და ეხება იმ საკითხებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, პოზიტიურად განიხილება. ევროპის ხასიათი და მემკვიდრეობა ბევრად უფრო რთულია. რასიზმი, შორს მცხოვრებ ხალხთა დამონება და გენოციდი ასევე არის ევროპის ისტორიის ნაწილი. მეორე პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ჯანმრთელი, შეძლებული, ურბანიზებული, განათლებული მოსახლეობა მხოლოდ ევროპისათვის არ არის დამახასიათებელი.

ნათელია ისიც, რომ ევროპის კოლონიურმა იმპერიებმა დიდი როლი ითამაშეს მის ეკონომიკურ წარმატებაში, ხოლო ახალი იმიგრანტები ევროპის გარეთ მდებარე ქვეყნებიდან დიდ როლს თამაშობენ ევროპის ეკონომიკურ წინსვლაში.

ეს შენიშვნა ფუნდამენტურ გეოგრაფიული საკითხს ბადებს: ვერც ერთ რეგიონს ვერ შევიცნობთ იზოლირებულად. ურთიერთკავშირები ადგილებს შორის ძალიან ინტენსიურია, როგორც სივრცეში, ისე დროში. დიდი გეოგრაფიული აღოჩენების წინა ეპოქაში ევროპის შეხვედრა სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე ადგილებთან აყალიბებდა მის ხასიათს. როდესაც ეს შეხვედრები კიდევ უფრო გაცხოველდა მე-15 საუკუნის მიწურულიდან, ევროპის ხასიათი და ბედ-იღბალი კიდევ უფრო მეტად გადაეჯაჭვა მსოფლიოს დანარჩენ რეგიონებს. გეოგრაფი ჯეიმზ ბლაუტი აღნიშნავს, რომ ევროპის აღმასვლა განაპირობა არა მისი კულტურის უპირატესობამ, არამედ იმ სიმდიდრემ, რომელიც ევროპელებმა მოიპოვეს დაპყრობისა და კოლონიების ძარცვის შედეგად.

ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ ჩვენ არა გვაქვს ევროპის არც ფიზიკური და არც ადამიანური ერთეულის მკაფიო ნიშნები. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ევროპას, როგორც გეოგრაფიულ კონსტრუქტს, მნიშვნელობა არა აქვს. სინამდვილეში, ის, რომ უამრავი ადამიანი მიიჩნევს ,,ევროპას“ გამოკვეთილ რეგიონად, დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს ამ ტერმინს. ამასთან, ამ რეგიონის გეოგრაფიული შესწავლა მოითხოვს სამ რამეს:

პირველი - უნდა ვაღიაროთ, რომ ამ რეგიონს არა აქვს ზუსტი ფიზიკური და ფუნქციური საზღვრები; მეორე - ამ რეგიონს არ უნდა განვიხილავდეთ, როგორც მხოლოდ შინაგანი განვითარების პროდუქტს, არამედ ვსწავლობდეთ კავშირში სხვა ადგილებთან, ხალხებთან და ძალებთან; მესამე - უნდა ვცნოთ ის, რომ ,,ევროპა“ არის განუწყვეტილივ ცვალებადი და სადავო გეგორაფიული იდეა.

ცხრილი 3.1. ევროპული თვითიდენტობა. შედარებითი სია

კატეგორია	ევროპა/,,ჩვენ“	არა-ევროპა/,,ისინი“

ფიზიკური გარემო	საზღვაო დასავლეთი ზომიერი განაპირა ზოლი (რიმლენდი) ჩრდილოეთი	კონტინენტური აღამოსავლეთი მკაცრი ბირთვი (ჰართლენდი) სამხრეთი
რელიგია	ქრისტიანული კათოლიკური სეკულარული	არა-ქრისტიანული მართლმადიდებლური მორწმუნე
რასა	ღია ფერის	მუქი ფერის
იდეოლოგია/პოლიტიკა	დემოკრატიული გამაერთიანებელი პოსტ-ნაციონალური სოციალ-დემოკრატია მშვიდობა/სტაბილურობა	ავტორიტარული გამთიშავი ნაციონალისტური კომუნიზმი ომი/არეულობა
კულტურა	ცივილიზაცია გონება მასწავლებელი პროგრესი კოსმოპოლიტური ტოლერანტობა სიბრძნე პოსტმოდერნული	ბარბაროსობა გრძნობა მოსწავლე სტატიკურობა კუთხური არა შემწყნარებლობა მოუმწიფებლობა ტრადიციული/მოდერნული
ეკონომიკა	პოსტინდუსტრიული მესამეული ბირთვი განვითარებული	ინდუტრიული/აგრარული პირველადი/მეორეული პერიფერია კოლონიურ/განვითარებადი

წყარო: Painter, 2000, ადაპტირებული, დამატებებითა და მოდიფიკაციით.

ევროპის განლაგება

ევროპის დეფინიცია დიდ სირთულეს წარმოადგენს. რა გეოგრაფიული სივცრის ანალიზი უნდა მოხდეს, თუკი ჩვენ უნდა შევხედოთ არა მარტო იმას, რაც ევროპის შიგნით ხდება, არამედ იმასაც, რაც მას გარედან აყალიბებს? არა გვაქვს ამომწურავი პასუხი ამ კითხვაზე, რადგან ნებისმიერი საზღვრები, რომელსაც ამ სივრცისათვის შევარჩევთ, სადავო გახდება. ნათელია, რომ სჯობს ყურადღება გავამახვილოთ უფრო, კულტურულ, ვიდრე ფიზიკურ ცვლადებზე, მითუმეტეს, რომ თვით ევროპული გამოკვეთილობის ცნება კულტურული პროდუქტია. მაგრამ, როდესაც ცნობილი ევროპელების მიერ ევროპის აღქმას (პერცეფციას) დავაკვირდებით, ბევრ არაფერს მოეფინება ნათელი. გადავხედოთ ქვემოთ მოყვანილ ზოგიერთ, ხანდახან ცოტა არატოლერანტულ გამონათქვამებს:

,,აფრიკა პირენეის ნახევარკუნძულზე იწყება“ (ალექსანდრ დიუმა, ფრანგი მწერალი);

,,ჩვენ ოდესღაც ვიყავით და ისევ გავხდებით ევროპელები“ (ლატვიის პრემიერ მინისტრი, 1991წ.);

,,რუსები: ეს ევროპული ხალხია თუ რაღაც აზიური ნარევი?“ (სტივენ ერლანგერი, 1995წ.);

,,შეგვიძლია თუ არა გავხდეთ ევროპის ნაწილი?“ (უცნობი ალბანელი, 1992წ.);

,,თურქეთი - ევროპა, რომელსაც არ იცნობთ; აზია - რომელსაც აღმოაჩენთ“ (თურქეთის ეროვნული ტურისტული ბიურო, 1995წ.);

,,მე მინდა განვაცხადო, რომ ევროპამ უნდა დაიდოს საზღვარი, რომ ყველა ქვეყანას არ აქვს უფლება გახდეს ევროპის წევრი, დაწყებული თურქეთით, რომელსაც არ აქვს ადგილი ევროპულ კავშირში“ (ნიკოლა სარკოზი, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი, 2007 წლის საარჩევნო კამპანიიდან);

,,ჩვენს დედასამშობლო ხორვატიასთან ერთად, გავერთიანდებით არა ბარბაროსთა ურდოებთან, არამედ ევროპასთან“ (კრესიმირ ზუბაჩი, ბოსნიის ხორვატი პოლიტიკოსი, 1996წ.);

,,თქვენ ფიქრობთ, რომ ევროპა გერმანია და საფრანგეთია. მე კი ასე არ ვფიქრობ. მე მიმაჩნია, რომ ეს არის ძველი ევროპა“ (დონალდ რამსფელდი, აშშ-ს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, 2003 წელს ერთ-ერთი ჟურნალისტის პასუხად).

ეს შენიშვნები მკაფიოდ აჩვენებს დაუსრულებელ დავას იმის შესახებ, თუ რა არის და რა არ არის ევროპა. განსაკუთრებით სადავოა რუსეთისა და მისი უშუალო მეზობლების სტატუსი. უკრაინის რადის (პარლამენტის) ერთმა წევრმა ამასწინათ განასხვავა ერთმანეთისგან ქვეყნის დასავლეთში მცხოვრები ,,ევროპიზებული“ თანამემამულეები აღმოსავლეთის ,,რუს-სლავებისაგან“. პოლონელმა პოლიტიკოსმა ვიტოლდ ორლოვსკიმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მალე შექმნის ბარიერს ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოებისათვის: ,,ევროპელები ქმნიან ევროპისათვის საზღვარს მომავალი 50 წლისათვის და არ ანაღვლებთ უკრაინა, ბელორუსი და რუსეთი“.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ არც მიხაილ გორბაჩოვი, საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი, რომელმაც გამოჭედა ტერმინი ,,ჩვენი საერთო ევროპული სახლი“.

ისტორიულად, ბევრი გეოგრაფი ევროპის საზღვარს რუსეთში ავლებდა და მის დასავლეთ ნაწილს ,,ევროპულ რუსეთს“ (Eurorussia) უწოდებდა (ნახ. 3.6). მაგრამ ევროპის მკაფიო კულტურული საზღვრის ძებნა ფუჭი საქმეა, განსაკუთრებით აღმოსავლეთით. ჯერ კიდევ 1920-იან წლებში გეგორაფებმა ,,მნიშვნელოვანწილად დაძლიეს ისეთი ტერმინების, როგორიცაა ,,ევროპა“ და ,,აზია“ ჰიპნოტიკური ეფექტი“ წერდა გეოგრაფი მერიონ ნიუბიგინი, რომელიც ხაზს უსვამდა, რომ არსებობს ნარნარი გადასვლა ევროპელობიდან არა-ევროპელობაზე.

ნახ. 3.6 კულტურაზე დაყრდნობით შემოთავაზებული ევროპის საზღვრები



1=რუსეთის დასავლეთი საზღვარი; 2=ევროპის აღმოსავლეთი საზღვარი, შემოთავაზებული რუსი გეოგრაფი მურზაევის მიერ, შიდა ადმინისტრაციულ ერთეულებზე დაყრდნობით; 3=საზღვარი, შემოთავაზებული გერმანელი გეოგრაფის, ბანზეს (Banse) მიერ, 1912; 4=ფრანგი მეცნიერის, თევეტის (Thevet) მიერ შემოთავაზებული საზღვარი, 1575; 5=“ევროპული სივრცის ეკონომიკის“ საზღვარი, გეოგრაფ ენდრიუ დოუსონის (Andrew Dawson) მიხედვით, 1993; 6=“ევროპის მკვიდრი სოფლის მეურნეობის“ საზღვარი, შემოთავაზებული ფრანგი დელაისის (Delaisis) მიერ, 1929; 7=საზღვარი, რომელიც ამ წიგნში გამოყენებულია ევროპის შესახებ სტატისტიკური მონაცემების დადგენის მიზნით.
წყაროები: Parker 1960, Delaisi 1929, Hahn, 1881; Murzayev 1964; Dawson 1993.

მკაფიო საზღვრის არარსებობა ევროპის კულტურული არეალისათვის კიდევ უფრო ნათელი ხდება, როდესაც ცდილობენ რუკაზე გადაიტანონ ზემოთხსენებული ადამიანური მახასიათებლები: ასეთ შემთხვევაში ჩნდება ფართო გარდამავალი ზონები. ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთი ევროპიდან, სადაც ყველა ზემოხსენებული მახასიათებელი სრულადაა წარმოდგენილი, პერიფერიისაკენ, სამხრეთით და აღმოსავლეთით გადანაცვლებისას, ეს მახასიათებლები სულ უფრო ნაკლებად გვხვდება (იხ. ნახ. 3.7). მოსალოდნელია პროტესტი: „მაგრამ, როგორ შეიძლება საბერძნეთი, რომელიც ფართოდ გავრცელებული აზრით ევროპის დაბადების ადგილია, ფლობდეს ევროპული მახასიათებლების ნახევარზე ნაკლებს?“ ასეთი ჰიპოთეტური პროტესტი ნათლად გვიჩვენებს იმ სირთულეებს, რომლებიც თან ახლავს ევროპის განსაზღვრებას.

ნახ. 3.7 “ევროპულობის“ საზომი, პროვინციების მიხედვით, რომელიც ეყრდნობა 12

ნიშან თვისებას, რაც ზოგჯერ ევროპელობასთანაა ასოცირებული (თუმცა ეს სადავოც შეიძლება იყოს).



ნიშანი 1=80%-ზე მეტი ქრისტიანი ან ქრისტიანული მემკვიდრეობის მქონე; 2=80%-ზე მეტი ინდო-ევროპულ ენაზე მოლაპარაკე; 3=90% კავკასიური (თეთრი) რასის; 4=ბავშთა სიკვდილიანობა 12%-ზე ნაკლები; 5=ეშპ/მშპ ერთ სულზე ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლის 40% მაინც; 6=90% განათლების დონე; 7=300 ან მეტი კმ ავტომაგისტრალი 1000 კვ.კმ-ზე; 8=25%-ზე ნაკლები დასაქმებული სოფლის მეურნეობაში; 9=505-ზე მეტი ურბანიზაციის დონე; 10=0.5%-ზე ნაკლები წლიური ბუნებრივი მატება; 11=მდებარეობს უწყვეტი დასახლების ევროპულ ზონაში; 12=დღეისათვის დემოკრატიას არ აქვს მნიშვნელოვანი შეზღუდვები.
მიღებული ნიმუშები გვიჩვენებს, თუ ბევრი ადამიანი, ქვეცნობიერად მაინც, როგორ აღქვამს ევროპას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, იდეა, რომ დასავლეთ ევროპა და მიმდებარე არეალები, შესაძლოა, ერთიან რეგიონს წარმოადგენენ, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში არსებობდა. მაგრამ კონკრეტულად რა ტერიტორიებია ეს, რომლებმაც მკვეთრად იცვალეს სახე? დაახლოებით ძვ.წ. 1000 წელს მცირე ბირთვი ჩამოყალიბდა. აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ნაპირებთან ძველი ბერძნები ებრძოდნენ აღმოსავლეთით მცხოვრებ ხალხებს, რომ გაეფართოვებინათ თავიანთი ახლადწარმოშობილი კულტურა. ქრისტიანობის წარმოშობის დროისათვის ,,ევროპა“ ემთხვეოდა რომის იმპერიის ტერიტორიას, რაც წარმოადგენდა 1000 წლით ადრე წარმოქმნილი ბირთვის მნიშვნელოვან გაფართოებას.

მომდევნო ათასწლეულმა, დაახლოებით ჩვ.წ. 1000 წლისათვის, დრამატული ცვლილებები მოიტანა. არაბები, რომელთაც იდეოლოგიად ჰქონდათ ახალწარმოშობილი მონოთეისტური რელიგია - ისლამი - გავრცელდნენ ჩრდილო აფრიკაში, ხმელთაშუა ზღვის დიდ კუნძულებზე და პირენეის ნახევარკუნძულის დიდ ნაწილში; არაბებმა შუა საფრანგეთსაც კი მიაღწიეს, მაგრამ პუატიესთან ბრძოლაში (715 წ.) დამარცხების შემდეგ უკან დაიხიეს. მომთაბარე მადიარებმა (უნგრელებმა) აღმოსავლეთიდან შუა ევროპაში შეაღწიეს, სამხრეთ გერმანიასაც კი აოხრებდნენ, იქამდე, სანამ მათ ლეხფელდის ბრძოლაში (955წ.) გერმანელები დაამარცხებდნენ. მრავალწლიანი მომთაბარეობის შემდეგ, ეს მეომარ მხედართა ტომი დასახლდა პანონიის დაბლობზე, სადაც ახლა მდებარეობს უნგრეთი და იქვე ქრისტიანობასაც (კათოლიციზმს) ეზიარა.

მაგრამ ქრისტიანობის შემდეგ პირველი ათასწლეული არ იყო მხოლოდ უკან დახევის წლები; თუმცა ქრისტიანობამ დაკარგა ჩრდილოეთი აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი, სამაგიეროდ ის გავრცელდა აღმოსავლეთით - გერმანულ და სლავურ ხალხებში.

ევროპის ტერიტორიული წინსვლა-უკუსვლა მეორე ათასწლეულშიც გაგრძელდა. ესპანელებმა და პორტუგალიელებმა, ისეთივე რელიგიური გზნებით, როგორც მუსლიმები მოდიოდნენ მათ მიწაზე, განდევნეს ისინი პირენეის ნახევარკუნძულიდან: რეკონკისტა დასრულდა 1492 წელს. მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთით მუსლიმმა თურქებმა დაჯაბნეს ბერძნები (ბიზანტიელები), როცა მათ 1453 წელს კონსტანტინოპოლი აიღეს (მას სტამბული ეწოდა) და ბოსფორის სრუტის გადაღმა ბალკანეთის დიდი ნაწილიც დაიკავეს. ევროპელთა კოალიციამ მოახერხა დაეცვა ქ. ვენა 1529 წ. და ლეპანტოსთან საზღვაო ბრძოლაში (1576 წ.) შეაჩერა ოსმალ თურქთა წინსვლა. ნელ-ნელა თურქთა ექსპანსია შეჩერდა და მათ უკან დახევა დაიწყეს: ბალკანეთში მხოლოდ მცირე ტერიტორია შემორჩა, სადაც ისლამი გაბატონებული რელიგიაა (ბოსნია, ალბანეთი, კოსოვო). ასეთია კიდევ სტამბულის დასავლეთით მდებარე ტერიტორია - „ევროპული თურქეთი“ (ისტორიული აღმოსავლეთ თრაკია).

ნამდვილად შთამბეჭდავი ევროპული ექსპანსია მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში მოხდა, როდესაც გერმანულ ენებზე მოლაპარაკე ხალხებმა - განსაკუთრებით ინგლისელებმა, შექმნეს ოკეანესგადაღმა ევროპები“: ანგლო-ამერიკა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და სამხრეთ აფრიკა. ესპანელებმა და პორტუგალიელებმა „ევროპა“ გადანერგეს სამხრეთ და, ნაწილობრივ, ჩრდილოეთ ამერიკაში, რომელსაც „ლათინური ამერიკა“ ეწოდა. იმავე პერიოდში მსოფლიო მომსწრე გახდა ფართო სლავური ექსპანსიისა, რომელიც რუსებმა განახორციელეს, „ევროპა“ მანამდე უცხო ევრაზიის „ჰართლენდში“ დანერგეს და ის წყნარი ოკეანის ნაპირზე გაიყვანეს.

გარდა ამ ტერიტორიებისა, შუა და მაღალ განედებში დიდი რაოდენობით გადასახლდა ევროპული მოსახლეობა. ესპანელებმა, პორტუგალიელებმა, ბრიტანელებმა, ფრანგებმა, ჰოლანდიელებმა, ბელგიელებმა და გერმანელებმა XVI-XIX საუკუნეებში შექმნეს დიდი ტროპიკული კოლონიური იმპერიები. მთელ მსოფლიოში, მხოლოდ ჩინეთმა, იაპონიამ, ტაილანდმა, თურქეთმა, ირანმა და არაბეთის ნახევარკუნძულის შიდა რაიონებმა მოახერხეს, თავიდან აეცილებინათ ევროპული კოლონიური მმართველობა.

კოლონიალიზმმა ევროპის ნიშნები სხვაგანაც გადაიტანა. ინდოეთს აქვს სარკინიგზო სისტემა, რომელიც ბრიტანელებმა შექმნეს, ჰაიტის მოსახლეობა ფრანგულის დიალექტზე საუბრობს, ფილიპინელები კათოლიკურ რწმენას მისდევენ. ევროპელებმა თავიანთი ცხოვრების წესი თითქმის მთელ მსოფლიოში გაავრცელეს. მათ შეცალეს ახლად დასახლებული ტერიტორიების კულტურა ანდა ძირითადად თავს მოახვიეს ის ისეთ საზოგადოებებს, რომლებიც იმდენად მტკიცედ იყვნენ ფეხმოკიდებულნი, რომ მთლიანად ევროპულ ყაიდაზე მათი გარდაქმნა ვერ მოხერხდა (ნახ 3.8).

ნახ. 3.8 მსოფლიოს ევროპეიზაცია



1– „ევროპის შუაგული“, დაახლოებით 1500 წელს; 2–ნეო–ევროპული არეალები: მოსახლეობა და კულტურა თითქმის მთლიანად ევროპული წარმოშობისაა; 3–შერეული ევროპული და ადგილობრივი არეალები, მაგრამ კულტურას მკვეთრად ევროპული გავლენა აქვს; 4–პლანტაციური მეურნეობის კულტურა; მცირერიცხოვანი ევროპელები ბატონობდნენ დიდი არაევროპული წარმოშობის მუშაძალაზე; 5–კოლონიალიზმის ეპოქაში, ექსპლუატაციის მიზნით ევროპელების მიერ დაპყრობილი ტერიტორიები. მცირერიცხოვანმა ევროპელებმა გაავრცელეს ზოგიერთი მდგრადი წეს–ჩვეულება და ტექნიკა; 6–ხანმოკლე, არაეფექტური, სუსტი ევროპული კონტროლი ან გავლენა; 7–ტერიტორია, რომელიც არასოდეს ყოფილა დაკავებული ან გაკონტროლებული ევროპელების მიერ, მაგრამ, არაპირდაპირი შეჭრა ევროპული კულტურული გავლენის ხშირად ძალიან საგრძნობია.
წყარო: მოდიფიცირებულია W.Zelinsky, 1966 – A prilogue to population geography. Englewood Cliffs, Pzentice Hall, 74-75.

მსოფლიო მრავალი გზით განიცდიდა ევროპეიზაციას. იქაც კი, სადაც ევროპელებმა პირდაპირი ძალაუფლება ვერ დაამყარეს, მათი კულტურა მაინც დამკვიდრდა. მაგალითად იაპონიამ შეისისხლხორცა სამრეწველო რევოლუცია, ჩინეთმა მიიღო მარქსისტული სოციალიზმი (რომელიც ევროპაში წარმოიშვა), თურქეთმა არაბული დამწერლობა ლათინურით შეცვალა.

ამავდროულად, მსოფლიოს სხვა რეგიონებმაც შეუწყვეს ხელი ევროპის შეცვლას. გავლენები ორმხრივი იყო და ევროპული ცხოვრების წესმა დიდი ცვლილება განიცადა. მართლაც 1500 წლამდე ევროპა შეიძლებოდა განგვეხილა, როგორც აღმოსავლეთ ნახევარსფეროს დიდ კულტურებთან მიმართებაში პერიფერიული. ევროპა ბევრად მეტს ღებულობდა, ვიდრე გასცემდა. ქრისტიანობაც კი, რომელიც ევროპის შემაკავშირებელ ტრადიციულ საბაბს წარმოადგენდა, წარმოიშვა არა ევროპაში, არამედ ახლო აღმოსავლეთში და დიდხანს მისი საყრდენი იყო მცირე აზია (დღევანდელი თურქეთი) და სირია. აფრიკიდან მოსულმა

მუსლიმებმა ასწავლეს დღევანდელი ესპანელებისა და პორტუგალიელების წინაპრებს საზღვაო ნავიგაციის საიდუმლოებები და საზღვაო ინსტრუმენტების გამოყენება, რამაც შესაძლებელი გახადა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები. მუსლიმებმა შემოინახეს და განავითარეს ძველი ბერძნებისა და რომაელების მიერ შექმნილი ცოდნა (მაგალითად არისტოტელეს ტექსტები) ევროპის ხანგრძლივი „ბნელი საუკუნეების“ დროს. სოფლის მეურნეობამ ევროპაში დასავლეთ აზიიდან შემოაღწია. „ახალი სამყაროს“ (ამერიკა) ისეთმა კულტურებმა, როგორებიცაა კარტოფილი, პამიდორი, სიმინდი, მზესუმზირა, თამბაქო, მკვეთრად შეცვალა ევროპის სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურა.

მაგრამ ევროპულ გავლენას ზღვების გადაღმა ყოველთვის არ ჰქონია კარგი დახვედრა. თანამედროვე მოვლენები გვიჩვენებს საგრძნობ და მზარდ წინააღმდეგობას ევროპეიზაციისათვის. აფრიკაში ყველაზე სწრაფად მზარდი რელიგია ქრისტიანობა კი არაა, არამედ ისლამი. ქრისტიანმა მისიონერებმა ძალიან მოკრძალებულ შედეგს მიაღწიეს ინდოეთში, ჩინეთში ან იაპონიაში.

და ბოლოს, დემოგრაფიული სტაგნაცია ნიშნავს, რომ ევროპელები მსოფლიოს მოსახლეობის სულ უფრო მცირე ნაწილს წარმოადგენენ, რაც შემდეგ მათი გავლენის შემცირების წინაპირობა გახდება.

ამ წიგნის მიდგომა

თუ გავითვალისწინებთ იმ სირთულეებს, რაც ახლავს ევროპის განსაზღვრებას, ვერცერთი ცალკე აღებული მიდგომა ამ გეოგრაფიული კონსტრუქტის მიმართ მთლიანად დამაკმაყოფილებელი ვერ იქნება. მაგრამ ამან არ უნდა შეაჩეროს ჩვენი მცდელობა შევიცნოთ ევროპა. რაც არ უნდა იყოს, დავა ევროპის გეოგრაფიული საზღვრებისა და მისი არსის შესახებ, ევროპა მნიშვნელოვანი იდეა და ადგილია, მიუხედავად იმისა, თუ როგორ განვსაზღვრავთ მას. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ეს წიგნი იწყება წანამძღვრიდან, რომ ევროპის სადავო საზღვრები ერთ–ერთი საინტერესო გეოგრაფიული თავისებურებაა. ჩვენ ვუშვებთ, რომ (1) არსებობს ფართო კონსენსუსი, რომ ევროპა მოიცავს სულ ცოტა დასავლეთ ნაწილს იმ არეალიდან, რომელიც ნახ. 3.5–ზეა მოცემული და ეს კონსენსუსი სუსტდება, როდესაც აღმოსავლეთის საზღვრებს ვიხილავთ; და (2) ევროპა არ არის მხოლოდ შინაგანი განვითარების პროდუქტი, არამედ ის განუწყვეტლივ იცვლებოდა ახლოს ან შორს მდებარე ადგილებთან ურთიერთობისას.

ეს მაინც ღიად ტოვებს კითხვას, თუ რა ტერიტორიაზე იქნება ფოკუსირებული ყურადღება ამ წიგნში. ზოგიერთ ადგილას, შედარებით მკაფიო საზღვრის გავლება ადვილი ჩანს, მაგალითად ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის, ატლანტის ოკეანის ან ხმელთაშუა ზღვის შემთხვევაში. თუმცა ხმელთაშუა ზღვაშიც გამმიჯნავი ხაზის გავლება ისე ადვილი არაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს: სხვადასხვა ნაპირები მიიჩნეოდა კონტრასტული კულტურული სფეროების კუთვნილებად, მაგრამ მიგრაციებმა კულტურული გარემოს სურათი გაართულეს. უფრო მეტიც, ხმელთაშუა ზღვაში მდებარეობს კუნძული კვიპროსი, რომელიც გაყოფილია ბერძნულ და თურქულ სექტორებად, რომელთაც ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს სხვადასხვა კონტინენტური კულტურის კუთვნილებად (თუმცა სხვები ამ აზრს არ ეთანხმებიან).

როგორც ზემოთ განხილული დისკუსიიდან უკვე ნათელი გახდა, ხმელთაშუა ზღვის იქით, სურათი კიდევ უფრო რთულდება; არამც თუ არ არსებობს მკაფიო ფიზიკური და კულტურული საზღვრები, არამედ კონფლიქტები გაჩნდა ევროპისა და მის ირგვლივ არსებული ტერიტორიების კულტურული და პოლიტიკური სტატუსის შესახებ. ასე, მაგალითად, ბულგარეთში 1980–იანი წლების ბოლოს იყო ეთნიკური თურქების გაძევების ფაქტები; აზერბაიჯანში, მთიანი ყარაბაღის სომხური ქრისტიანული უმცირესობა აუჯანყდა ცენტრალურ ხელისუფლებას; საქართველოში, აფხაზეთის სამოქალაქო ომის დროს (1992-1993) აფხაზებს საგრძნობ დახმარებას უწევდნენ ჩრდილო-კავკასიელი მუსლიმები. რუსეთის ჩრდილო კავკასიაში, ისლამური ჩეჩნეთი დიდხანს იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის.

ყველაზე ხელსაყრელი, თუმცა საკმაოდ პრობლემატური მიდგომა ევროპის აღმოსავლეთ საზღვრების დადგენისათვის იქნებოდა ევროპული კავკასიის აღმოსავლეთი საზღვრის გამოყენება. მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა მოიცვა ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი ტერიტორიების ნაწილი (ბალტიის რესპუბლიკები), ჩნდება ფუნქციური ერთგვაროვნება, რაც გვაძლევს საშუალებას გავამახვილოთ ყურადღება იმ ტერიტორიაზე, რომელიც ევროკავშირის საზღვრის დასავლეთით მდებარეობს (ნახ. 3.9). ამდენად, წიგნში ყურადღება ძირითადად გამახვილებული იქნება ამ საზღვრის დასავლეთით მდებარე არეალების ანალიზზე, მაგრამ, რადგან ვაღიარებთ ამ პრაგმატული მიდგომის ხელოვნურობას, ჩვენი რუკები და სტატისტიკური გენერალიზაციები შეეხება ევროპის უფრო ფართოდ გაგებულ ცნებას, რაც ასახულია ნახ. 3.6-ზე მსხვილი უწყვეტი ხაზით. ასეთი მიდგომა გვახსენებს გარდაუვალ წინააღმდეგობებს და სირთულეს, რაც თან ახლავს ევროპის გეოგრაფიული კონცეპტის შექმნას.

ნახ. 3.9 ევროპული კავშირის წევრი ქვეყნები

არსებითად, ამ წიგნის მიზანია მკითხველს გააგებინოს არა მარტო ევროპის, როგორც ადგილის, ხასიათი, არამედ რეგიონის გეოგრაფიული პერსპექტივის ბუნება

და მნიშვნელობა. ბევრი ადამიანი გეოგრაფიას აიგივებს დედაქალაქების, მთებისა და მდინარეების ნუსხის დამახსოვრებასთან. ეს კონცეფცია მოდის დაწყებითი და საშუალო სკოლიდან, სადაც, უკეთეს შემთხვევაში, გეოგრაფიის გაკვეთილებზე ყურადღება ექცევა იმას, თუ სადაა საგნები და ობიექტები (ქალაქები, მთები, და ა.შ.) განლაგებული, და ეს ცოდნა არის მხოლოდ ფონი იმისათვის , რომ იმსჯელონ სოციალურ, ისტორიულ, გარემოს საკითხებზე. გეოგრაფია გამოდის მშრალი, მოსაწყენი ფაქტების ჩამოთვლა.

მაგრამ ადგილის სახელების დამახსოვრება სულაც არაა გეოგრაფიის არსი, ისევე, როგორც თარიღების დამახსოვრება არაა ისტორიის არსი. ადგილების სახელები წარმოადგენს ლექსიკონს, რომელიც გვაძლევს საშუალებას ვილაპარაკოთ მსოფლიოს შესახებ და ისინი ხანდახან ძალიან საინტერესო წყაროს წარმოადგენენ ადგილებზე წარსულის კულტურული გავლენის ასახსნელად. მაგრამ გეოგრაფიის ნამდვილი ინტერესი და მნიშვნელობა მომდინარეობს იმის ცოდნაში, რაც შეიძლება მივიღოთ არა მარტო იმის დადგენით თუ სად მდებარეობენ საგნები, არამედ იმის გარკვევით თუ რატომ არიან ეს საგნები გარკვეულ ადგილზე და რა კონკრეტული გეოგრაფიული თავისებურებები ახდენენ ზეგავლენას ჩვენს გარშემო არსებულ სამყაროზე.

გეოგრაფია არის კომპლექსური მეცნიერება, რომელიც სწავლობს დედამიწის ზედაპირზე არსებული და მიმდინარე მოვლენების, ადგილების და ლანდშაფტების ბუნებასა და მნიშვნელობას.

რა შეუძლია გვითხრას მცენარეულის გავრცელების ცვილებებმა კლიმატური ცვლილებების შესახებ? რატომ გაჩნდნენ ჩრდილო აფრიკელი იმიგრანტები ევროპის ზოგიერთ ადგილში, ხოლო სხვაგან არა? რა გავლენას ახდენდა ფრანკო-გერმანული პოლიტიკური საზღვრის ცვლილება მდ. რონის ხეობაში იქ მცხოვრები ადამიანების მხრიდან ადგილის გრძნობაზე და მათ მიდგომაზე საერთო პრობლემების მიმართ? ასეთი ტიპის კითხვები გეოგრაფიის არსს წარმოადგენს. ასეთი კითხვებია, რომლებიც ასე საინტერესოს და მნიშვნელოვანს ხდის ევროპის შესწავლას გეოგრაფიული თვალსაზრისით.

ამ შენიშვნის გათვალისწინებით, ეს წიგნი ფოკუსირებულია არა მარტო იმაზე სადაა საგნები, არამედ იმაზეც, თუ რატომ არიან ისინი სწორედ აქ და რატომაა მათი ასეთი განლაგება მნიშვნელოვანი. ევროპა არის ფიზიკური, დემოგრაფიული, კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოვლენებისა და პროცესების კომპლექსური ნაერთი და ყველა ეს საკითხი ერთი-მეორეზე ზემოქმედებს. ამ წიგნის მიზანია გააადვილოს რეგიონის გაგება იმ ფიზიკურ და სოციო-კულტურული ფაქტების კვლევის გზით, რომელთაც დროთა ვითარებაში ჩამოაყალიბეს ევროპის ხასიათი და მისი ლანდშაფტი. ამ მიზნით წიგნი უყურებს ევროპის გეოგრაფიის სხვადასხვა ასპექტებს, როგორც ნამცხვრის სხვადასხვა ფენებს. ჩვენ ვიწყებთ ფიზიკურ-გეოგრაფიული საკითხებით, ვიხილავთ ფაქტებსა და პროცესებს, რომლებიც აგვიხსნიან ფიზიკურ-გეოგრაფიულ, კლიმატურ და მცენარეულ კომპლექსებს, რომლებიც ევროპაშია. შემდეგ გადავდივართ ძირითად დემოგრაფიულ საკითხებზე და ყურადღებას ვამახვილებთ არა მხოლოდ ფაქტებზე და პროცესებზე, არამედ იმაზეც, თუ რა კავშირი აქვთ მათ ადრე განხილულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებებთან. შემდეგ, ჩვენ ვუმატებთ კიდევ

რამდენიმე ფენას ჩვენს ნამცხვარს და მივუბრუნდებით ენასა და რელიგიას, რეგიონის პოლიტიკურ ევოლუციას, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს. წიგნის ბოლოსათვის, მკითხველს უნდა ჰქონდეს შესავლის დონის გაგება ძირითადი გეოგრაფიული თავისებურებებისა და პროცესებისა, რომელთაც ჩამოაყალიბეს და ჯერაც აყალიბებენ მსოფლიოს ამ საინტერესო ნაწილს.

ასეთი მიდგომის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის შესაძლებლობას იძლევა შეიჭრას ბევრ ისეთ სფეროში, რომელთაც ევროპათმცოდნეობა ცალ-ცალკე სწავლობს. ჩვენ განვიხილავთ არა მხოლოდ ფიზიკურ გარემოს, დემოგრაფიულ დინამიკას ან პოლიტიკურ ძალებს, არამედ იმას, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ისინი. ჩვენი მრავალფენოვანი ნამცხვრის შექმნა საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ ფენები არა როგორც განცალკევებული მოვლენები, არამედ ურთიერთდაკავშირებული მთელის სახით. იმ ინფორმაციის მიღებით, რომელიც ამ წიგნშია თავმოყრილი, მკითხველს შეეძლება სხვადასხვა ადგილას ჩამოჭრას ევროპული ნამცხვარი და ნახოს, როგორ მუშაობენ ძირითადი გეოგრაფიული სტრუქტურები და პროცესები.

ასეთი მიდგომის ძირითადი შეზღუდვა ისაა, რომ იგი მოითხოვს მთელი რიგი საკვლევი რეგიონის განხილვას. ამ პრობლემის გადაწყვეტა მომცრო ზომის წიგნში ადვილი არაა და ამიტომ მოგვიხდება საკმაო ზომის გენერალიზაცია, ანუ განზოგადება. ყველა საკითხი, რომელსაც ამ წიგნში ვეხებით საფუძვლიანადაა შესწავლილი გეოგრაფების ან სხვა მეცნიერების მიერ. ყველა თავის ბოლოს მოცემულია ბიბლიოგრაფია, რომელიც იძლევა საშუალებას ცალკეულ საკითხზე უფრო ფართო ინფორმაციის მისაღებად.

და ბოლოს, აღნიშვნის ღირსია, რომ ჩვენი ძირეული მიდგომა ევროპის გეოგრაფიული ხასიათის კვლევისას და მისი ახსნისას, არის კულტურულ-ისტორიული. მსოფლიოს რეგიონების შესახებ გეოგრაფიული კვლევების მეტი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე სივრცითი სტრუქტურების შესახებ ეკონომიკური და დემოგრაფიული კუთხიდან. ჩვენ ესეც გვაინტერესებს, მაგრამ აქცენტი გადატანილია იმაზე, თუ როგორ და რატომ ჩამოყალიბდა სივრცითი სტრუქტურები და სისტემები, რაც გულისხმობს ძირითადი ყურადღების მიქცევას იმ გზებისათვის, რომლითაც კულტურული იდეები და პრაქტიკა განსაზღვრავდნენ მათ ევოლუციას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი წიგნი მეთოდურად იკვლევს თუ როგორ იწვევდნენ კულტურულ-ისტორიული პროცესები - ბევრი მათგანი გადახლართულია ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებთან - იმ გეოგრაფიული ფორმებისა და ლანდშაფტების ჩამოყალიბებას, რომლებიც თანამედროვე ევროპის ძირითადი სახეა.

რატომ უნდა შევისწავლოთ ევროპა?

იქამდე, სანამ წიგნის არსს ჩავუღრმავდებით, ერთი წუთით უნდა შევჩერდეთ საკითხზე, თუ რატომ არის ღირებული ევროპის, როგორც რეგიონის შესწავლა. ყველაზე თვალნათელი პასუხია, რომ ევრაზიის მომცრო დასავლეთი ნაწილი, გამოკვეთილი გეოგრაფიულად ან ისტორიულად, არის ისეთი ადგილი, რომელმაც, ავად თუ კარგად, მოახდინა ისეთი გავლენა მსოფლიოზე, რომელიც სრულებით არაა

მისი ზომის პროპორციული. ასე რომ, ამ რეგიონის შესწავლამ შეიძლება გლობალურ დონეზე განვითარების მნიშვნელოვანი ახსნა მოგვცეს.

იმისათვის, რომ დავინახოთ თუ რამდენად მოახდინა ევროპამ გავლენა ბოლო ათასწლეულის თანამედროვე მსოფლიოს განვითარებაზე, ყურადღება მივაქციოთ კონცეფციებს და გამოგონებებს, რომლებსაც საფუძველი ამ რეგიონში აქვთ (ნახ. 3.10). დემოკრატიის კონცეფცია კლასიკური საბერძნეთიდან მოდის (ის ნამდვილად სცდება ბოლო ათასწლეულს და 2.5 ათასი წლისაა). იგივე კონცეფცია ხელახლა გამოჩნდა, თუნდაც სხვა სახით, შუა საუკუნეების ისლანდიაში, ახალფეხადგმულ შვეიცარიაში, ინგლისში, სადაც 1215 წელს ,,თავისუფლებათა დიდი ქარტია“ (Magna Carta) მიიღეს, გერმანიის ქალაქ-სახელმწიფოებში, იქამდე ვიდრე ის მასობრივად მოედებოდა ევროპას მე-18 საუკუნის ბოლოდან და მე-19 საუკუნეში. ევროპელთა დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, თავდაპირველად იტალიისა და პირინეის ნახევარკუნძულის ევროპელების პირმშომ, რომელშიც მოგვიანებით სხვა ევროპელი ხალხებიც ჩაერთვნენ, მისცა ევროპას საშუალება, რომ აღმოეჩინა (თავისი კუთხიდან) დანარჩენი მსოფლიო და, ბევრ შემთხვევაში, გაბატონებულიყო მასზე.

საბეჭდმა დაზგამ მოძრავი ლიტერებით, გერმანიის რაინის ხეობის ხელოსნების (კერძოდ, იოჰან გუტენბერგის) გამოგონებამ უზარმაზარი გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოზე და ნაბეჭდი წიგნის სახით რევოლუცია გამოიწვია ადამიანების ურთიერთობაში. დედამიწის სფეროსებურობის კონცეფცია, თავდაპირველად ძველი ბერძნების მიერ დადგენილი, გაცოცხლდა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დროს იტალიელების, ესპანელებისა და პორტუგალიელების მიერ. პოლონელი ასტრონომი კოპერნიკი პირველი იყო, რომელმაც ჰელიოცენტრული კონცეფცია წამოაყენა და დაამტკიცა, რომ დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს. თუ კოპერნიკი პირველი იყო, ვინც „ადამიურ ეგოს“ მძიმე დარტყმა მიაყენა იმით, რომ დედამიწა სამყაროს ცენტრს ჩამოაშორა, მისი თანამემამულე ევროპელი, ჩარლზ დარვინი, მეორე დარტყმის ავტორი იყო, როდესაც განავითარა ევოლუციის თეორია, რომლის თანახმადაც ადამიანებს ჰქონდათ ბიოლოგიური წარმომავლობა ცხოველთა სამყაროდან. ჩეხმა გრეგორ მენდელმა თანამედროვე გენეტიკის მეცნიერული საფუძველი შექმნა. ზიგმუნდ ფროიდმა, რომელიც მენდელისაგან არც თუ ისე შორს, იქვე ჩეხეთში დაიბადა, თანამედროვე ფსიქოლოგიას დაუდო საფუძველი, ადამიანის გონების მეცნიერულ შესწავლას.

ინგლისელმა აიზეკ ნიუტონმა, მოძრაობისა და მიზიდულობის კანონების აღმოჩენით თანამედროვე ფიზიკას დაუდო სათავე. გერმანიში დაბადებულმა და შვეიცარიაში მოღვაწე ალბერტ აინშტაინმა, მისი ფარდობითობის თეორიით, დიდად გაამდიდრა სამყაროს შესახებ ჩვენი ცოდნა. ავადმყოფობების ბაქტერიული და ვირუსული მიზეზების აღმოჩენა და თანამედროვე მედიცინის დაწყება გერმანელი სოფლის ექიმის, რობერტ კოხისა და ფრანგი მეცნიერის ლუი პასტერის დამსახურებაა. მარი სკლოდოვსკა-კიურიმ, პოლონელმა, რომელიც საფრანგეთის მოქალაქე გახდა, თავის ძმა პიერ კიურისთან ერთად რადიოაქტივობის შესწავლა დაიწყო, რითაც ატომურ და ბირთვულ ეპოქას გაუხსნა გზა (სიტყვა Curie რადიოაქტივობის საზომ ერთეულს აღნიშნავს). გერმანელმა რიონტგენმა რენტგენის სხივები აღმოაჩინა, რუსმა დმიტრი მენდელეევმა სანქტ-პეტერბურგში ქიმიური ელემენტების პერიოდული ცხრილი შექმნა. ჰოლანდიელმა და იტალიელმა

გამომგონებლებმა პირველი მიკროსკოპი და ტელესკოპი შექმნეს, რითაც ადამიანებს მისცეს საშუალება შეესწავლათ ძალიან შორს მყოფი ობიექტები, რომელთაც შეუიარაღბელი თვალი ვერ ხედავს.

როგორც ჩანს, ევროპის ყველაზე შორს მიმავალი გავლენის მქონე მოვლენა იყო **ინდუსტრიული რევოლუციის**, სხვადასხვა მანქანებისა და მექანიზმების გამოგონება, რომელთაც არა ცოცხალი ძალა ამუშავებდა: ის დაიწყო დიდ ბრიტანეთში მე-18 საუკუნეში და მომდევნო საუკუნეში გაგრძელდა. ინდუსტრიულმა რევოლუციამ მისცა სიცოცხლე ორთქლის მანქანას, ორთქლმავალს და რკინიგზას, შიგაწვის ძრავას, ავტომობილს, ავტოსტრადებს, რადიოს, ორბიტალურ თანამგზავრებს, ადამიანის გაფრენას კოსმოსში, ციფრულ კომპიუტერს და ა.შ. (ნახ. 3.10). პრომეთეს ჯაჭვი მოეხსნა და სწორედ ევროპელები იყვნენ, ვინც მას ბორკილი მოხსნა. თანამედროვეობა და პროგრესის კონცეფცია, არსებითად ევროპული, წარმოიშვა და განვითარდა.

ნახ. 3.10 ზოგიერთი ევროპული კონცეფცია და მათი წარმოშობის ან გამოგონების ადგილი

1. დემოკრატია (ძველი საბერძნეთი; თავისუფლებათა დიდი ქარტია; საფრანგეთის რევოლუცია)
2. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები (გენუა; ვენეცია; კადისი; ლისაბონი)
3. საბეჭდი დაზგა (გუტენბერგი, მაინცი, გერმანია)
4. დედამიწის სფერულობის კონცეფცია (ძველი ბერძნები_მილეტისი, ამჟამად თურქები)
5. ჰელიოცენტრული მზის სისტემის კონცეფცია (კოპერნიკი_პოლონეთი)
6. ინდუსტრიული რევოლუცია (ინგლისი_მიდლენდი)
7. ორთქლის მანქანა (უოტი, გლაზგო, შოტლანდია)

8. რკინიგზა (ჩრდილო–აღმოსავლეთ ინგლისი)
9. შიგაწვის ძრავა (ლენუარი_პარიზი, ოტო დადაიმლერი_გერმანია)
10. ავტომობილი (დაიმლერი და ბენცი, გერმანია)
11. მოძრაობისა და მიზიდულობის კანონები, თანამედროვე ფიზიკა (ნიუტონი_ინგლისი)
12. თანამედროვე გენეტიკა (მენდელი_ჩეხეთი)
13. ევოლუციის თეორია (დარვინი_ინგლისი)
14. ფარდობითობის თეორია (აინშტაინი_ბერნი, შვეიცარია)
15. ავადმყოფობის ბაქტერიული და ვირუსული მიზეზები (კორი, გერმანია; პასტერი, საფრანგეთი)
16. რადიო (მარკონი_ბოლონია, იტალია)
17. გონების თანამედროვე მეცნიერება (ფროიდი_ვენა, ავსტრია)
18. სოციალიზმი (კამპანელა_იტალია; ტრირი, გერმანია და ლონდონი)
19. მწარმოებლური კაპიტალიზმი (ჰოლანდია და ფლანდრია)
20. ნაციონალიზმი (შვეიცარია და საფრანგეთი)
21. ეროვნული სახელმწიფო (საბერძნეთი)
22. ავტოსტრადა (გერმანია)
23. ორბიტალური თანამგზავრი და ადამიანის ასვლა კოსმოსში (რუსეთი)
24. მიკროსკოპი და ტელესკოპი (ლიპერში და იანსენი_ჰოლანდია; გალილეო_პადუა, იტალია)
25. ციფრული კომპიუტერი (ბებიჯი–ინგლისი)
26. რადიოაქტივობის თავდაპირველი კვლევა (კიური–საფრანგეთი)
27. ელემენტების პერიოდული ცხრილი (მენდელეევი–რუსეთი)

თანამედროვეობის სხვა ქვაკუთხედებიც ევროპაში დაიდო, კერძოდ აქ განვითარდა კაპიტალიზმი, სოციალიზმი, ნაციონალიზმი, შეიქმნა ეროვნული სახელმწიფოები. კაპიტალიზმი, ანუ ეკონომიკური სისტემა, რომელიც კაპიტალს იყენებს ინოვაციებისათვის წარმოების და, შესაბამისად, მოგების გასაზრდელად თავიდან წარმოიშვა ნიდერლანდებში, ფლანდრიასა (ამჟამად–ბელგია) და ჰოლანდიაში XVI საუკუნეებში. მალე კომერციულმა ღირებულებებმა მთლიანად მოიცვეს ევროპული ცივილიზაცია, რამაც ეკონომიკური აღმავლობა გამოიწვია და გაავრცელა მატერიალური კეთილდღეობა მოსახლეობის დიდ ნაწილში, რაც იქამდე მსოფლიოს არსად ენახა. კაპიტალიზმმა ინდუსტრიულ რევოლუციასაც შეუწყო ხელი და საბოლოოდ შეცვალა მსოფლიო.

სოციალიზმის იდეებიც ევროპაში გაჩნდა: ეს იყო მოძრაობა იმ მიზნით რომ უფრო თანაბრად გაენაწილებინა კეთილდღეობა და თავიდან აეცილებინა სიმდიდრის თავმოყრა უმცირესობის ხელში. მისი ფესვები მიდის ტომაზო კამპანელასთან, იტალიელ ფილოსოფოსთან და პოლიტიკურ მოღვაწესთან, რომელმაც 1602 წელს დაწერა წიგნი ,,მზის ქალაქი'', სადაც უტოპიური კომუნიზმი იყო აღწერილი. სოციალიზმი/კომუნიზმი სრულიად განვითარებულ იდეოლოგიად ჩამოყალიბდა მე–19 საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსის კარლ მარქსის შრომებში. გარკვეული ფორმის სოციალიზმმა სკანდინავიის ქვეყნებში (შვედეთი, ნორვეგია,

დანია) მართლაც საშური ცხოვრების ხარისხი შექმნა, მაგრამ რუსული კომუნიზმის სახით მან ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემებიც წარმოშვა.

ნაციონალიზმი, როდესაც მოქალაქეები მონარქისადმი ერგულების ნაცვლად, სამშობლოს/სახელმწიფოს ერთგულებაზე არიან ორიენტირებულნი, თავდაპირველად, როგორც ჩანს, შუა საუკუნეების შვეიცარიაში გაჩნდა, მაგრამ სრული ძალით განვითარდა რევოლუციურ საფრანგეთში, მე–18 საუკუნის ბოლოს. დაახლოებით იმავე პერიოდში ევროპაში გაჩნდა ერი–სახელმწიფოს იდეა, როდესაც მოქალაქეობა კონცეპტუალურად მიება საერთო ენას და/ან რელიგიას პოლიტიკურად სუვერენულ ტერიტორიებზე. ეროვნული სახელმწიფოს იდეა ევროპიდან მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

კოლექტიურად, ზემოხსენებული ევროპული კონცეფციებისა და გამოგონებების გავლენა უზარმაზარი იყო. ძნელია წარმოიდგინო თანამედროვე მსოფლიო მათ გარეშე. ამის გამო ზოგიერთს გაუჩნდა ევროცენტრული ცდუნება, მიეჩნია ევროპული კულტურა ყველაზე აღმატებულად. არსებითად ბევრი ევროპელი ფოქრობდა ასე. მაგალითად, ვნახოთ რას წერდა დიდი გერმანელი მწერალი თომას მანი თავის რომანში „საოცრებათა მთა“ 1924 წელს, სადაც ის აღწერდა ორ დაპირისპირებულ პრინციპს კონფლიქტში მსოფლიოს ფლობისათვის:

„ძალა და სამართალი, ტირანია და თავისუფლება, ცრურწმენა და ცოდნა, უძრაობა და ცვლილება, შეიძლება პირველ პრინციპს აზიური, ხოლო მეორეს ევროპული თავისებურება ვუწოდოთ, რადგან ევროპა იყო ამბოხების ცენტრი, ინტელექტუალური ... აქტიურობის ველი, რასაც ცვლილება მოსდევდა, მაშინ როცა აღმოსავლეთს ახასიათებდა უძრაობა და ცვლილების არარსებობა.“

ანალოგიური და კიდევ უფრო მძაფრად გამოხატული თვალსაზრისი შეიძლება ვნახოთ გამოჩენილი ბერძენი ავტორის, ნიკოს კაზანცაკისის წიგნში „მოხსენება გრეკოს“, სადაც ის თავის ხალხის კულტურას, მცირე აზიის კულტურას უპირისპირებდა. ის წერდა, რომ „საბერძნეთი არის ფილტრი ...., რომელიც აქცევს მხეცს ადამიანად, აღმოსავლურ მონობას - თავისუფლებად, ბარბაროსულ აღტკინებას ფხიზელ გონიერებად.“

კულტურული იმპულსები მიღებული აღმოსავლეთიდან, ანუ აზიიდან, ბერძნებმა გარდაქმნეს უფრო ცივილიზებულ ფორმად. კაზანცაკისი ამბობდა, რომ საბერძნეთს ბედად ერგო აზიის საზღვართან ყოფნა, რამაც შექმნა „მისტიკური გრძნობა მისიისა და პასუხისმგებლობისა“ და ბუფერი „ბარბაროსულ და მხეცურ“ აღმოსავლეთთან, ანუ თურქეთთან.

როდესაც ვხვდებით ევროცენტრიზმს და კულტურულ ქედმაღლობას, ჩვენ უნდა გავიხსენოთ, რომ ევროპას არა აქვს კლიტე დადებული ინოვაციებზე და ბევრი ევროპული გამოგონება იმიტომ გაჩნდა, რომ ევროპა მსოფლიოს სხვა რეგიონებთან ურთიერთობდა. უფრო მეტიც, ევროპის ზოგიერთი ინოვაცია მავნე და დამანგრეველი აღმოჩნდა. ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი ადამიანთა მოდგმის არსებობასაც კი უქმნიდნენ საფრთხეს. ევროპამ მოგვცა ეთნიკური წმენდის, გენოციდის მაგალითები, აქ წარმოიშვა ფაშიზმი, რელიგიური ინკვიზიცია, იმპერიალიზმი, კოლონიალიზმი და მექანიზებული ტოტალური ომი. ჩინური წარმოშობის ამერიკელი გეოგრაფი ი-ფუ ტუანი წერდა, რომ „ევროპელებს, მას

შემდეგ რაც მათ დაკარგეს უფრო დიდი ძალისა და ბუნების ძლიერების შიში, გაუჩნდათ ქედმაღლობა, დაფუძნებული საკუთარ თითქოს უსაზღვრო ძლიერებაზე." ევროპა გულისხმობს პროგრესს, მაგრამ საბოლოოდ სად მიგვიყვანს განვითარება - კეთილთან თუ ბოროტთან - ბუნდოვანი რჩება. ევროპელებმა შეიმუშავეს კომპლექსური, განვითარებული კულტურა, მაგრამ საბოლოოდ, მან ვერ დააზღვია ევროპის გერმანულ გულში ენით აუწერელი ბოროტების ჩადენისგან. და იგივე კულტურა ვერ აძლევს მას სრულ კონტროლს უმძლავრეს ტექნოლოგიებზე, რომელიც მანვე შექმნა.

და მაინც, ევროპის მნიშვნელობა უეჭველია და დიდია. ამდენად, აუცილებელია მის შესახებ რაღაც მაინც ვიცოდეთ. სწორედ ამის გამოა, რომ უამრავი ადამიანი ჩრდილოეთ ამერიკიდან ყოველწლიურად მიემართება ევროპის სანახავად. ამ წიგნის ბევრი მკითხველი მოინახულებს ევროპას ერთხელ მაინც თავის ცხოვრებაში, თუ მას ეს უკვე არ გაუკეთებია. ის საკითხები, რომლებიც ამ წიგნშია განხილული, სულ ცოტა დაეხმარება მგზავრს გაამდიდროს თავისი გამოცდილება ევროპის ნახვისას. და ამ ცოდნას შეუძლია შექმნას ის საფუძველი, რომელზეც აშენდება ტრანსატლანტიკური ურთიერთგაგება.

წყაროები და შეთავაზებული ლიტერატურა

Ahnström, L. 1993. Europe: Culture Area, Geo-Ideological Construct or Illusion? *Norsk Geografisk Tidsskrift* 47 (2): 57-67.

Barzini L.G. 1983. *The Europeans.* New York: Simon and Schuster.

Beeley, B.W. 1978. The Greek-Turkish Boundary: Conflict at the Interface. *Transactions of the Institute of British Geographers* 3(3): 351-366.

Berdiaev, N. 1990. *Istoki I Smysl Russkogo Kommunizma*. Moskva: Nauka.

Berezin, M. and M. Schain. 2003. *Europe without Borders: Remapping Territory, Citizenship, and Identity in a Transnational Age*. Baltimore: John Hopkins University Press.

Blaut, J.M. 1993. *The Colonizer's Model of the World: Geographical Diffusionism and Eurocentric History.* New York: Guilford Press.

Cuisenier, J. 1979. *Europe as a Cultural Area.* The Hague: Mouton.

Dodgeson, R.A. 1992. The Role of Europe in the Early-Modern World-System: Parasitic or Generative? *Political Geography* 11 (4): 396-400.

Fells, J., and J. Niznik. 1992. What Is Europe? *International Journal of Sociology* 22 (1/2): 201-207.

Fischer, E. 1943. *The Passing of the European Age: A Study of the Transfer of Western Civilization and its Renewal in Other Continents.* Cambridge: Harvard University Press.

Gachechiladze, R.G. w R.A.F. 1995. *The New Georgia: Space, Society, Politics. Eastern European Studies* No. 3. College Station: Texas A & M University Press.

Gress, D. 1998. *From Plato to Nato: The Idea of the West and its Opponents*. New York: Free Press.

Hahn, F.G. 1881. Zur Geschichte der Grenze Zwishen Europa und Asien. *Mitteilungen des Vereins für Erdkunde zu Leipzig*: 83-104.

Hasson, S. 1996. Frontier and Periphery as Symbolic Landscapes. *Ecumene* 3 (2): 146-166.

Hauner, M. 1990. *What Is Asia to Us? Russian Asian Heartland Yesterday and Today*. Boston: Uniw Hyman.

Hay, D. 1968. Europe: *The Emergence of an Idea. Edinburgh University Publications; History, Philosophy and Economics*, No 7. Edinburgh: Edinburgh U.P.

Hebbert, M., and J.C. Hansen, eds. 1990. *Unfamiliar Territory: The reshaping of European Geography*. Aldershot: Avebury.

Jedlicki, J. 1999. *A Suburb of Europe: Nineteenth-Century Polish Approach to Western Civilization.* Budapest: Central European Univeristy Press.

Jönsson, C., S. Tägil, and G. Törnquist. 2000. *Organizing European Space.* London: SAGE Publication.

Kazantzakis, N. 1966. *Report to Greco*. New York: Bantam Books.

Kuus, M. 2004. Europe's Eastern Expansion and the Reinscription of Otherness in East-Central Europe. *Progress in Human Geography* 28 (4): 472-489.

Lewis, M.W., and K. Wigen. 1997. *The Myth of Continents: A Critique of Metageography*. Berkley: University of California Press.

Louis, H. 1954. *Über Den Geographischen Europabegriff. Mitteilungen der Geographischen Gesellschaft in München* 39: 73-93.

Lyde, L.W. 1926. *The Continent of Europe*. London: Macmillan.

Meinig, D.W. 1969. "A Macrogeography of Western Imperialism". In *Settlement and Encounter*, eds. F. Gale and G.H.Lawton, 213-240. Melbourne: Oxford University Press.

Murphy, A.B. 2005. "Relocating Europe". In *Engaging Europe: Rethinking a Changing Continent*, eds., E. Gould and G. Sheridan, 81-101. Boulder: Rowman and Littlefield.

Murzayev, E.M. 1964. Where Should One Draw the Geographical Boundary Between Europe and Asia? *Soviet Geography: Review and Translation* 5: 15-25.

Newbigin, M.I. 1924. *The Mediterranean Lands: An Introductory Study in Human and Historical Geography*. New York: A.A. Knopf.

Pagden, A., ed. 2002. *The Idea of Europe: From Antiquity to the European Union, Woodrow Wilson Center Series*. Washington, DC; Cambridge, UK: Woodrow Wilson Center Press; Cambridge University Press.

Painter, J. 2000. "Transnational Citizenship and Identity in Europe". In *9th Congress of the International Geographical Union*. Seoul.

Parker, W.H. 1953. Europe and the New Civilization. *Canadian Geographer* 3: 53-60.

Parker, W.H. 1960. Europe: How Far? *Geographical Journal* 126: 278-297.

Strahlenberg, P.J. v. 1738. *An Historico-Geographical Description of the North and Eastern Part of Europe and Asia*. London: J. Brotherton et al.

Tuan, Y-F. 1989. Cultural Pluralism and Technology. *Geographical Review* 79 (3): 269-279.

Whittlesey, D.S. 1949. *Environmental Foundations of European History*. New York: Appleton-Century-Crofts.

Wintle, M.J., ed. 1996. *Culture and Identity in Europe: Perceptions of Divergence and Unity in Past and Present, Perspectives on Europe. Contemporary Interdisciplinary Research*. Aldershot: Avebury.

Wolf, E.R. 1982. *Europe and the People without History*. Berkley: University of California Press.

Woodward, D. 1985. Reality, Symbolism, Time, and Space in Medieval World Maps. *Annals of the Association of American Geographers* 75 (4): 510-521.

Zelinsky, W. 1966. *A Prologue to Population Geography, Prentice-Hall Foundations of Economic Geography Series*. Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall.